წელიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

ოთხშაბათი, 25 აგვისტო 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 192 (1737)

დ ღ ი უ რ ი

— საბჭოთა კავშირში მოემგზავრება ინგლისის მემაღაროეთა დელეგაცია.
— კოპენჰაგენში შესდგა ევროპის ჩრდილოეთის სახელმწიფოების საპარლამენტო კონფერენცია.
— საბერძნეთის ყოფ. დიქტატორი გენერალი პანგალოსი დაპატიმრებული ჩაიყვანეს ათინაში.
— ესპანეთი მოითხოვს ტანჟერის ჩათვლას ესპანეთის გავლენის სფეროში.
— ამერიკის კომპარტია ენერგიულად ემზადება საარჩევნო კამპანიისათვის.
— ნიკარაგუას მთავრობამ ჩააქრო აჯანყება.
— გაფიცვა ინდო-ევროპიულ ტელეგრაფზე გრძელდება.

ოთხშაბათს, ა. წ. აგვისტოს 25-ს,
საღამოს 6 საათზე შესდგება
სრულიად საქ. ცაკ-ის პრეზიდიუმის სხდომა
ყველა წევრის და კანდიდატის დასწრება სავალდებულოა.
ცაკ-ის სამდივნო.

მენშევიკები და ზინოვიევ-ტროცკის ოპოზიცია

რომ ოპოზიციის ქაპანწყვეტა პარტიის მთლიანობის დასარღვევად სიხარულით ავსებს ჩვენს მტრებს, რომლებიც ჩვენს პარტიასთან და ხელისუფლებასთან გაშლილ ბრძოლაში დამარცხებულები, ოცნებობენ მიათრიონ თავიანთი სიცოცხლე იმ მათთვის საოცნებო დრომდე, როდესაც „ციხე შიგნიდან გატყდება“ (თუ, რასაკვირველია, გატყდება!)—ეს ყველასათვის ცხადია, ამას ეს მტრები არ მალავენ და, პირველ ყოვლისა, ამაზე ხმამაღლა ბჟობენ რუსეთისა და უცხოეთის მენშევიკები. ხუმრობა საქმე ხომ არ არის? მიბნედილი სასო, დაკარგული იმედი და... უცებ, შეიძლება ითქვას, მოულოდნელად, ასეთი დიდი „ღვთისწყალობა“: ერთიან, ფოლადისებურ მაგარ, მონოლიტურ ლენინურ პარტიაში ფრაქციული ბრძოლა, რომელიც შეიძლება განვითარდეს ბრძოლად ორი პარტიისათვის და სხვ. და სხვ. მოდი და ნუ გაეხარდება მენშევიკს, ნუ გაიღიმებს ის, ნუ გაუბრწყინდება სახე. ოპოზიციის გამოსვლებში მათ ელანდებათ ის, რაც ასე ხშირად ესიზმრებათ. და აი რუსი მენშევიკი ს. შვარცი „ლოცულობს“ გულმოდგინედ, „ლოცულობს“ გულზე ხელებ დაკრებილი, ცისკენ თვალებ შეტრიალებული. ამ „ლოცვას“ უკავია გერმანელ მენშევიკების გაზეთის **„ფორვერტსი“**-ს (14 აგვისტო) მოწინავე წერილის ვეებერთელა ადგილი: დავიწყებულია ყოველგვარი პროპორცია „ფორვერტს“-ის მეთაური წერილებისა.

ამ წერილში „გადმოლაგებულია“ ჩვენი შინაპარტიულ უთანხმოებათა მთელი ისტორია 1918 წლიდან, რასაკვირველია, თავისებური გაშუქებით. ის თავდება ასე:

„და ამნაირათ ამ ოპოზიციას, რომელმაც დაიწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ციხე-სიმაგრის გარღვევა, აქვს უდიდესი მნიშვნელობა პარტიის მომავლისა და საბჭოთა რუსეთის შემდგომი განვითარებისათვის. როგორი უტოპისტური არ უნდა იყოს ეს ოპოზიცია თავისი იდეოლოგიით, როგორადაც არ უნდა ეძებოს მან წარსულში წყარო თავისი ძალების, ის იძულებულია **წამოაყენოს საკითხი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დღეს გაბატონებული ჯგუფის დიქტატურის დაძლევის (Ueberwindung) შესახებ.** ის იძულებულია იბრძოლოს კომპარტიაში გამეფებულ ერთფეროვანების და მომაკვდინებელ მორჩილების წინააღმდეგ და იბრძოლოს ისე, **რომ შეარყიოს საძირკველი დიქტატურის,** რომელსაც რკინის სალტეებში მოუქცევია ქვეყანა და განსაკუთრებით ცდილობს მთელი ძალ-ღონით შეაფერხოს მუშათა მოძრაობის დამოუკიდებელი განვითარება“.

ჩვენ მივაქცევთ პარტიის ყველა წევრებისა და პარტიის გარეშე მყოფ მუშათა მასების განსაკუთრებულ ყურადღებას ამ ამონაწერზე მენშევიკური გაზეთიდან.

თავის თავად ცხადია, რომ, როდესაც ავტორი სახავს ჩვენს პარტიას და „დღეს გაბატონებულ ჯგუფის დიქტატურას“, როგორც ქვეყნის სულთამხუთავს და „მუშათა მოძრაობის დამოუკიდებელი განვითარების“ შემფერხებელს, როდესაც ის მოსთქვამს „პარტიაში გამეფებულ მორჩილებაზე“ და სხვა ასეთებზე—ეს არის თავიდან ბოლომდე გაუბედურებული ადამიანის ბრაზმორეული ყვირილი, რომელიც ისეთივე „სისწორით“ გამოხატავს ჩვენი პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების, ჩვენი მუშათა მოძრაობის სინამდვილეს, როგორც ის ფანტასტიური რადიო - ცნობები, რომლებმაც მთელი მსოფლიო მოჰფინეს ამას წინად ემიგრანტებისა და ბურჟუაზიის „სულის ხმამაღლებელ“ „ამბებით“ აჯანყებების და სხვა ათასგვარ საშინელებათა შესახებ, რომელთა ასპარეზათ შეიქნა თითქოს საბჭოთა კავშირი.

შინაპარტიული დემოკრატია, რომელიც ასე ფართოდ ვითარდება და სულ უფრო და უფრო აქტიურ ძალად ჰქმნის პარტიულ მასას, ეჩვენება მენშევიკებს როგორც მომაკვდინებელი „ერთფეროვანება“ და „მორჩილება“ პარტიაში.

ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა და გლეხობამ დაამხო ფეოდალური და ბურჟუაზიული კერძო საკუთრება და მთელი სამეურნეო ცხოვრება სწრაფი ტემპით წინ წავიდა (რასაც მტრებიც ველარ უარყოფენ)—ეს ფაქტი მენშევიკებს ელანდება როგორც რკინის სალტეებში მომწყვდეული ქვეყნის ცხოვრება.

ხოლო იმ „უსიამოვნებას“, რომელიც ჩვენი კავშირის მუშათა კლასმა და გლეხობამ მიაყენა მენშევიკებს და ესერებს, მენშევიკი ხსნის იმით, რომ ამ ბოროტმა ბოლშევიკებმა დამოუკიდებელი განვითარების გზები გადაუჭრეს მუშათა მოძრაობას.

იმპერიალისტური ომის დროიდან და მისი შემდგომი ხანიდან ჩვენ მართლა ვიცით სხვაგვარი ფაქტები, რომელთა „გადაფუჩეჩებას“ ვერც ერთი მენშევიკი ვერ მოახერხებს რაგინდ ხელმარდი არ უნდა იყოს ის. ჩვენ ვიცით, მაგალითად ის, რომ ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ მთელი თავისი იძულებითი აპარატით საშუალება მისცა სოციალ-დემოკრატიას სწორეთ რკინის სალტებით (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) შეებოჭა მუშათა კლასი და თავისი კლასიური მიზნებისათვის გამოეყენებია ის, ხოლო ცეცხლით, მახვილითა და მენშევიკების ხელებით ჩაექრო ყოველგვარი მისი წინააღმდეგობა ბურჟუაზიული დიქტატურის დასამხობათ. „ფორვერტსი“-ს რედაქტორებისა და თანამშრომლებისათვის ეს „ახალი ამბავი“ როდია, ვინაიდან ზოგიერთი მათგანი, მაგ. შაიდემანი (აღარას ვლაპარაკობთ ნოსკეზე) პირადი მონაწილენი იყვნენ ამ მოღალატური სისაძაგლის. ჩვენ (და თვით მენშევიკებსაც) როგორღაც არაფერი გვსმენია იმის შესახებ, რომ ბურჟუაზია წინააღმდეგი იყო სოციალ-დემოკრატიის ასეთი მუშაობისა და მის მიერ (ამ ბურჟუაზიის სახელმწიფოს ძალაუფლების დახმარებით) მუშათა კლასის დასალტვისა. მაგიერათ ჩვენ საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს ხშირათ გვესმის გრუხუნი მსოფლიო ბურჟუაზიის ციდან, რაც ჩვენ გვარწმუნებს იმაში, რომ იგივე ბურჟუაზია ვერ არის კმაყოფილი მუშათა კლასის ვითომდა დამოუკიდებელი განვითარების ჩვენ მიერ „შეფერხებით“ და მისი „დასალტვით“, რაც ძალიან სასიამოვნო უნდა ყოფილიყო მისთვის, რომ ეს ოდნავ სიმართლეს შეიცავდეს.

ამ ფაქტებს უნდა ჩაუკვირდნენ მენშევიკების მიმდევარი მუშები უცხოეთში.

მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესოა მენშევიკური გაგება იმ როლის, რომელსაც თამაშობენ ოპოზიციონერები. ეს როლი მენშევიკებს ესმისთ, როგორც მუშაობა **პროლეტარიატის დიქტატურის ლიკვიდაციისათვის.** და უნდა ვსთქვათ გადაჭრით, რომ ამაში ისინი მართალი არიან. მართალი არიან იმ აზრით, რომ ოპოზიციის ფრაქციულ მუშაობას, **გარკვეულ პირობებში** და ოპოზიციონერების სასარგებლოთ ძალთა განწყობილების **შემთხვევაში,** შეუძლია იქონიოს შედეგად გათიშვა პარტიის, გაპობა მუშურ-გლეხური ბლოკის ე. ი. იმ ბაზის, რომელსაც ეყრდნობა საბჭოთა ხელისუფლება და ამნაირათ, საბოლოო ანგარიშით ლიკვიდაცია (ან, როგორც შვარცი სწერს „მორცხვად“, „დაძლევა“) პროლეტარიატის დიქტატურის. რადგან, რას ნიშნავს ფრაქციების დარაზმვა პარტიაში—ეს ჩვენ ხომ კარგად ვიცით „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის“ ისტორიიდან. ეს ნიშნავს ბრძოლას პარტიის შიგნით ხელმძღვანელობის დაპყრობისათვის, ბრძოლას ორი სხვა და სხვა პარტიისათვის. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში კი ასეთი ბრძოლა პირდაპირი გზით, მიუხვევ-მოუხვევლად მიგვიყვანდა... პროლეტარიატის დიქტატურის და საბჭოთა სახელმწიფოს ლიკვიდაციამდე. **აქ ორნაირი აზრი არ შეიძლება ვიქონიოთ.** და ეს სთქვა საბოლოო ანგარიშით პარტიის ცეკასა და ც. ს. კომისიის პლენუმმაც.

„ფორვერტს“-ში რუს მენშევიკ შვარცს სწორეთ დიქტატურის ლიკვიდაციის სუნი ეცა, არა მარტო იმიტომ, რომ მას ფრიად განვითარებული ყნოსვა აქვს, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ ასე სურს მას. როგორც გერმანელები იტყვიან მისი „სურვილი არის მამა მისი აზრების“. თავის თავად ცხადია, რომ მენშევიკები ამ შემთხვევაშიც ისევე პირში ჩალა გამოვლებული დარჩებიან, როგორც არა ერთხელ მოსვლიათ მათ წარსულში. ეს დაემართებათ მათ იმავე მიზეზის გამო, რომელიც მოქმედებდა ამ წარსულში. ეს მოხდება იმიტომ, რომ პარტიას და ხელისუფლებას ჰყავს მედგარი დარაჯი—პროლეტარიატი. ჩვენ ზემოთ ვსთქვით, რომ გარკვეულ პირობებში, ოპოზიციის სასარგებლოთ ძალთა გარკვეულ განწყობილების შემთხვევაში, მენშევიკების ოცნებას შეიძლება ხორცი შეესხასთქო. ეს მოხდებოდა სწორეთ იმ შემთხვევაში, თუ პარტიის და დიქტატურის მთლიანობის სადარაჯოზე არ იქნებოდა სწორედ პროლეტარიატი, არ იქნებოდა თვით მისი პარტია, ამ პარტიის წევრთა მილიონიანი მასა, არ იქნებოდა მთელი კომუნისტური ინტერნაციონალი. მაგრამ „ფორვერტს“-ს და შვარცს კარგად მოეხსენებათ, რომ ეს ასე არ არის და ამაში ისინი უნდა დაერწმუნებია იმ ერთსულოვნებას, რომლითაც დაგმობილი იქნა ოპოზიცია მთელი ჩვენი პარტიისა და კომინტერნის სექციების მიერ.

ჩვენ ვიცით, რომ ობიექტიურათ შესაძლებელია წარმოვიდგინოთ როგორც გადაგვარება პარტიის, თუ მისი ნაწილის, ისე გათიშვა პარტიის. ეს აღნიშნა კიდევ ლენინმა. მაგრამ შესაძლებელია წინააღმდეგიც. და სწორეთ ამ შესაძლებლობას ანხორციელებს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და მისი პარტია, ლენინის პარტია.

„ფორვერტს“-ში მოთავსებული წერილი არის კიდევ ერთი გაფრთხილება პარტიისა და ჩვენი კავშირის მუშათა კლასისათვის. ამ მუშათა კლასისა და მისი პარტიის ერთად ერთი პასუხი ამ „გაფრთხილებაზე“ იქნება ჩვენი რიგების კიდევ უფრო შემჭიდროება, ოპოზიციის კიდევ უფრო იზოლაცია, ლენინის დროშის ქვეშ და მისი გზით ძველებურად შეუჩერებელი წინსვლა...

შეცდომის გასწორება

გუშინდელ მეთაურ წერილში გასულია კორექტურული შეცდომა, რომელიც სრულიად ამახინჯებს აზრს. სწერია:

„იყო კი დრო, როდესაც ამხ. ზინოვიევი და კამენევი, არ ურიგდებოდენ ფრაქციულ მუშაობას და სამართლიანად და გადაჭრით ილაშქრებდენ ასეთი მუშაობის წინააღმდეგ. ეს იყო მაშინ, როდესაც ისინი ებრძოდენ სხვა ფრაქციების შედგენის ცდას, ებრძოდენ ტროცკის ჯგუფს. ებრძოდენ იმიტომ, რომ ფრაქციებში ისინი ხედავდენ პარტიის და შემდეგ პროლეტარიატის დიქტატურის დაშლის მატარებელ ელემენტებს. **ისინი გამოდიოდენ იმ ხანებში პარტიის ცეკას და პარტიის წინააღმდეგ, პარტიაში ორგანიზაციული დარაზმვის წინააღმდეგ**“.

ხაზგასმული სიტყვების მაგიერ უნდა იყოს: **„ისინი გამოდიოდენ იმ ხანებში პარტიის ლეგალობის დარღვევის წინააღმდეგ, პარტიაში ორგანიზაციული დარაზმვის წინააღმდეგ“.**

სასოფლო-სამეურნეო კრედიტი

სასოფლო მეურნეობის წარმატებით განვითარების ერთ-ერთ პირობას შეადგენს კარგად დაყენებული საკრედიტო დახმარება. განსაკუთრებით დიდია სესხის მნიშვნელობა ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხთა მეურნეობისათვის. როგორც ვიცით, სწორედ ეს მეურნეობებია, რომელნიც თითქმის ქრონიკულად განიცდიან უფულობას და ამის გამო ზოგჯერ დიდათაც ზარალობენ.

ამიტომ პარტიისა და ხელისუფლებისათვის, რომელთა მთელი ყურადღება სოფლად მუშაობის საკითხებში მიპყრობილია ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობების საქმიანობა უაღრესად საგულისხმოა. ამით აიხსნება ის განსაკუთრებული დადგენილება, რომელიც მიიღო ამ დღეებში საკავშირო კომპარტიის ცეკამ სას.-სამ. კრედიტის შესახებ.

რა მდგომარეობაა დღეს ჩვენი სოფლის საკრედიტო ამხანაგობებში? აი კითხვა, რომელიც ბუნებრივად უნდა დაისვას ჩვენს წინაშე, სანამ გლეხთა შორის საკრედიტო მუშაობის განხილვაზე გადავიდოდეთ. სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა პირველყოვლისა კოოპერატიული ორგანიზაციაა. აქედან ცხადია, რომ ამ ორგანიზაციის ძირითად საბრუნავ თანხას უნდა შეადგენდეს წევრთა ანაბარები. ეს არის უმთავრესი პირობა სასოფლო-სამ. საკრ. ამხანაგობის მუშაობისა.

როგორი სურათი გვაქვს ჩვენ დღეს ამ მხრივ? უნდა გადაჭრით ითქვას, რომ გაცილებით უარესი, ვიდრე ეს შეიძლება ერთი შეხედვით წარმოვიდგინოთ. გლეხთა ანაბარები სოფლის საკრედიტო ამხანაგობებში იმდენად უმნიშვნელო თანხას წარმოადგენენ, რომ მათი საშუალებით სასოფლო საკრედიტო სისტემას, რასაკვირველია, ერთი წუთითაც არ შეუძლია არსებობა.

მოგვყავს ამ მდგომარეობის დამახასიათებელი ციფრებიც. გამონაანგარიშებულია, რომ ომამდი, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის ყოველ 100 მანეთ საბრუნავ თანხაში **59 მანეთი შეადგენდა წევრთა ანაბარებს,** 18 მან. 50 კაპ. ამხანაგობათა საკუთარ თანხას, 17 მ. 50 კ. ნასესხებ თანხას.

სულ სხვა მდგომარეობაა დღეს. ჩვენს სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათა საბრუნავ თანხიდან ყოველ 100 მანეთში შედის—20 მან. საკუთარი და ნასესხები თანხები: 38 მ. 50 კ. სესხი სახელმწიფოდან, 40 მან. დანარჩენი აქტივი და **მხოლოდ 1 მ. 50 კ. შეადგენს გლეხთა წვრილ ანაბარებს.**

აქედან აშკარაა რამდენად უმნიშვნელოა ანაბარებით შეკრებილ თანხების ხვედრითი წონა ჩვენს სასოფლო საკრედიტო ქსელში. რატომ მოხდა ეს? ცხადია აქ უადგილოა იმის მტკიცება, რომ თითქოს სოფლად ეხლა უფრო ნაკლები ფული ტრიალებს, ვიდრე ომამდე. ასეთი დებულება ჯერ ერთი სინამდვილეს არ გამოხატავს და, რომც დაუშვათ ამგვარი შესაძლებლობა, ამით მაინც ვერ ავხსნით იმ უდიდეს განსხვავების მიზეზებს, რომელიც ჩვენ დავინახეთ წინანდელ და ეხლანდელ ანაბარების საშუალო ჯამის შორის.

მიზეზები აქ სულ სხვაა. უპირველესად ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის ქველმოქმედებითი ხასიათის გადახრა, რომელიც ჩვენს სოფლის საკრედიტო ამხანაგობებს თავიდანვე დასჩემდათ. მათი თვალი უმთავრესად სახელმწიფო სალაროსაკენაა. საკრედიტო ამხანაგობები ნაკლებათ იწუხებენ თავს იმისათვის, რომ საჭირო თანხები სახელმწიფოს სალაროს გარეშე ეძებონ და პირველყოვლისა თვით წევრთა შორის გამონახონ ის.

ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო ბევრ შემთხვევაში იძულებული ხდებოდა ფულადი დახმარება გაეწია სოფლის საკრედიტო ამხანაგობებისათვის, რომ ეს ამხანაგობები არ ჩამკვდარიყვნენ. იყო დრო, როცა სოფლად მართლაც ნაკლებათ მოიძებნებოდა ფული და ადგილობრივ საშუალებით არ შეეძლო საკრედიტო ორგანიზაციებს მუშაობა. მაგრამ ეს დრო უკვე წავიდა, ჩვეულება კი ჩვეულებათ დარჩა, სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობები დღესაც სახელმწიფო სალაროს შემყურე არიან.

ამას გარდა საკრედიტო ამხანაგობების ნორმალურ მუშაობას ხელს უშლის სარგებლის სიმცირე წევრთა ანაბარებზე. ფულის მქონე გლეხი, ქოთანში ან მუთაქის თავში ინახავს მომარაგებულ თანხას, ან კერძოთ ასესხებს მას, რადგან იცის, რომ აქ სარგებელს გაცილებით მეტს აიღებს.

ამავე დროს საკრედიტო ამხანაგობები სოფლად ხშირად განიცდიან უფულობას. გლეხი, რომელსაც ანაბარები აქვს ამხანაგობაზე, საჭიროების დროს ვერ იბრუნებს თავის ფულს უკან. ცხადია, ასეთ პირობებში სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათა ნდობა ეცემა ამ გლეხის თვალში და თუ მან ერთხელ მიიტანა იქ ფული, მეორეთ არც თვითონ მიიტანს და არც მეზობელს მიატანინებს.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც აფერხებს სას.-სამ. საკრ. ამხანაგობების მუშაობას. გლეხი ხშირად ფარავს თავის შემოსავალს, მას სხვადასხვა მოსაზრებით არ სურს, რომ ვინმემ იცოდეს რა ფულის პატრონია ის. ამას ის სჩადის არა მარტო გადასახადის შიშით, არამედ თავდამსხმელთა, მეზობლის მტრობისა და შურის თავიდან ასაცდენათ, ან კიდევ სხვა რაიმე მოსაზრებით. ამიტომ სას.-სამ. საკრ. ამხანაგობებში ფულის მიტანა მას ეფიქრება.

საკავშირო კომპარტიის 19 აგვისტოს დადგენილებაში, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ, გარკვევით ნაჩვენებია გზები, რომლითაც უნდა წავიდეს სას.-სამ. საკრედიტო ორგანიზაცია თავის ტკივილების დასაძლევათ.

ერთი ამ ღონისძიებათაგანია გლეხთა ანაბარებზე პროცენტების გადიდება. მართალია ეს პირველ ხანებში მძიმე იქნება საკრედიტო ამხანაგობისათვის, მაგრამ საბოლოოთ, ის უფრო ხელს შეუწყობს ამხანაგობის მუშაობას, რამდენადაც გაზრდის და გაამრავლებს ანაბარების რიცხვს. ამასთან ერთად საკრედიტო ამხანაგობებმა უნდა დაიცვან სასტიკი საიდუმლოება ანაბარები თანხის და ამბარებელის ვინაობის შესახებ.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ არის შემთხვევები, როცა საკრ. ამხანაგობანი ვერ უბრუნებენ საჭიროების დროს ამბარებელს შემოტანილ თანხას. რომ ასეთ მდგომარეობას ბოლო მოეღოს, საჭიროა პირველყოვლისა შეკვეცილ იქნას სოფლის საკრედიტო ორგანიზაციის ზედნართი ხარჯები. ასეთები აქ უთუოდ მოიძებნება. ამასთან ერთად უნდა გადაიდგას ნაბიჯები ამხანაგობის ირგვლივ გლეხთა რაც შეიძლება ფართე მასების გაერთიანებისათვის.

ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხის ამხანაგობაში მისაზიდავათ, უნდა ეძლეოდეს მათ გრძელვადიანი სესხი შეღავათიანი პირობებით.

საკრედიტო სისტემა კოოპერატიულ მშენებლობის ერთი საუკეთესო ფორმაა სოფლად, რომელიც ხელს უწყობს ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების შემჭიდროებას და სასოფლო-მეურნეობის აღორძინებას. ამიტომ საკრედიტო ამხანაგობები სოფლად ჩვენი ძირითად ორგანიზაციების განსაკუთრებულ ყურადღების საგნად უნდა გადაიქცნენ. ჩვენ უნდა შევსძლოთ გლეხთა კრედიტის საბოლოო გაჯანსაღება.

მ. ლ—ძე.

მეტი გამძლეობა

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

პურის დამზადების კამპანია გადადის ამჟამად თავის განვითარების მეტად საპასუხისმგებლო პერიოდში. წინა პერიოდში სწარმოებდა მზადება კამპანიისათვის: გეგმის დამუშავება, მატერიალურ საშუალებათა განაწილება, დასამზადებელ აპარატის წესრიგში მოყვანა. ეს მუშაობა თითქმის დასრულებულათ შეიძლება ჩაითვალოს. უმთავრეს დამამზადებელთა აპარატს უკვე აქვს მიმდინარე კამპანიის პირველი ნაბიჯების გამოცდილება, მაშასადამე უკვე არის ის წინასწარი პირობები, რომელთა საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ, რა მდგომარეობაშია ის ძალები, რომელნიც იწყებენ ბრძოლას ბაზრის სტიქიასთან.

ზედმეტი არ იქნება, თუ მოვიგონებთ წარსული წლის კამპანიის უმთავრეს ნაკლულოვანებებს. მაშინ, კარგი მოსავლის დროს, ჩვენ ვამჩნევდით ფასების ზრდას; ამ ფასების მრავალფეროვანებას, მეზობლად მდებარე რაიონებშიაც კი, მოთხოვნილება სჭარბობდა მიწოდებას და ამასთან დაკავშირებით სამომხმარებლო ბაზარი განიცდიდა მძიმე მდგომარეობას, ადგილი ჰქონდა დამზადებელ გეგმების შეუთანხმებლობას სამრეწველო საქონლის შემოტანის გეგმასთან, ადგილი ჰქონდა უთანხმოებას ძირითად დამზადებელთა მუშაობაში ჩვენი შეუთანხმებლობის ნიადაგზე, კერძო მოვაჭრის მოქმედების გაძლიერებას და ბოლოს, ექსპორტის ზარალიანობას.

მიმდინარე კამპანიის დასაწყისში მომწესრიგებელმა და დამამზადებელმა ორგანოებმა ჩაატარეს დიდი მუშაობა ზოგიერთ შეცდომების თავიდან ასაცილებლად. ძირითად დამამზადებელ ორგანოების რაოდენობა შემცირებულია და უზრუნველყოფილია სახელმწიფო და კოოპერატიულ აპარატის თანასწორი დატვირთვა; აღებულია გეზი კოოპერატიულ დამამზადებელ სისტემის მთლიანობისაკენ, გამოსწორებული იქნება ტაქტიკური ხაზი ფასების პოლიტიკის მხრივ, შექმნილი იქნება რეზერვები პირველ რიგში შინაური ბაზრის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. მიღებულია ზომები დასამზადებელ ხარჯების შესამცირებლად, ფინანსიურ საშუალებათა თავის დროზე მოსაწესრიგებლად და სამრეწველო საქონლის რაც შეიძლება ბლომად გასატანათ დამზადების ბაზრებზე.

ძირითად დამამზადებელთა მიერ განვლილი პირველი ეტაპი ადასტურებს აღებული ხაზის სისწორეს, მიუხედავათ იმისა, რომ პურის შენახვა მთელ რიგ რაიონებში წელს დაგვიანდა. ხოლო შინაური სამომხმარებლო ბაზარი განიცდის პურის, განსაკუთრებით ხორბლის ნაკლებობას. პურის ფასები დღემდე სათანადო დონეზე იდგა.

ეს გარემოება ყოველგვარ საშუალებაზე უკეთესად ამტკიცებს, რომ მომავალში საჭიროა რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, შევინარჩუნოთ დამამზადებელ აპარატის გამძლეობა და დარაზმულობა.

საჭიროა ფხიზლათ თვალყური მცირეოდენ განაბზარს, რომ უკანასკნელი დიდ ნაპრალად არ გადაიქცეს, და ამ თვალსაზრისით ყოველგვარ შეუთანხმებელ ნაბიჯის თავის დროზე შესამჩნევად და მოუფიქრებელ ნაბიჯების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ეხლავე აღვნიშნოთ უარყოფითი მოვლენები.

ერთგვარ შიშს ბადებს პირველ ყოვლისა ზოგიერთ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებში შემჩნეული აჟიოტაჟი. სახელმწიფო დამამზადებელთა, მათ შორის განსაკუთრებით ადგილობრივ საფქვავი ტრესტების მხრივ, აჟიოტაჟი გამოხატება იმაში, რომ უკანასკნელები ებღაუჭებიან კოოპერაციის დაბალი საფეხურის უჯრედებს და არ სურთ ანგარიში გაუწიონ მათ ვალდებულებებს კავშირების მიმართ და უკანასკნელთა უპირატეს უფლებას დაბალი საფეხურის კოოპერატიული ქსელის დატვირთვის საქმეში. პერიფერიის ხელში ჩაგდების იმავე სენით მიუხედავათ მატერიალურ საშუალებათა უქონლობისა შეიძლება დაავადდენ სხვადასხვა კოოპერატიული კავშირებიც.

მეორე მომენტს, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს დასამზადებელ და გასასაღებელ ფასების განსხვავება, წარმოადგენს ზოგიერთ მომხმარებელ ორგანიზაციების ნერვიულობა-უკანასკნელნი აყენებენ გადაჭარბებულ მოთხოვნილებას მათი რაიონების მიმდინარე საჭიროებათა დაკმაყოფილების შესახებ. გასავლის ხიდიდე, პურის დასამზადებლათ გადადებულ საქონლის და ფულის რაოდენობა და აგრეთვე კამპანიის ორგანიზაცია არ იძლევა საბაბს ასეთი თადარიგის დაჭერისათვის, ამავე დროს გადაჭარბებული მოთხოვნილებათა ფაქტს შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს კამპანიის მსვლელობაზე.

კამპანიის ჩატარების სხვა ნაკლულოვანებათა შორის უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჩვენი საკრედიტო დაწესებულებები სუსტათ ანხორციელებენ კერძო ბრუნვის და ე. წ. გეგმის გარეშე დამზადების მოწესრიგებას.

საკმარისია ჩაუკვირდეთ გამოაშკარავებელ დეფექტების ხასიათს, რათა წარსული კამპანიების გამოცდილებათა საფუძველზე დავინახოთ, თუ რომელი მხრიდანაა მოსალოდნელი შეფერხება და სად და რაში უნდა გამოვიჩინოთ მაქსიმალური სიფხიზლე.

დამზადების ფრონტის გარღვევის საფრთხე უწინარეს ყოვლისა მდგომარეობს ჩვენი ორგანიზაციების გამძლეობის, დარაზმულობის და შეთანხმებითი მოქმედების უქონლობაში.

რამდენადაც მცირე არ უნდა იყოს პირველი შეცდომები იგი მოითხოვს უდიდეს ყურადღებას პარტიის მხრივ. ის დადებითი მხარე, რომელიც მიღწეულია ჩვენ მიერ კამპანიის ჩატარების დროს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას შერყეული. მომწესრიგებელმა ორგანოებმა და დამამზადებელმა ცენტრებმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ზომები დასამზადებელ ფრონტის მთლიანობის აღსადგენად.

ეს კამპანია ჩვენ უნდა ჩავატაროთ მაქსიმალური გამძლეობით და დავასრულოთ მაქსიმალური წარმატებით.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 24 აგვისტო.

ნახშირის მრეწველთა პროვოკაციამ არ გასჭრა

ნოტინგამშირის და დერბიშირის მემაღაროეები არ წამოეგენ მაღაროს მეპატრონეთა ანკესზე

იმ მუშების 90%, რომლებმაც წარსულ კვირაში განაახლეს [illegible]ბა, ისევ გაიფიცა

ლონდონში შესაძლებლად თვლიან მოლაპარაკების განახლებას მემაღაროე[illegible] და მაღაროს პატრონთა შორის

კანტონის რევოლიუციონური არმია შეტევისათვის ემზადება

გაფიცვა ინგლისში

სამთამადნო მუშათა დელეგაცია საბჭოთა კავშირში

ლონდონი, 23 აგვისტო. ლესტერის ოლქის სამთამადნო მუშათა ფედერაციის წარმომადგენელი ჯეკ სმიტი იუწყება, რომ მახლობელ კვირაში ის სამთამადნო მუშათა დელეგაციასთან ერთად მიემგზავრება საბჭოთა კავშირში იმ მიზნით, რათა საბჭოთა კავშირის მშრომელებს გააცნოს სამთამადნო მუშათა მდგომარეობა.

კომპრომისის წინააღმდეგ

ლონდონი, 23 აგვისტო. მემაღაროეთა მიტინგზე ნოტინგამშირში **ერთხმად მიიღეს რეზოლიუცია კომპრომისის წინააღმდეგ.** კუკმა ზენსფილდში გამოსვლის დროს განაცხადა: „დანას ნუ ჩასცემთ ფედერაციას ზურგში. მაღაროს პატრონებმა იციან, რომ თუ ისინი მოახერხებენ ჩამოაშორონ მემაღაროეთა ფედერაციას ნოტინგამშირის და დერბიშირის მუშები, მაშინ ფედერაცია დამარცხდება, ხოლო მწარმოებლებს წილად ხვდებათ წლაპრული მოგება ამ ოლქებში“. ნოტინგამშირისა და დერბიშირის მაღაროს პატრონები გააფთრებულ აგიტაციას ეწევიან მემაღაროეთა შორის მუშაობის განახლებისათვის.

ახალი მოლაპარაკების შესაძლებლობა?

ლონდონი, 23 აგვისტო. გამოქვეყნებულია ცნობა იმის შესახებ, **რომ თითქოს მთავრობამ აცნობა კუკს, რომ ერთი მინისტრი, რომელსაც მინდობილი აქვს კონფლიქტისათვის თვალყურის დევნება მზადაა შეხვდეს კუკს ყოველ დროს.**

ათასგვარი მითქმა - მოთქმა გამოიწვია კუკის „საიდუმლო“ განცხადებამ წარსული კვირის ბოლოში, როდესაც მან სთქვა, რომ მოლაპარაკება შეიძლება განახლებული იქნას ახალი წრეების ინიციატივით. ამ განცხადებასთან დაკავშირებით ახსენებენ გავლენიან მოღვაწეების სახელებს, **მაგრამ ეს ხმები არ მართლდება.**

სამთამადნო მუშათა ფედერაციის თანამდებობის პირნი ბრუნდებიან ლონდონში 24 აგვისტოს. პრესა ფიქრობს, თანამდებობის პირთა დაბრუნების შემდეგ გამოირკვევა კუკის განცხადების მნიშვნელობა.

მაღაროების მეპატრონეთა და სამთამადნო მუშათა შორის მოლაპარაკების შუამავლად ასახელებენ ლოიდ-ჯორჯს, კენტერბერის არქიეპისკოპოსს და სანახშირო კომისიის თავმჯდომარეს სემიუელს.

გაზეთი „სტარი“ იუწყება, **რომ საბანკო და ფოლადის მრეწველობის წრეები მთავრობაზე ახდენენ ზეგავლენას იმ მიზნით, რათა მიაღწიონ კონფლიქტის მოგვარებას ნახშირის მრეწველობაში.**

მაღაროს მეპატრონეთა ახალი წინადადება

ლონდონი, 25 აგვისტო. სტაფორდშირის მაღაროს მეპატრონეებმა ახალი წინადადებით მიმართეს მემაღაროებს, რომ განახლდეს მოლაპარაკება შემდეგ საფუძველზე: 1927 წ. 1 მარტამდე დარჩება აპრილის სამუშაო ხელფასი, სამუშაო დღეთ კი 8 საათი.

მწარმოებელთა შეთქმულება დამარცხდა

ლონდონი, 23 აგვისტო. მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომმა გამოაქვეყნა განცხადება, რომ ნოტინგამშირისა და დერბიშირის მწარმოებლების შეთქმულება დამარცხდა. მუშების დაბრუნება სამუშაოზე შეჩერებულია დიდი რაოდენობით. პრესა აღნიშნავს, **რომ მხოლოდ იმ მუშების 10 პროც. განაახლა მუშაობა, ვინც წარსულ კვირაში ხელი მოაწერა ხელშეკრულებას.**

მშვიდობიანობის ლიგა ინგლისის მრეწველობაში

ლონდონი, 25 აგვისტო. მეზღვაურთა და გემის ცეცხლთ-ფარეშთა კავშირის თავმჯდომარე ვილსონი მოხსენებით გამოვიდა ნიუკესტლში პროფკავშირთა ბელადების სხდომაზე. მოხსენება შეეხებოდა „მშვიდობიანობისა და ბრიტანეთის მრეწველობის ლიგის“ დაარსებას.

ვილსონმა აღნიშნა, რომ ამ ლიგის შექმნას მიზნათ აქვს „იხსნას პროფმოძრაობა უკიდურეს დამრღვეველ ძალთა მოქმედებისაგან“ და რომ ლიგის ძირითადი პრინციპების მიზანია ბრძოლა კლასიურ შეგნებისა და კლასიური ბრძოლის დოქტრინის წინააღმდეგ“.

სანახშირო გაფიცვა

ლონდონი, 25 აგვისტო. მაღაროს მეპატრონეთა წინადადების გამო, რომლის მიხედვით სამუშაო დღე უნდა იქმნას გადიდებული, დერბიშირისა და ნოტინგამშირის სამთა-მადნო მუშების დიდ ნაწილს უნდოდათ შეთანხმებაზე ხელის მოწერა, მაგრამ მემაღაროეთა ბელადებმა შეაჩერეს. ბელადებს იმედი ქონდათ, რომ საქმეს საერთო-ნაციონალური მასშტაბით სწრაფად მოაგვარებდენ, თუმცა მათ ოპტიმიზმის საფუძველი არ ქონდათ.

თუ საერთო მდგომარეობაში ცვლილებანი არ იქნა, მაშინ ფიქრობენ, რომ ხელახლა გაძლიერდება მუშათა სამუშაოზე დაბრუნების მისწრაფება.

მეზღვაურნი უკმაყოფილონი არიან ბელადებით

ლონდონი, 25 აგვისტო. „სენდეი უორკერი“ იუწყება, რომ ყველა ნავთსადგურებში მეზღვაურებსა და ტრანსპორტელებს შორის ძლიერდება მოძრაობა იმის სასარგებლოდ, რომ ტრანსპორტელებისა და შავ-მომუშავეთა კავშირთან დაარსდეს მეზღვაურთა სექცია.

მეზღვაურნი ძალიან უკმაყოფილონი არიან მეზღვაურთა და გემის ცეცხლთ-ფარეშთა კავშირის რეაქციონური თავმჯდომარის ვილსონის პოლიტიკით, რომელმაც გაილაშქრა საყოველთაო გაფიცვის წინააალმდეგ. საზღვაო სექციის შექმნა ხელს შეუწყობდა მუშათა მთლიანობის განმტკიცებას, ვინაიდან დოკერებისა და ნავთსადგურების სხვა მუშებისაგან მოწყვეტის გამო მეზღვაურებს არ შეუძლიათ იბრძოლონ შრომის პირობების გასაუმჯობესებლად.

მდგომარეობა ჩინეთში

კანტონის ჯარები ემზადებიან შეტევისათვის

პეკინი, 23 აგვისტო. ხუნანიდან მიღებული ცნობით, კანტონის მთავრობის ჯარები ემზადებიან ახალი შეტევისათვის ჩრდილოეთში და განზრახვა აქვთ იერიში მიიტანონ იო-ჩოუზე ხუნანის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში, პროვინცია ხუ-ბეის საზღვრების მახლობლად.

წინანდელი ცნობები იმის შესახებ, რომ კანტონის ჯარებმა გადასწყვიტეს შეჭრილიყვნენ ციან - სის პროვინციაში, რომელიც სუნ-ჩუან-ფანის ხელში იმყოფება, მართალი არ აღმოჩნდა. ეს ცნობები ვრცელდება კანტონის მტრების მიერ იმ მიზნით, რომ სუნ-ჩუან-ფანი აიძულოს გამოვიდეს კანტონის წინააღმდეგ. სუნ-ჩუან-ფანმა განაცხადა, რომ მას არ სურს ჩაერიოს ომში, თუ ციან-სის პროვინციას თავს არ დაესხმიან.

გონკონგიდან მიღებული ცნობით ჩან-ძო-ლინი ემზადება თავს დაესხას გუან-დუნის პროვინციას სამხრეთიდან. უკანასკნელი ცნობებით, პროვინცია გუან-დუნში იმყოფება სოფლის გლეხობის მილიციის 392 რაზმი 11.287 კაცის რაოდენობით.

ატამან სემიონოვის მისწრაფება

პეკინი, 23 აგვისტო. როგორც ხმებს დადის, ამჟამად პეკინში მყოფი ატამანი სემიონოვი სცდილობს, რომ ის დაინიშნოს უ-პეი-ფუს სამხედრო მრჩევლის თანამდებობაზე. ჩან-ძო-ლინის მრჩეველი მერკულოვი, რომელიც თეთრგვარდიელთა წინამძღოლი იყო აღმოსავლეთში, წინააღმდეგია სემიონოვის დანიშვნისა.

გალაშქრება პიონერთა წინააღმდეგ

ხარბინი, 23 აგვისტო. პიონერთა ორგანიზაციის სამი წლის არსებობის დღესასწაულის დროს სად. მანჯურიაში შეიარაღებულმა პოლიციამ გარეკა დემონსტრანტები. ჩინეთის მთავრობის მთავარსარდალმა აუკრძალა პიონერებს თეთრი და მწვანე ფერის ხალათების ტარება, რომლებსაც საყელოზე წითელი ლენტები ექნება შემოყოლებული; აუკრძალა აგრეთვე სახელოების წამოწევა იდაყვებს ზევით.

გადატრიალება საბერძნეთში

პანგალოსს თვითგასამართლებას უპიროებენ

ბერლინი, 24 აგვისტო. ათინიდან მიღებულ ცნობების მიხედვით, **ბრბომ ქვები დაუშინა ავტომობილებს, რომლითაც პანგალოსი მიყავდათ ციხეში და ემუქრებოდა პანგალოსს თვითგასამართლებით.**

საგარეო პოლიტიკა არ შეიცვლება

ლონდონი, 24 აგვისტო. ათინიდან იუწყებიან, რომ პანგალოსის მთავრობის ჩამოგდება არავითარ ცვლილებებს არ შეიტანს საბერძნეთის საგარეო პოლიტიკაში. ასეთი განცხადება იქმნა გაკეთებული საბერძნეთსა და სამხრეთსლავიის შორის დადებულ ხელშეკრულების შესახებ.

ბირჟაზე

ლონდონი, 24 აგვისტო. ათინის ბურჟუას ემჩნევა, რომ ახალ მთავრობას ნდობას უცხადებენ. გირვანქა სტერლინგის კურსი დაეცა.

პანგალოსის დატყვევება

ათინა, 23 აგვისტო. პანგალოსი, რომელიც საზღვარგარეთ ცდილობდა გაქცეულიყო, დაატუსაღეს ნაღმოსან „პერგამოსზე“. **პანგალოსი და მისი ყოფილი მინისტრები გადაეცემიან უმაღლეს სასამართლოს.**

საბერძნეთში

პარიზი, 25 აგვისტო. გენერალმა კონდილისმა განაცხადა, რომ იგი იბრძოლებს დიქტატურის ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ. საბერძნეთის საგარეო პოლიტიკა უცვლელი რჩება.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ფინეთის გარეშე საქმეთა მინისტრის განცხადება

სტოკჰოლმი, 23 აგვისტო. გაზეთი „სვენსკა დაგებლადეტ“ აქვეყნებს ფინეთის გარეშე საქმეთა მინისტრის სეტელიასთან საუბარს „საბჭოთა კავშირთან საგარანტიო ხელშეკრულების დადება — განაცხადა სეტელიამ, — არ მოახდენს არავითარ გავლენას ფინეთის, ესტონიის და ლატვიის ურთიერთობაზე. ჩვენ ვერ ვიკისრებთ,—დაუმატა მან,—რაიმე ნეიტრალიტეტის დაცვას, რომელიც ჩვენი მოქმედების თავისუფლებას შეზღუდავდა რომელიმე ჩვენ მეზობელ სახელმწიფოზე თავდასხმის დროს“.

ტანჟერის საკითხი

პრიმო დე-რივერას განცხადება

პარიზი, 23 აგვისტო. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ტანჟერის საკითხის შესახებ, ესპანეთის დიქტატორმა, გენერალმა არიბო-დე-რივერამ განაცხადა, რომ დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს ყველა ის საკითხები, რომელიც ტანჟერს შეეხება. ესპანეთი დარწმუნებულია, რომ ტანჟერის გამორიცხვა იმ მცირე პროტექტორატიდან, რომელიც მას მიენიჭა მაროკოში, არის უსამართლობა და სერიოზული შეცდომა. მაროკოში 16 წლის მუშაობის შემდეგ, ხანგრძლივი ბრძოლის და სიძნელეთა, ევროპის ომში ნეიტრალიტეტის და მაროკოში 40.000 ადამიანის მსხვერპლის გაღების და 5 მილიარდი პეზეტის დახარჯვის შემდეგ, გადაჭარბებულად არ უნდა იქნეს მიჩნეული მოთხოვნილება ტანჟერის იმ ტერიტორიაში ჩარიცხვის შესახებ, რომელიც ესპანეთის პროტექტორატის ქვეშ იმყოფება.

„თუ ჩვენ არ მივიღებთ დაკმაყოფილებას—განაცხადა არიბო დე-რივერამ—**ჩვენ იძულებული ვიქნებით გადავსინჯოთ საკითხი იმის შესახებ, ღირს თუ არა 200 მილიონი პეზეტის ხარჯვა წლიურად, რათა დავიცვათ ტანჟერი, როგორც ახალი ინტრიგების საერთაშორისო ბუდე**

დიპლომატიური წრეების შიში

ლონდონი, 23 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფის“ დიპლომატიური კორესპონდენტი, უკეთებს რა კომენტარიებს პრიმო-დე-რივერას განცხადებას ესპანიის ტანჟერის საერთაშორისო ზონის ჩარიცხვის შესახებ იმ ტერიტორიაზე, რომელიც ესპანეთის მფარველობის ქვეშ იმყოფება, სწერს:

ეს მოთხოვნილება ახალი არ არის. მაგრამ ამ საკითხის წამოყენებამ, ერთა ლიგაში მუდმივი და არამუდმივი ადგილების განაწილების წინ, გამოიწვია დიპლომატიურ წრეებში ერთგვარი საშიშროება. ეს შიში დამყარებულია იმაზე, რომ შესაძლებელია ისპანიამ დაუკავშიროს ტანჟერის საკითხი ერთა ლიგაში მუდმივი ადგილის მოთხოვნის საკითხს. ყოველ შემთხვევაში, ინგლისი და იტალია გადაჭრით იმ აზრისანი არიან—მხარი დაუჭირონ ტანჟერის საერთაშორისო ზონად დარჩენის აუცილებლობას.

ესპანეთის პოზიცია

ლონდონი, 24 აგვისტო. რომიდან იუწყებიან, რომ ესპანეთი იჩენს შეთანხმების ტენდენციას ერთა ლიგის საბჭოში ადგილების განაწილების საკითხისადმი გერმანიის თანაგრძნობის გამო ტანჟერის საკითხში.

ბრძოლა მუდმივი ადგილებისათვის

ერთა ლიგის საბჭოში

ჩრდილოეთის ქვეყნების საპარლამენტო კონფერენციის აზრი

კოპენჰაგენი, 23 აგვისტო. 16 აგვისტოს კოპენჰაგენში გაიხსნა ჩრდილოეთის ქვეყნების საპარლამენტო კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს: შვეციამ, ნორვეგიამ, დანიამ და ისლანდიამ.

ერთა ლიგის საბჭოში მუდმივი ადგილის საკითხის შესახებ კონფერენციამ დაადგინა, რომ მუდმივი ადგლების რაოდენობის გადიდებას იმ ახალ ადგილს გარდა, რომელიც გერმანიას ეძლევა, ადგილი არ უნდა ექნეს.

გერმანია და ერთა ლიგა

ლონდონი, 24 აგვისტო. „ბერლინერ ტაგებლატი“ ფიქრობს, რომ დიპლომატიური წრეები ოპტიმისტურად არიან განწყობილი გერმანიის ერთა ლიგაში შესვლის საკითხის მიმართ. ფიქრობენ, რომ შეთანხმება ამ საკითხის შესახებ მოხდება ლორდ რესილის წინადადების გამოქვეყნების შემდეგ. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, იტალია კეთილგანწყობილებას იჩენს.

გაზეთების მიმოხილვა

უცხოეთის პრესა

„ისარგებლეთ შემთხვევით“!

ასეთი სათაური გაზ. „ტან“-ში (12 აგვ.) მოთავსებულია საინტერესო წერილი, რომელშიაც მოთხრობილია საქონლის ფასების იმ დამახასიათებელ „ოთურმის“ შესახებ, რომელიც თან სდევს ფრანკის კურსის დაცემას. საფრანგეთის „საზოგადოებისათვის“ ეს ამბავი, ყოველ შემთხვევაში იმ სახით, როგორითაც ის „ეწვია“ პუანკარეს რესპუბლიკას, ახალია. ჩვენ ეს საფეხური კარგი ხანია გავიარეთ და ერთ დროს ეს „საზოგადოება“ სეირის მაყურებლის როლში გამოდიოდა. როგორ წარმოიდგენდა ის, რომ მხოლოდ სამიოდე წლის შემდეგ საფრანგეთის პრესის ხელმძღვანელ ორგანოში წააწყდებოდა მაგალითად, ასეთ სტრიქონებს:

„ფეხსაცმელებია ეს, ტანისამოსი, ავეჯეულობაა თუ სხვა საგანი, ყველას ვიტრინებში მიკრულია დამახასიათებელი წარწერა: **„ისარგებლეთ შემთხვევით სანამ გვიან არ არის“,** სანამ უფრო არ გაძვირებულა. ეს წარწერები იზიდავს კაცს, აღელვებს, იმუქრება“.

ასეთი მდგომარეობა შავ ფიქრებს ჰგვრის წერილის ავტორს და ეჭვს იწვევს მასში ქვეყნის მომავალი ბედიღბლის შესახებ.

„ხომ ააშკარავებს მარტო ეს ეტიკეტები, ასეთი წარწერები ჩვენ **ქაოტიურ მდგომარეობას,** დაბურდულ საქმეებს, ჩვენს გაუმაძღრობას, და **ყოველივე იმის მერყეობას,** რასაც ვხედავთ ჩვენს გარშემო? ისარგებლე მომენტით, რასაც ცხოვრება გაძლევს სამხიარულოდ, ისარგებლე, **რადგან არ იცი რას მოგიტანს ხვალინდელი დღე,** ისარგებლე, რადგან **გამოურკვეველია მომავალი**“.

ასეთია მდგომარეობა „სტაბილიზაცია“ ქმნილ ბურჟუაზიულ ევროპაში. ასე მოსთქვამს კონტინენტის უძლიერესი სახელმწიფოს მოქალაქე, რომელსაც შავი ფერადებით ეხატება თავისი ქვეყნის მომავალი, რადგან აწმყო აძლევს ამის სამწუხარო საბაბს.

როგორც ვიცით საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა ისედაც გაძვირებული პურის ხარისხის გაუარესება, რომ შეამციროს მისი ექსპორტი და გამოიჩინოს მომჭირნეობა.

გამარჯვებულ ქვეყნებმაც ვერ იხსნეს თავი იმ საშინელებიდან, რომელიც თავს დაატყდა დამარცხებულ ან სამოქალაქო ომით და რევოლიუციით ერთ დროს დასუსტებულ ქვეყნებს. „განმანთავისუფლებელი“ ომის შედეგები საგრძნობია, როგორც დამარცხებულების, ისე გამარჯვებულებისათვის და „სამოთხე“, რომელსაც უკვე ამ ქვეყნათ ჰპირდებოდენ დაბრიყვებულ ხალხებს მათი ბატონ-პატრონები ომის დროს, გამოეცხადა მათ აუტანელი აწმყოსა და გაურკვევლობით მოცული მომავლის სახით...

საბჭოთა პრესა

რეფორმისტების მორიგი ცილისწამება

გაღმა შედავების პოლიტიკა, როგორც ვიცით ერთ საუკეთესო და ამავე დროს საკმაოთ გაცვეთილ ბრძოლის მეთოდს წარმოადგენს. ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვების დროს გერმანიის რეფორმისტულ პროფკავშირის ლიდერები აშკარა მოღალატურ როლს თამაშობენ. და სწორედ იმიტომ, რომ ეს მოღალატეობა მეტად აშკარაა, რომ ინგლისის და გერმანიის მუშათა კლასი მათ გამ ცემლობას ამჩნევს, საჭიროა დანაშაულის მიჩქმალვა, საჭიროა თავის თავის მოღალატური სიტიტვლის სხვისი დანაშაულობით დაფარვა, თუნდაც ეს დანაშაული მოგონილი ჭორი და ზღაპარი იყოს.

„ეკონომიჩესკაია ჟიზნი“-ს № 186-ში მოთავსებულია სამთამადნო მუშათა საკავშირო ცეკას მდივანის, ამხ. გორბაჩოვის ვრცელი განმარტება იმ ცილისწამების გასაფანტავათ, რომელიც შეთხზა ჰამბურგის პროფკავშირთა საბჭომ. ამხ. გორბაჩოვის წერილში ჩვენ ვკითხულობთ:

„სოციალ - დემოკრ. „ჰამბურგერ ეხო“-ში მოთავსებულია ჰამბურგის პროფკავშირთა საბჭოს ცნობა იმის შესახებ, თითქოს გერმანელ მეზღვაურთა კავშირის ლიდერმა, კელერმა განაცხადა მუშათა კრებაზე, რომ საბჭოთა მთავრობამ ხელშეკრულება დასდო ინგლისის კაპიტალისტებთან ნავთის მიწოდების შესახებ. კელერმა თითქოს დაუმატა, რომ „თუ ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვა დამარცხდა, ამის მიზეზი იქნება ეს ხელშეკრულებაო“.

ამავე ცნობის თანახმად კუკმა თითქოს განაცხადა საბჭოთა სამთამადნო მუშაკების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს, რომ შეეჩერებიათ საბჭოთა ნავთის გზავნა ინგლისში და თითქოს ეს მოთხოვნილება უარყოფილი იყო საბჭოთა სამთამადნო მუშაკების წარმომადგენელის მიერ.

ამხ. გორბაჩოვი სამთამადნო მუშაკთა ცეკას სახელით აცხადებს, რომ **ეს ცნობა თავიდან ბოლომდე მოჭორილია** და თავის განცხადების დასამტკიცებლათ, ამხ. გორბაჩოვს მოჰყავს ნავთის სინდიკატის ოფიციალური ცნობა, საიდანაც აშკარათ სჩანს, რომ გაფიცვის მიმდინარეობის მთელი ხნის განმავლობაში არც ერთი ტონა, არც ერთი გრამი მაზუთი ან ნავთი არ გაზიდულა ინგლისში. მაშ რამ აიძულა ჰამბურგის პროფკავშირთა საბჭო, რომ მან ასეთი ცილისწამება შეთხზა? ამაზე ამხ. გორბაჩოვი შემდეგნაირად უპასუხებს:

„ჯერ ერთი საჭირო იყო ინგლისის მუშების, კერძოთ მემაღაროების, საბჭ. კავშირის მუშებზე გადაკიდება, ჩვენი და ინგლისის პროლეტარიატის ძმური კავშირის და სოლიდარობის დარღვევა... მეორე მიზანი ამ ცილისწამებისა იყო გერმანულ პროფკავშირთა ლიდერების მიერ ინგლისის მემაღაროეთა მიმართ ჩადენილ მოღალატეობის გამართლება. გერმანიიდან დიდძალი ნახშირი გააქვთ, რასაც ხელს უწყობენ პროფკავშირთა ლიდერები. ამით კი ისინი ძირს უთხრიან ინგლისის მემემაღაროეთა გაფიცვას“.

ერთი სიტყვით გერმანიის რეფორმისტულ პროფკავშირების ლიდერები მტკიცედ მისდევენ თავისმართლების ერთ ცნობილ მორალს, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: როცა ვისიმე გინება გინდა, **დასწამე ის ნაკლი, რომელიც შენ გაქვს.** ჯერ ერთი შენ აღარავინ დაგწამებს ამ ნაკლს და მეორეც დაოსტატებული იქნები გინებაში.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

შვეციელი მუშების დახმარება ინგლისის მუშებისადმი

სტოკჰოლმი, 25 აგვისტო. გაფიცვის მთელი ხნის განმავლობაში შვეციის მთელმა პროფმოძრაობამ ინგლისის გაფიცულ მუშებს გადაუგზავნა სულ 1.025.300 კრონი.

ბრიტანეთის ტრედ-იუნიონების კონგრესზე

მოსკოვი, 25 აგვისტო. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭომ დაადგინა: ბრიტანეთის ტრედიუნიონების კონგრესზე გაგზავნოს ამხ. ტომსკი და მელნიჩანსკი.

გერმანია და ერთა ლიგა

ბერლინი, 25 აგვისტო. ფიქრობენ, რომ გერმანიის დელეგაცია ერთა ლიგის სექტემბრის სესიაზე მხოლოდ მაშინ წავა, თუ ერთა ლიგაში შესვლა უზრუნველყოფილი იქნება.

პიგმეები ავსტრალიაში

ბერლინი, 25 აგვისტო. გერმანელმა მკვლევარმა პლანტერმა ავსტრალიაში მდ. სამუს გასწვრივ აღმოაჩინა პიგმეების ახალი ტომი, რომელთა სიმაღლე 4 ნახ. ფუტს უდრის.

ჩეხიის კომპარტიის ცეკას პლენუმის მოწოდება

პრაღა, 25 აგვისტო. ჩეხიის კომპარტიის ცეკას პლენუმმა მოწოდებით მიმართა მუშათა მასებს, რომელშიაც აღნიშნავს, რა ეკონომიურ კრიზისის ზრდანა და დიდ უმუშევრობას, მოუწოდებს ენერგიულ კამპანიისაკენ, რათა დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნას პარლამენტი, გაუქმებულ იქმნას დაზღვევის ვენტის სისტემა, ცნობილ იქმნას საბჭოთა კავშირი, დაწესებულ იქმნას კონტროლი წარმოებაზე, გაუქმებულ იქმნას აგრარული ბაჟები და შეიქმნას მუშათა მთლიანი ფრონტი.

კომუნისტის გამორიცხვა მშვიდობიანობის კონგრესიდან

პარიჟი, 25 აგვისტო. ბიერვილში შეკრებილმა „მშვიდობიანობის“ კონგრესმა კრებიდან გარიცხა კომუნისტი, რომელიც ავრცელებდა ფურცლებს იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ.

გაფიცულთა მიერ მუშაობის განახლების შეჩერება

ლონდონი, 25 აგვისტო. მაღაროს მეპატრონეთა და მემაღაროეთა ცნობები იმ მუშათა რიცხვის შესახებ, რომლებმაც მუშაობა განაახლეს ლოტინგამშირისა და დერბიშირში, ძალიან განსხვავდება ურთიერთისაგან.

მაღაროს მეპატრონეთა მტკიცებით, ორივე საგრაფოში მუშაობა განაახლა 700 კაცმა, მემაღაროეთა პიკეტები კი აცხადებენ, რომ სამუშაოზე დაბრუნებულთა რიცხვი გაცილებით ნაკლებია.

კუკმა, გაუკეთა რა რეზიუმე მდგომარეობას განაცხადა, რომ სამუშაოზე დაბრუნებისადმი მისწრაფება საბოლოოდ შეჩერებულია. ნოტინგამშირსა და დერბიშირში სასწრაფოდ გაიგზავნა პოლიციის ძლიერი რაზმები.

კათოლიკური კონგრესი

ლონდონი, 24 აგვისტო. ბრესლავლიდან იუწყებიან, რომ კათოლიკურმა კონგრესმა მექსიკანელ ეპისკოპოსებს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც გამოხთქვამს იმედს, რომ ეკლესია და მექსიკის მთავრობა შეთანხმდებიან.

საფრანგეთ-გერმანიის საავიაციო შეთანხმება

ბერლინი, 24 აგვისტო. საფრანგეთ-გერმანიის საავიაციო შეთანხმების დადების გამო, რეინის პროვინციის საკავშირო კომისიამ გააუქმა დღემდე ძალაში მყოფი დეკრეტი, რომელიც უკრძალავდა გერმანიის ჰაეროპლანებს საკავშირო ჯარების მიერ დაჭერილ ტერიტორიაზე ფრენას. განზრახულია კომერციული საჰაერო მიმოსვლის შემოღება.

ემიგრაციის საკითხი

ლონდონი, 24 აგვისტო. ტოკიოდან იუწყებიან, გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ სავს[illegible]ით იცვლება მისი პოლიტიკა ემიგრაციის [illegible]ხში. განზრახულია ყურადღება მიექცეს [illegible]ტი მოსახლეობის კუნძულ ფორმოზაზე [illegible] ახვა იაპონიის სამფლობელოებში გადასახლებას. მთავრობამ შეიგნო, რომ ემიგრაცია კანადისა, ავსტრალიასა და სხვა ქვეყნებში გართულებას და არაკეთილსასურველ განწყობილებას იწვევს.

ნიკარაგუა

ბერლინი, 24 აგვისტო. ნიკარაგუას მთავრობამ განაცხადა, რომ ესპანეთის აჯანყება სავსებით ჩაქრობილია.

„ინდოს“ გაფიცვა

მოსკოვი, 25 აგვისტო. „ინდოს“ მთავარმა რწმუნებულმა მოსკოვში კენიგან მიმართა სახალხო შეერთების კავშირის ცეკას შემდეგი განცხადებით:

„ჩვენ მივიღეთ ცნობა ოდესიდან, რომ აკრძალულია სასამსახურო დეპეშების გაგზავნა ინდოს მავთულით საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სადგურებსა და ლონდონის სამმართველოს შორის. გთხოვთ შეგვატყობინოთ, ადასტურებს თუ არა სახალხო შეერთების ცეკა ამ ცნობას და აგრეთვე ისიც, მიღებულია თუ არა ზომები „ინდოს“ ქონების დასაცავად.

სახალხო შეერთების ცეკამ შეკითხვაზე უპასუხა, რომ არავითარი ოფიციალური ცნობა დეპეშების გადაცემის შეჩერების შესახებ მას არ მოეპოვება. რაც შეეხება „ინდოს“ ქონების დაცვას, ეს თვით კონცესიონერების საქმეაო.

ინგლის-რუსეთის კომიტეტი

ლონდონი, 25 აგვისტო. ინგლის-რუსეთის კომიტეტის წინასწარ თათბირზე ინგლისის დელეგაცია დასთანხმდა საბჭოთა დელეგაციის მოთხოვნილებაზე, რომ დღის წესრიგის პირველ რიგში დაისვას ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვის საკითხი. ეს თანხმობა მოჰყვა საბჭოთა დელეგაციის განცხადებას, რომ იგი ამ საკითხში შეზღუდულია განსაზღვრული ინსტრუქციებით.

ამის შემდეგ ანდრეევმა გააცნო საბჭოთა პროფკავშირის თვალსაზრისი სამთა-მადნო მუშათა გაფიცვის შესახებ. მოისმინა რა საბჭოთა დელეგაციის მოხსენება ამ საკითხის შესახებ, ინგლისის დელეგაციამ განიხილა იგი ცალკე თათბირზე. დღევანდელ საერთო სხდომაზე ინგლისის დელეგაცია გააცნობს თავის თვალსაზრისს.

ინგლისის საგარეო ვაჭრობის არახელსაყრელი ბალანსი

ლონდონი, 25 აგვისტო. კონსერვატორი კანდიდ[illegible]სტი „მორნინგ პოსტის“ რედაქცია[illegible] წერილში, რომელიც ეხება ინგლი[illegible] ვაჭრობის არახელსაყრელ ბა[illegible] მოსთხოვს, რომ მთავრობამ მიიღოს [illegible] ზომები შექმნილი მდგომარეობის შესახ[illegible]ად და კერძოდ „მაგარი პასუხი გასცეს საბჭოთა კავშირის ინტრიგებს ინგლისის მრეწველობის კეთილდღეობის წინააღმდეგ“.

თავდასხმის განზრახვა ამერიკის საელჩოზე

ბერლინი, 25 აგვისტო. არგენტინის პოლიცია სთხოვს ურუგვაის მთავრობას, რომ განთავისუფლებულ იქმნას ანარქისტი ურიენდი, რომელიც ამერიკის საელჩოზე (ბუენოს-აირესში) თავდასხმის ინიციატორი იყო.

რუმინეთის სამხედრო შეკვეთები იტალიაში

ბერლინი, 25 აგვისტო. რუმინიის მთავრობამ იტალიაში შეუკვეთა 300 მილ. ლეის თოფი, რის შესახებაც იუწყება ორგანო „სიტორული“. სხვა ვერსიების მიხედვით საქმე ეხება ავსტრიის თოფებს, რომლებიც ომის დროს იქმნა ხელში ჩაგდებული.

ამერიკელების გერმანიაში შესვლა

ბერლინი, 25 აგვისტო. გამოცხადებულია, რომ ამერიკელი მოგზაურებისათვის, რომლებიც გერმანიაში შედიან ბენდხეიმისა, აახენისა, კელნისა და ბაზელის გზით, საჭირო აღარაა ვიზა.

ყალბი ფულის მკეთებელთა საქმე

ბერლინი, 25 აგვისტო. ბუდაპეშტში სასამართლომ გადასინჯა ყალბი ფულის მკეთებელთა საქმე და ძველი განაჩენი დასტოვა ძალაში.

ინტერნაციონალური შაურის შეგროვება

მოსკოვი, 25 აგვისტო. საკავშირო ახალგ. ლენინურ კომკავშირის ცეკამ წინადადება მისცა კავშირის ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომ ინტერნაციონალური შაურის შეგროვება დაამთავრონ არა უგვიანეს 1926 წ. 15 სექტემბერისა.

უცხოეთი გადატრიალების შესახებ

რომი, 25 აგვისტო. გადატრიალებას საბერძნეთში იტალიის პოლიტიკური წრეები უკმაყოფილებით შეხვდენ, რადგან იტალიის პოზიციების განმტკიცება ბალკანეთში უკავშირდება პანგალოსის ხელისუფლების ხანგრძლივობას.

პროფმუშაკთა დაპატიმრება

ვენა, 25 აგვისტო. რუმინეთის ხელისუფლებამ დააპატიმრა და ბუქარესტში გადაგზავნა რევოლიუციონურ პროფკავშირთა თანამდებობის პირნი—პროფკავშირების მდივანი აბუკოვი, ულმანი, შანდორი და ეკატერინა ფოდრი.

პრესა გაფიცვის მიმდინარეობის შესახებ

ლონდონი, 25 აგვისტო. მთავრობის პრესა სწერს, რომ დერბიშირისა და ნოტინგამში—რის მუშების ნაწილმა, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს სამუშაოზე დაბრუნებულიყვნენ, უკან წაიღეს თავიანთი გარდაწყვეტილება მუშათა პიკეტებისა და ფედერაციის ლიდერების გამოსვლების გავლენით.

„დეილი ტელეგრაფი“ სწერს, რომ თანდათან მოხდება გაფიცვის ლიკვიდაცია საერთოეროვნული შეთანხმების გარეშე, მაგრამ შემდეგ ადგილობრივი შეთანხმებები ერთ რომელიმე ფორმაში იქნებიან გაერთიანებული ინგლისის ყველა სანახშირო რაიონებისათვის.

„დეილი ჰერალდის“ სიტყვით, ფედერაციის აღმასკომი დღეს გადასწყვეტს საკითხს, საჭიროა თუ არა იმისთვის, რომ შეეცადოს მთავრობასთან თათბირის გამართვას, მდგომარეობის განსახილველად უკანასკნელ კონფერენციასთან დაკავშირებით.

განაჩენი ვაგის ჯგუფის საქმეზე

ბერლინი, 25 აგვისტო. ამ დღეებში უნგრეთში განაჩენი გამოუტანეს ვაგის ჯგუფის 39 წევრს, რომლებმაც სხდომა მოაწყვეს პოლიციის ნებადაურთველად. ბრალდებულებს მიუსაჯეს დატუსაღება და ერთი მილიონი კრონა ჯარიმა.

განიარაღების ნაცვლად შეიარაღება

ვინ ვის აჯობებს

ლონდონი, 23 აგვისტო. „დეილი ნიუზი“ იტყობინება, რომ ვაშინგტონში წამოყენებულია ბრალდება ინგლისის წინააღმდეგ იმის გამო, რომ მან ჩაშალა საზღვაო შეიარაღების შემცირების პროექტი. გაზეთი სწერს: ვაშინგტონში ფიქრობენ, რომ თუ ინგლისი უარს იტყვის საზღვაო განიარაღების საკითხში თანამშრომლობაზე, შეერთებული შტატები იძულებული იქნება ააშენოს დამატებითი საზღვაო გემები—ყოველ შემთხვევაში, ფაქტია ის, რომ ინგლისის სამხედრო სამინისტრო თანახმა არ არის, რომ ჰყავდეს შეერთებულ შტატებთან თანასწორი რაოდენობის ტონაჟის კარეისრები. შეერთებულ შტატებში აღნიშნავს, რომ ეს პოლიტიკა ეწინააღმდეგება ინგლისისა და შეერთებული შტატების თანასწორად შეიარაღების პრინციპს, რომელსაც იცავენ ინგლისის წარმომადგენლები ვაშინგტონის კონფერენციაზე. ვაშინგტონის კონფერენციის შემდეგ ინგლისმა დაიწყო 12 ახალი კრეისერის აშენება—იაპონიამ 11 და შეერთებულმა შტატებმა კი 2.

არის ნიშნები, რომ მოკლე მომავალში შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში დაიწყებენ ახალი საზღვაო გემების აშენებას. ეს, რასაკვირველია, გავლენას მოახდენს ევროპის მდგომარეობაზედაც და გამოიწვევს წაბაძვის საზღვაო შეიარაღების განახლების საქმეში.

ამერიკის კომპარტიის საარჩევნო პროგრამა

ნიუ-იორკი, 23 აგვისტო. გამოქვეყნებულია ამერიკული კომპარტიის პროგრამა პარლამენტის მომავალ არჩევნებისათვის. პარტია მოუწოდებს მუშებსა და ფერმერებს მხარი დაუჭირონ ყველგან მუშებსა და ფერმერების პარტიასა და აგრეთვე კომუნისტების კანდიდატებს.

პარტია წამოაყენებს თავის საკუთარ კანდიდატებს სახელმწიფო თანამდებობებზე დაახლოვებით 12 შტატში და 50-მდე კანდიდატს პარლამენტის კონგრესზე.

პარტიამ დაიწყო პროპაგანდის ფართო კამპანიის მოწყობა.

„დეილი ტელეგრაფი“ აშინებს ოსმალეთს

ლონდონი, 23 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფი“ ათავსებს წერილს ოსმალეთის ეკონომიური პოლიტიკის შესახებ და სწერს; ოსმალეთის ნაციონალიზმმა ორ პერსპექტივას შორის ერთი უნდა აირჩიოს ან ოსმალეთის პოლიტიკას უნდა უხელმძღვანელოს ფანატიკოსებმა, რომლებიც მზად არიან დაჰკარგონ ყველაფერი საზღვარგარეთლებისა და საზღვა-გარეთის ინტერესების წინააღმდეგ წარმოებულ ბრმა ბრძოლაში. ამ შემთხვევაში ოსმალეთი გაკოტრდება და ბარბაროსული ერის მდგომარეობამდე მივა. ან ანგორამ ანგარიში უნდა გაუწიოს გარემოებათა ლოღიკას და იმოქმედოს იმ შეგნებით, რომ მხოლოდ მეგობრული თანამშრომლობისა და ურთიერთ სარგებლობის ნიადაგზე მივა ცივილიზაციისა და აყვავების იმ მდგომარეობამდე, რომელიც მუსტაფა-ქემალის იდეალი არის. საშუალო ხაზი აქ არ არსებობს.

აღმოსავლეთი

კონფლიქტი ინგლისსა და გაიდერაბადს შორის

ამ ათიოდე დღის წინად დეპეშებმა მოიტანეს ცნობა, რომ ინგლის-ინდოეთის მთავრობამ გაიდერაბადის ნიზამს (მთავარს) გაუგზავნა ულტიმატუმი, რომელშიც მოითხოვდა ფართე ადმინისტრატიული რეფორმის გატარებას და ამ რეფორმის გატარებაში ინგლისელ მოხელეებისაგან შემდგარი კომისიის მონაწილეობას. ამ ულტიმატუმის შესრულების ვადათ დანიშნული იყო 20 აგვისტო. მართალია, ამ ცნობის გამოქვეყნებიდან ორი დღის შემდეგ რეიტერის სააგენტო აცხადებდა, რომ ინგლის-ინდოეთის მთავრობის ნოტას არ აქვს ულტიმატუმის ხასიათი და რომ სადაო საკითხები, რომლებმაც ნოტის გაგზავნა გამოიწვიეს, ამჟამად შეადგენენ მოლაპარაკების საგანს გაიდერაბადსა და სიმლას (ინგლის-ინდოეთის მთავრობის რეზიდენცია) შორის. მაგრამ გარეშე იმისა, ჰქონდა თუ არა ადგილი ულტიმატუმს, ყურადღების ღირსია ის რეალური ფაქტები, რომლებმაც გამოიწვიეს თვით კონფლიქტი და იგი ინგლისის პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირზე ამოატივტივეს.

სახელმწიფო გაიდერაბადი (ამავე სახელწოდების მთავარი ქალაქით), რომელსაც უჭირავს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ინგლისის მიერ დაპყრობილ ინდოეთის სამხრეთ-ნაწილში, წარმოადგენს ერთად-ერთ ფორმალურად „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოს ინდოეთში. ეს „დამოუკიდებლობა“, რასაკვირველია, ფორმალურადაც არ არის სრული. მაგრამ მაინც, გაიდერაბადსა და ინგლისის მთავრობას შორის არსებული ხელშეკრულებების მიხედვით, სამხედრო თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებს გარდა, გაიდერაბადის ნიზამი სარგებლობს სრული თავისუფლებით შინაურ მმართველობაში.

1803 წ. ინგლისელებმა განსაკუთრებული ხელშეკრულებით დაადასტურეს გაიდერაბადის ნიზამის სუვერენიტეტი. ამავე დროს, ნიზამის ძალა-უფლება გავრცელებულ იქნა გაიდერაბადის მეზობელ პროვინციაზე—ბერარზეც, რომელიც „სამუდამოთ“ დაითმო ინგლისელებს მხოლოდ 20 წლის წინათ, განსაკუთრებული ხელშეკრულების ძალით, რომელსაც ხელი მოაწერა აწ უკვე განსვენებულმა ლორდმა კერზონმა—მაშინ ინგლისის მეფის მოადგილემ ინდოეთში. ამ „ნებაყოფლობითი დათმობის“ ნამდვილ ხასიათს ყველაზე უფრო ცხადყოფს ის გარემოება, რომ ახლანდელმა ნიზამმა 1925 წ. მოსთხოვა ინგლისს ბერარის დაბრუნება. და სწორედ ამ მოთხოვნილებამ, როგორც ახლა ირკვევა, გამოიწვია ახლანდელი კონფლიქტი.

ფორმალურ დასაბუთებას იმ მოთხოვნილებისას, რომლებიც ინგლის-ინდოეთის მთავრობამ გაუგზავნა გაიდერაბადის ნიზამს, წარმოადგენს მითითებებს აღმაშფოთებელ უწესობაზე გაიდერაბადის ადმინისტრატიულ მმართველობაში.

ინგლის-ინდოეთის მთავრობა მიუთითებს საშინელ მექრთამეობაზე, რომელიც გავრცელებულია ნიზამის მოხელეების შორის, არა კანონიერ გადასახადებზე და სხვ. ობიექტიური წყაროები არა თუ ადასტურებენ ყველა ამ ბრალდებების სამართლიანობას, არამედ ადიდებენ გაიდერაბადის ადმინისტრაციის (თვით ნიზამისაც კი) ბოროტმოქმედებათა რიცხვს. საკმაოა აღინიშნოს, რომ ეს მთავარი, რომლის წლიური შემოსავალი 100 მილიონ მანეთს უდრის, პირდაპირ აძვალტყავებს გლეხობას განსაკუთრებული გადასახადით (ნაზარანით), რომელიც უნდა გადაიხადონ ყველა იმ ადგილების მცხოვრებლებმა, სადაც იგი გაივლის გზათ.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქო ამ შემთხვევაში სამართლიანობის ან კაცთმოყვარეობის მოტივები ამოქმედებს ინგლის-ინდოეთის მთავრობას.

მთელი საქმე იმაშია, რომ ბერარის დაბრუნების მთელ პრეტენზიას ნიზამი აშენებს სწორედ ინგლისთან დადებულ ხელშეკრულებებზე. ნიზამმა გაბედა ეფიქრა, რომ ინგლისთან დადებული ხელშეკრულება ცარიელი ქაღალდის ნაგლეჯი როდია, არამედ ანიჭებს მას რეალურ უფლებებს. მაგრამ ცნობა ნიზამის პრეტენზიებისა „დამოუკიდებლობაზე“ თუ გინდ ისეთ შეკვეცილზე, როგორზედაც არის ლაპარაკი, ინგლისის იმპერიალიზმს არ შეუძლია, რადგან ეს იქნებოდა ინგლისის ძლიერების შესუსტების მაჩვენებელი. და აი, ინგლისის იმპერიალიზმის ნამდვილი სახე, დაჩაგრულ ერებთან დადებულ ხელშეკრულებებზე მისი ხელისმოწერის ნამდვილი ფასი. ნათლად გამოჩნდა გაიდერაბადის კონფლიქტში

ნიზამის პრეტენზიების საპასუხოდ, მეფის ყოფილმა მოადგილემ ინდოეთში, ლორდმა რიდინგმა ისეთი შეურაცხყოფით სავსე პასუხი გაუგზავნა „მის დიდებულესობას“ „ბრიტანეთის ერთგულ მოკავშირეს“ გაიდერაბადის მთავარს—„ინდოეთის არც ერთ სახელმწიფოს მეფეს არა აქვს უფლება თანასწორ საფუძვლებზე აწარმოოს მოლაპარაკება ინგლისის მთავრობასთან. ინგლისის მთავრობის ძალაუფლება ემყარება არა ხელშეკრულებებზე და ვალდებულებებზე, არამედ არსებობს მათ გარეშე“.

აქ ყველაფერი ნათლად არის ნაქვამი.

საყურადღებოა ის, რომ რეიტერის სააგენტო იძულებული შეიქნა უარეყო თავისი პირვანდელი ცნობა გაიდერაბადის ნიზამისათვის გაგზავნილი ულტიმატუმის შესახებ.

როგორც სჩანს ინგლისის იმპერიალისტები მომენტს არ თვლიან ხელსაყრელად თავისი გეგმების განხორციელებისათვის.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

მომჭირნეობის რეჟიმის კამპანია

მოსკოვი, 24 აგვისტო. მომჭირნეობის რეჟიმის ჩატარების კამპანია უკანასკნელ ხანებში გაძლიერდა და გაღრმავდა. დამთავრდა მმართველობითი ხარჯების შემცირებისათვის მუშაობის პირველი პერიოდი. ამ ხარჯების საერთო მომჭირნეობა საერთო-საკავშირო მნიშვნელობის ყველა ტრესტებსა და სინდიკატებში 1 აგვისტოსათვის შეადგენს 11 მილ. მანეთს.

გაფართოვდა აგრეთვე მუშაობა სავაჭრო და საწარმოო ხარჯების შემცირებისათვის. ტრესტისა და სინდიკატების ცნობით, საერთო მომჭირნეობა ამ მიმართულებით წლის ბოლომდე შეადგენს 19 მილ. მან. კამპანია ზედანართი ხარჯების შემცირებისათვის საკმაო ინტენსიობით ტარდება. ადგილობრივი კომისიების ცნობით, მომჭირნეობის საერთო ჯამი 17 მილ. მან. შეადგენს.

პურის დამზადების კამპანიის მსვლელობა

მოსკოვი, 24 აგვისტო. საკავშირო დეპეშ. სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში „ცენტროსოიუზის“ გამგეობის წევრმა ზიკოვმა შემდეგი განაცხადა პურის კამპანიის მსვლელობის შესახებ:

„ცენტროსოიუზის“ მიერ დამზადებული პურის რაოდენობა ივლისისა და აგვისტოს პირველ ნახევარში შეადგენდა 8.196 დეკატონს (დეკატონი 610 ფუთი), რაიც წარსულ წელთან შედარებით 100 პროცენტით მეტია. ეს ციფრები ამტკიცებენ, რომ კოოპერატიული პერიფერია სერიოზულად მოემზადა ამ წლის პურის კამპანიისათვის.

სამხედრო დანიშვნები

მოსკოვი, 24 აგვისტო. საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს ბრძანებით, მუშურ-გლეხური წითელ არმიის მთავარ სამმართველოს შემადგენლობის, მუშურ-გლეხური წითელი არმიის ინსპექტორატის, სამხედრო-სამოსწავლო დაწესებულებათა სამმართველოს და შტაბის სამხედრო-ტოპოგრაფიული სამმართველოს გაერთიანების გამო, მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარი ინსპექტორი და სამხედრო-რევოლიუციონური საბჭოს წევრი სერგეი სერგეისძე კამენევი ინიშნება მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარ სამმართველოს უფროსად. მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარ სამმართველოს უფროსი ლევიჩევი ინიშნება მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარ სამმართველოს უფროსის მოადგილეთ.

მოსკოვი, 25 აგვისტო. სამხედრო-რევოლიუციონური საბჭოს ბრძანებით განთავისუფლებულია თანამდებობიდან მუშათა და გლეხთა წითელ არმიის სამხედრო-საზღვაო ძალთა უფროსი **ზოფი** ვიაჩესლავ ივანეს ძე და მის მაგივრად ინიშნება **მუკლევიჩი** რომუალდ ადამის ძე. **ზოფი** განთავისუფლებულია აგრეთვე სამხედრო-რევოლიუციონური საბჭოს წევრობიდან და მის მაგივრად ინიშნება **მუკლევიჩი**.

ლენსბერის შთაბეჭდილებანი

მოსკოვი, 25 აგვისტო. კავკასიიდან მოსკოვში დაბრუნდა ლენსბერი. ლენსბერიმ კავკასიაში გაიარა ექიმობის კურსი და ამ დღეებში დაბრუნდება ინგლისში.

მოსკოვი, 25 აგვისტო. ინგლისის მუშათა პარტიის ბელადმა და ინგლისის პარლამენტის წევრმა ლენსბერიმ, რომელიც ამჟამად მოსკოვშია, საკავშირო ტელეგრ. სააგენტოს თანამშრომელს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი:

„მე გავიარე 4.000 ვერსი ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით,—სთქვა ლენსბერიმ, და დავინახე, როგორ შრომობენ გლეხები მინდვრებში და როგორ მუშაობენ მუშები ფაბრიკებსა და ქარხნებში.

საერთო შთაბეჭდილება ასეთია: მეტად დიდი შრომა არის გაწეული ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების აღსადგენად.

ლონდონის უსაქმო - მოხეტიალეებსაც კი, რომელთა ხელში არის ინგლისის ბედი, რომ შეეძლოთ დანახვა საბჭოთა კავშირის მშრომელთა მუშაობისა, რომელიც მიმართულია ქვეყნის აღორძინებისაკენ, ისინიც კი იტყოდენ, რომ საბჭოთა კავშირისა და ინგლისის დღევანდელი ურთიერთობა მეტად არანორმალურია და ამას ბოლო უნდა მოეღოს.

შეეხო რა ინგლისის გაფიცვას და ინგლის-რუსეთის კომიტეტის მუშაობის პერსპექტივებს, ლენსბერიმ სთქვა:

„დერბიშირისა და ნოტინგამშირის რაიონებში 12.000 სამთა-მადნო მუშების დაბრუნება სამუშაოზე არავითარ გავლენას არ მოახდენს გაფიცვის მსვლელობაზე. ის ფაქტი, რომ კუკი და ვარლი ერთად გამოდიან მოწოდებით ბრძოლის გაგრძელების შესახებ, მოწმობს, რომ გაფიცვა წინანდელი ერთსულოვნებით მიმდინარეობს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტის სხდომა ბერლინში, ახალი ეტაპი იქნება ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ერთობის განვითარების გზაზე.

ქალთა სამხედრო ბეგარა

მოსკოვი, 25 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ცაკის დადგენილების გამო, რომლის მიხედვით უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებულია სამხედრო სწავლა, სამხედრო-სამოსწავლო სამმრთველოში საკავშირო ტელეგრ. სააგენტოს თანამშრომელს აცნობეს, რომ უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტ-ქალებისათვისაც სავალდებულოა სამხედრო სწავლა. ქალები, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში გაივლიან სამხედრო სწავლას, მუშურ-გლეხური წითელი არმიის კომანდირის წოდებას არ მიიღებენ, მაგრამ ომის დროს შეასრულებენ ინჟინერ, ექიმის და სხ. მოვალეობას სამხედრო-სამრეწველო, სანიტარულ და სხ. დაწესებულებებში და წითელი არმიის სხვა ორგანოებში.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

ზარალი სეტყვისაგან

ერევანი, 24 აგვისტო. სომხეთის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს ცნობების მიხედვით, სომხეთში მიმდინარე წლის 20 აგვისტომდე სეტყვისგან დაზარალებულ იქნა 10.783 დესეტინა ნათესი. სომხეთის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველომ დაფარა 5.173 დესიატინის ზარალი 71.753 მანეთის რაოდენობით.

ბავშის მოკვლა

ლენინაკანი, 24 აგვისტო. სომხეთის უზენაეს სასამართლოს სესიამ გაარჩია საქმე სოფ. გოლგატის მცხოვრებ გლეხი ქალის ვერგუშა გრიგორიანცისა, რომელმაც დაქვრივების შემდეგ დაბადა ბავში და სირცხვილის და გაჭირვებულ მატერიალურ მდგომარეობის გავლენით დაახრჩო ის. სასამართლომ გრიგორიანცს მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში, რომ დანაშაული ჩადენილია ბრალდებულის უვიცობის გამო და აგრეთვე ის, რომ საქმეში არის დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებანი, სასჯელი შეუცვალა პირობითათ.

გერმანიის მუშათა დელეგაცია ბაქოში

ბაქო, 24 აგვისტო. დღეს დილით გერმანიის დელეგაცია ესტუმრა „აზნეფტის“ სამმართველოს.

წარმოებათა დირექტორმა ინჟ. რუსტამბეკოვმა გააცნო დელეგაციას ნავთის მრეწველობის მდგომარეობა აზერბეიჯანში, მუშათა სამუშაო ხელფასი, საბინაო პირობები და სამუშაოები, რომლებიც ეხლა სწარმოებს.

„ჩვენი გზა, განაცხადა რუსტამბეკოვმა, პროგრესის გზაა; ჩვენი მისწრაფებაა, შევქმნათ მუშებისათვის საუკეთესო ცხოვრების პირობები“.

დელეგატები აძლევენ შეკითხვებს, საიდანაც მტკიცდება, რომ ისინი მეტად დაინტერესებული არიან მრეწველობის მდგომარეობით და მუშათა ცხოვრების პირობებით.

დელეგატებმა ამომწურავი პასუხი მიიღეს ყველა შეკითხვებზე. ამის შემდეგ ისინი გაემართენ ბალახანსა, ბიბი-ეიბატისა და შავი ქალაქისაკენ, სადაც ისინი ათვალიერებდენ მუშათა მოსახლეობას, კლუბებს, სტადიონს, ქარხნებს, ტრამვაის პარკს და ელექტრონულ რკინის გზას.

გაფიცვა ინდო-ევროპიულ ტელეგრაფზე

ოდესის საოლქო პროფსაბჭოს მიმართვა ინდო-ევროპიულ ტელეგრაფის ა.-კ. საგაფიცვო კომიტეტისადმი

ინდო-ევროპიულ ტელეგრაფის მუშაკთა ამიერ-კავკასიის საგაფიცვო კომიტეტმა დღეს ტელეგრაფით მიიღო ოდესის საოლქო პროფსაბჭოდან შემდეგი მიმართვა:

„9 თვეა თქვენი ცეკა აწარმოებს მოლაპარაკებას ინდო-ევროპიულ ტელეგრაფის ადმინისტრაციასთან ხელშეკრულების დადებაზე. მიუხედავათ თქვენი კავშირის მიერ დათმობაზე წასვლისა, ლონდონი სხვადასხვა ხელოვნური საბაბით, სარგებლობს რა კაპიტალისტების ჩვეული ხერხით, გაჭიანურებით და დაუსრულებელი მიწერ-მოწერით აფერხებს თქვენი მინიმალური მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. მაგრამ ყოველგვარ მოთმინებას აქვს საზღვარი. თქვენი ცენტრალური კომიტეტის მოწოდებით, თქვენ, როგორც ერთმა კაცმა, შესწყვიტეთ მუშაობა, რათა კონცესიონერები იძულებული გამხდარიყვენ ანგარიში გაეწიათ სახალხო კავშირის დარაზმულ ძალისათვის.

ამხანაგებო, გახსოვდეთ, რომ თქვენ სიმტკიცეზე დამოკიდებულია არა მარტო იმ საკითხების გადაჭრა, რომელიც წარმოადგენს სადავო საგანს სახალხო კავშირის ცეკასა და ინდო-ევროპიულ ტელეგრაფის ადმინისტრაციას შორის.

თქვენს კომპრომისს ამ საკითხში მოჰყვება მწარმოებელთა შეტევა ყველა თქვენს მონაპოვარზე და აი, ამიტომ საგაფიცვო კომიტეტის ხელმძღვანელობით თქვენ უნდა გამოიჩინოთ მტკიცე პროლეტარული სოლიდარობა.

წინად ხელშეკრულების დადების დროს ამ სოლიდარობამ შეგვაძლებიათ თქვენ მწარმოებელთა ჟინიანობის დაძლევა და ეხლაც იგი მოგიტანს სასურველ შედეგებს.

საოლქო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი, კავშირის გამგეობა და ოდესის პროლეტარიატი მოგიწოდებთ სიმტკიცისა და დისციპლინისაკენ, რომელიც გამარჯვებას მოგიპოვებთ.

გაუმარჯოს კავშირის მუშათა პროლეტარულ სოლიდარობას.

ოდესის საოლქო პროფსაბჭო.

გაფიცვის ჩაშლას სცდილობენ

ერევნის ხაზი იტყობინება, რომ სპარსეთიდან გამოვიდა ინდო-ევროპიული ხაზის ადმინისტრაციის წარმომადგენელი და ჯულფაში მოლაპარაკება გამართა ადმინისტრაციასთანო. ერევნის გაფიცვის კომიტეტს მიუცია მისთვის სათანადო გაფრთხილება.

დახმარება გაფიცულებს

— ამიერ-კავკას. საგაფიცვო კომიტეტმა მიმართა თხოვნით მთავარ საგაფიცვო კომიტეტს—აცნობოს მას თუ რა დროიდან დაიწყოს გაფიცულ მუშებისათვის დახმარების მიცემა.

სოხუმის საგაფიც. კომიტეტის თხოვნით, ამიერ-კავკასიის საგაფიცვო კომიტეტმა გადაგზავნა 300 მანეთი სოხუმის „ინდოს“ სარემონტო სახელოსნოების მუშების დასახმარებლად.

— ამიერ-კავკასიის საგაფიცვო კომიტეტმა ოდესიდან მიიღო ცნობა, რომ ამ დღეებში გადმოიგზავნება გაფიცულთა დასახმარებლად საჭირო თანხა.

დახმარება გაფიცულებს

მოსკოვი, 25 აგვისტო. გენერალურმა საგაფიცვო კომიტეტმა მიმართა შეერთების მუშათა კავშირს გაფიცულ მუშათა დასახმარებლად 10 ათასი მანეთის გადაგზავნის შესახებ. ფული გადაგზავნილი იქნება დღეს.

გაფიცვის შედეგი

ოდესა, 25 აგვისტო. მიუხედავათ იმისა, რომ გაფიცვა მხოლოდ მეორე დღეა, რაც გრძელდება, მისი შედეგები უკვე საგრძნობი გახდა. სპარსეთი, რომელიც ევროპასთან დაკავშირებულია მხოლოდ ინდო-ევროპიული ტელეგრაფით, თითქმის მოწყვეტილი შეიქნა ევროპას და მოკლებული საშუალებას სასწრაფო ურთიერთობა იქონიოს დანარჩენ ქვეყნებთან.

დეპეშები ამერიკიდან მოდის გიბრალტარის შემოვლით, ინგლისსაც ინდოეთთან სატელეგრაფო კავშირი აქვს შემოვლით, რაც აუარებელ ხარჯებს იწვევს.

გაფიცვა ერთსულოვნად მიმდინარეობს

გუშინ საგაფიცვო კომიტეტმა მიიღო დეპეშები ზუგდიდიდან, ოჩემჩირიდან, ხარაგოულიდან, ხაშურიდან, ნახიჩევანიდან, ბაშნარაშენიდან, ერევნიდან, აქსტაფიდან და ქვედა-ახტიდან, რომ ყველა ამ სადგურებზე მუშაობა შეჩერებულია და გაფიცვა ერთსულოვნად ტარდება.

რამ გამოიწვია გაფიცვა

როგორც აღნიშნული იყო,—განუცხადა ჩვენს თანამშრომელს საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ჯანიბალჩიევმა,—გაფიცვის მთავარი მიზეზი იყო ადმინისტრაციის მიერ უარის თქმა სამივლინებო ხარჯების დასაფარავი თანხის და 20 პროცენტიანი დამატების გაღებაზე საკონტროლო სადგურის მუშა-მოსამსახურეებისათვის.

მოლაპარაკება „ინდოს“ ადმინისტრაციასთან ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დადების შესახებ სწარმოებდა 9 თვის განმავლობაში, მაგრამ არავითარი ნაყოფი ამ მოლაპარაკებას არ გამოუღია, რადგან „ინდოს“ ადმინისტრაცია ყოვლად მიუღებელ პირობებს აყენებდა.

მაგრამ ყველაზე აღმაშფოთებელი იყო „ინდოს“ ადმინისტრაციასთან შრომის კანონთა კოდექსის ხშირი დარღვევა, და პროფმუშაობაში ჩაბმული მუშების სამსახურიდან სისტემატიური მოხსნა.

ადმინისტრაციის პირველი გამოსვლა ასეთი იყო: ოდესის კანტორის უფროსმა, ალბათ ლონდონიდან მიღებული დირექტივებით, გამოაცხადა თავი „ინდოს“ მთავარ უფროსად საბჭოთა კავშირში და აცნობა საბჭ. კავშირის ყველა სატელეგრაფო კანტორებს, რომ ყოველგვარი მიწერ-მოწერა ადმინისტრაციასთან საკავშირო მუშაობის შესახებ გაეგზავნათ ოდესის მუშათა კომიტეტში, რომელიც თითქოს მთელი საბჭოთა კავშირის „ინდოს“ მუშაკთა ერთად-ერთი წარმომადგენელი იყოს. ასეთი განკარგულება გამოიცა მას შემდეგ, როცა მუშებმა წარადგინეს მოთხოვნილება 2 პროცენტიანი ანარიცხების გაღების შესახებ მუშათა კომიტეტის შესანახად.

შემდეგ „ინდოს“ ადმინისტრაცია არწმუნებდა გულუბრყვილო მუშებს, თუ კი ისინი გახდებოდენ ინგლისის ტრედიუნიონების წევრები, მათი მოთხოვნილებების თანახმად გაუდიდდებოდა ხელფასი 50 პროც. ეს ფანდი ნახმარი იყო იმ მოსაზრებით, რომ დაერღვიათ მუშათა ერთიანი ფრონტი და ჩაეშალათ სახალხო შეერთების მუშაკთა კავშირსა და მუშებს შორის არსებული თანხმობა.

მუშათა უფლების უხეშად დარღვევას წარმოადგენდა აგრეთვე „ინდოს“ ადმინისტრაციის მიერ მუშების დათხოვა და მიღება საკავშირო ორგანოებთან შეუთანხმებლად და მათი სანქციის გარეშე.

გარდა ამისა ხშირად „ინდოს“ ადმინისტრაცია იწვევდა ხაზის შესაკეთებლად მივლინებაში გაგზავნილ მუშათა ცოლებს ქმრების მოვალეობის შესასრულებლად. კონტროლიორების ცოლები დღეში იღებდენ ერთს მანეთს, არ ჰქონდათ დასასვენებელი დღეები და არც დაზღვეული იყვნენ.

იყო ასეთი შემთხვევები, რომ გზის შესაკეთებლად გაგზავნილ მანტიორებს შესაკეთებელი მასალების და იარაღის გადატვირთვისათვის ქირის მიცემა თვითონვე უხდებოდათ, რადგან ქირის გასტუმრებაზე ადმინისტრაცია მუდამ უარს აცხადებდა.

გაფიცვა,—განაცხადა დასასრულ ამხ. ჯანიბალჩიევმა,—ბოლოს მოუღებს „ინდოს“ ადმინისტრაციის თვითნებობას. გაფიცვა დაანახვებს კონცესიონერებს, რომ საბჭოთა კავშირის მუშებს არ შეუძლიათ თავისი ინტერესების და-

„კომუნისტი“
მიიღება ხელის მოწერა
სექტემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფ. № 10—49

გერმანიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის რეზოლიუცია

საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცეკასა და ც. ს. კომისიის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ*)

I

პლენუმის გადაწყვეტილებანი

საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა ივლისში მთელ რიგ საკითხებში მიიღო რეზოლიუციები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო საბჭოთა კავშირის კომპარტიისა, არამედ მთელი კომინტერნისა და თვით გერმანიის კომპარტიისთვისაც.

გაერთიანებული პლენუმი, უწინარეს ყოვლისა, შეეხო კომინტერნის პოლიტიკას უკანასკნელი დროის საერთაშორისო მოვლენებთან დაკავშირებით (გაფიცვა ინგლისში, გადატრიალება პოლონეთში, ჩინეთის ამბები). მიღებული რეზოლიუციები, სავსებით იწონებენ პოლიტბიუროს პოლიტიკას და საბჭოთა კავშირის კომპარტიის დელეგაციის მოქმედებას კომინტერნში.

პლენუმმა დაადასტურა შემდეგი რეზოლიუციები 1925-26 წლის საბჭოთა არჩევნებისა: ეს არჩევნები წარმოადგენენ საბჭოთა დემოკრატიის პირველ ფართო გამოყენებას და ამტკიცებენ, რომ სწორია პარტიის კურსი საბჭოთა გამოცოცხლებისკენ. ზოგიერთი უარყოფითი მხარეებისა და შეცდომების მიუხედავად, რომელნიც დროზე იქმნენ გამოსწორებული, ეს არჩევნები მოწმობენ მუშათა მასსების აქტივობის გაძლიერებას, პროლეტარიატისა და ბოგანო გლეხკაცობის კავშირის განმტკიცებას საშუალო შეძლების გლეხკაცობასთან , შეძლებული გლეხების (კულაკების) პოლიტიკური იზოლიაციის ზრდას. რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკაში პროფკავშირთა წევრების რიცხვი, რომელმაც ფაქტიურად მონაწილეობა მიიღო არჩევნებში 52 პროცენტიდან 57 პროცენტამდე გაიზარდა, გლეხების რიცხვი 41 პროცენტიდან 47 პროცენტამდე, ამრჩეველთა საერთო რიცხვი 17 მილიონიდან 19 მილიონ ნახევრამდე. არჩევნებმა დაამტკიცეს, რომ პარტიამ საძირკველი ჩაუყარა ბოგანო გლეხობის ორგანიზაციას, როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალას მდიდარი გლეხობის წინააღმდეგ და გაამტკიცა თავისი ავტორიტეტი ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხურ მასსებში. ამიტომ აშკარა გახდა სრული უნიადაგობა ახალი ოპოზიციისა, რომელიც სცდილობდა გაენადგურებია ნდობა პარტიული პოლიტიკისადმი.

პლენუმმა წრევანდელი პურის კამპანიისთვის მიიღო გეგმა, რომელიც უმთავრეს საკითხებს (ფასების პოლიტიკა, კრედიტის მიწოდება, ფულის ტრიალი, სამეურნეო პროდუქტების ექსპორტი, პურის რეზერვის შექმნა) იმ თვალსაზრისით სწყვეტს, რომ მოსავლიდან ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას უდიდესი შესაძლებელი სარგებლობა მიეცეს და საერთო სახალხო მეურნეობაში სოციალისტური ელემენტები გაძლიერდეს, არა სოციალისტური ელემენტების ხარჯზე.

ბინის საკითხში პლენუმმა მიიღო ფართო გეგმა, რომლის მიხედვით მუშათა ბინების აღმშენებლობა ჩქარის ნაბიჯით უნდა წავიდეს წინ.

პლენუმი იძულებული გახდა ხელახლა განეხილა საკითხი ბოლშევიკური პარტიის მთლიანობისა, რომელსაც ემუქრება ოპოზიციური ჯგუფების არალეგალური მოქმედება, ამხ. ზინოვიევისა და ამხ. ლაშევიჩის მეთაურობით. გაერთიანებულმა პლენუმმა გადასწყვიტა ბოლო მოეღოს ამ ამხანაგების გამთიშველ მოღვაწეობას და პარტიის ცეკადან გამორიცხა ამხ. ლაშევიჩი, ხოლო ამხ. ზინოვიევი გაანთავისუფლა პოლიტბიუროს წევრის ფუნქციისაგან.

II

ოპოზიცია მეთოთხმეტე პარტყრილობამდე და შემდეგ

ამხ. ზინოვიევის ჯგუფი 1924 წელს გამოეყო ცეკას ლენინისტურ უმრავლესობას, როცა უარყოფილ იქნა მისი წინადადებანი, რომ ტროცკი გამორიცხულ ყოფილიყო პოლიტბიუროდან, შემდეგ ცეკადან, ბოლოს პარტიიდანაც. ამხ. ზინოვიევი მაშინ უმრავლესობას „ნახევარ ტროცკისტებს“ უწოდებდა და მას ბრალს სდებდა, რომ პარტიულ დემოკრატიას მეტად ფართოდ იყენებსო.

შემდეგ ოპოზიციამ იერიში მიიტანა ცეკას პოლიტიკაზე გლეხთა საკითხში და დაიწყო პესიმისტური პროპაგანდა, რომ შეუძლებელია სოციალისტური აღმშენებლობა საბჭოთა კავშირშიო; ამასთანავე ის თანდათან დაექვემდებარა წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტების სულიერი განწყობილების გავლენას.

მეთოთხმეტე პარტიულ ყრილობაზე ამხ. ზინოვიევმა ოპოზიციური თანამოხსენება წაიკითხა პარტიული ხაზის წინააღმდეგ, თუმცა რამდენიმე დღის წინათ ლენინგრადის საგუბერნიო კონფერენციაზე განაცხადა, რომ ეთანხმება ცეკას. პარტიული ყრილობის კამათი ეხებოდა პროლეტარული დიქტატურის ძირითად საკითხებს, სოციალიზმის აღმშენებლობის შესაძლებლობას, ნეპის არსებას, სახელმწიფო მრეწველობის სოციალისტურ ხასიათს, მუშებისა და გლეხების კავშირს, საშუალო გლეხკაცობის როლს, ბრძოლას კულაკების წინააღმდეგ, კომპარტიის ხელმძღვანელ როლს მუშათა კლასსა და საბჭოთა სახელმწიფოში, ბოლშევიკური პარტიის მთლიანობას. ყველა ამ საკითხებში ოპოზიციამ იერიში მიიტანა პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ. მეთოთხმეტე ყრილობამ დიდი უმრავლესობით დაჰგმო ოპოზიციის შეხედულებანი, როგორც ოპორტიუნისტული გადახრა ლენინიზმისაგან და კატეგორიულად გააფრთხილა, რომ არ დაუშვებს არავითარ ფრაქციულ მოქმედებას.

პარტიული ყრილობის გაკიცხვის მიუხედავად, აგრეთვე იმისდამიუხედავად, რომ ყველა პარტიულმა ორგანიზაციებმა გამოუკლებლივ, განსაკუთრებით ლენინგრადის ორგანიზაციის დიდმა უმრავლესობამ, დაჰგმო ოპოზიციის შეხედულებანი, ოპოზიციამ მაინც განაგრძო ბრძოლა. მან ფართო შეტევა დაიწყო პარტიული რეზოლიუციებისა, პარტიული ხელმძღვანელობისა, თვით პარტიის წინააღმდეგ შემდეგი ოთხი მიმართულებით:

ა) ჩამოყალიბდა ერთი ყოველმხრივი, დამთავრებული ბრძოლის პლატფორმა პარტიის საერთო პოლიტიკის წინააღმდეგ.

ბ) შეიქმნა უპრინციპო ბლოკი ტროცკიზმთან და ყოფილ მუშურ ოპოზიციასთან, რომელსაც ლენინმა მენშევიკური უწოდა.

გ) მოეწყო არალეგალური, ფრაქციული გამთიშავი მუშაობა.

დ) ოპოზიციური ბრძოლა გადატანილ იქმნა კომინტერნის პოლიტიკასა და სექციებში.

III

ახალი ოპოზიციის გადახრანი

ახალი ოპოზიციის გადახრანი უმთავრესად შემდეგ ცხრა მუხლში მდგომარეობენ.

1. ლენინისა და ლენინიზმის მოძღვრების წინააღმდეგ ოპოზიცია უარჰყოფს სოციალიზმის აღმშენებლობის შესაძლებლობას საბჭოთა კავშირში, რაც არსებითად ოქტომბრის რევოლიუციის საფუძვლის უარყოფას წარმოადგენს.

2. ოპოზიცია ახალ ეკონომიურ პოლიტიკას (ნეპს) სთვლის არა „ერთად-ერთ სწორ ეკონომიურ პოლიტიკათ“ (ლენინი), არა გზათ სოციალიზმის გასამარჯვებლად ყველა არა სოციალისტურ ეკონომიურ ფორმებზე, არამედ „უკან დახევად“ და კაპიტალისტური ელემენტების ცალმხრივ რესტავრაციათ;

3. ოპოზიცია ჩვენს სახელმწიფო მრეწველობას, რომელიც თავისი ბუნებით სოციალისტურია, „სახელმწიფოებრივ კაპიტალისტურს“ უწოდებს, ის ამტკიცებს, რომ მუშათა კლასის ექსპლოატაცია ხდება ამ მრეწველობაში, რომ პროლეტარიატმა კლასობრივი ბრძოლა უნდა აწარმოვოს წარმოების დარგში და სხვა.;

4. ოპოზიცია ფაქტიურად უარყოფს ლენინურ პრინციპს პროლეტარიატის და გლეხკაცობის კავშირის შესახებ; თეორეტიულად ეს უარყოფა გამოიხატება იმაში, რომ მტკიცე კავშირის ადგილას საშუალო შეძლების გლეხობასთან, ამ „ჩვენი მეურნეობის ცენტრალურ ფიგურასთან“, იჭერს ყალბი ლოზუნგი უბრალო ნეიტრალიზაციისა (ამხ. ზინოვიევის წერილი), ხოლო პრაქტიკულად თავს იჩენს ეკონომიური ექსპლოატაცია გლეხკაცობისა;

5. ოპოციზია უარჰყოფს საბჭოთა სახელმწიფოს პროლეტარულ კლასობრივ ხასიათს და სცდილობს მუშათა მასები ამ სახელმწიფოს დაუპირისპიროს, როგორც „ბიუროკრატიულ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს“;

6. ოპოზიცია ებრძვის პარტიის ეკონომიურ პოლიტიკას, როგორც „კულაკების გავლენით წარმოებულს“ და „პროლეტარიატის ინტერესების საწინააღმდეგოს“, მაგრამ სამაგიეროდ არავითარ დადებით პროექტს არ იძლევა, გარდა დემაგოგიური მოთხოვნილებისა, რომ სამრეწველო პროდუქტების ფასები უნდა აიწიოსო (პიატაკოვი);

7. ოპოზიციამ წამოისროლა პარტიული აპარატის დაშლის ლოზუნგი და სცდილობს ბრძოლის სიმძიმის ცენტრი სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიზმიდან პარტიული აპარატის „ბიუროკრატიზმზე“ გადაიტანოს, რაიც ობიექტიურად იმაში გამოიხატება, რომ სახელმწიფოებრივი აპარატი თავისუფლდება პარტიის გავლენისაგან;

8. ოპოზიცია არღვევს ყველა პარტიულ რეზოლიუციებს ფრაქციების შექმნის წინააღმდეგ და ბოლშევიკურ შემეცნების ადგილას, რომელიც პარტიას უყურებს, როგორც ერთს განუყოფელ ერთეულს, სვამს მეორე შემეცნებას, რომლის მიხედვით პარტია ყოველგვარ მიმართულებათა, ფრაქციათა და შეჯგუფებათა ჯამია;

9. ოპოზიცია ბრძოლას იწყებს კომინტერნის პოლიტიკის წინააღმდეგ, ამასთანავე ის უკავშირდება არა მარტო უკიდურეს მემარცხენე, არამედ აგრეთვე უკიდურეს მემარჯვენე (ტროცკი. რადეკ-სუვარინის). თვით აშკარა ლიკვიდატორულ და პარტიის მოწინააღმდეგე (შლიაპნიკოვ-მედვედევის) ჯგუფებს.

ამ ანტილენინური გადახრების დასაფარავად ოპოზიცია აყენებს ლოზუნგს, რომ „პარტიის პოლიტიკა მუშათა კლასის ინტერესებს ეწინააღმდეგებაო“. ეს დემაგოგიური დებულება ხელს უწყობს ყოველგვარ მენშევიკურ და კონტრრევოლიუციონურ აგიტაციას საბჭოთა რესპუბლიკის შიგნით და გარედ. ოპოზიციის ფრაქციულმა მოქმედებამ გააცხოველა პარტიის მტრების, მათ შორის ევროპიელი ბურჟუაზიის და მეორე ინტერნაციონალის იმედი, რომ საბჭოთა კავშირის კომპარტია გაითიშება. ამიტომ ბოლშევიკურმა პარტიამ გაერთიანებული ოპოზიციის შემოტევა მთელი ძალღონით უნდა უკუაქციოს.

IV

ბლოკი ტროცკიზმთან და მენშევიკურ ჯგუფებთან

ამხ. ზინოვიევის ჯგუფი, რომელსაც თავდაპირველად თითქო „მარცხნიდან“ ებრძოდა „ნახევრად ტროცკისტულ“ პარტიულ უმრავლესობას, უკანასკნელ პლენუმზე სავსებით გადაბარგდა ტროცკიზმისკენ. ამრიგად მან დაადასტურა ლენინის დებულება: „ფრაქციულ ბრძოლას თავისი ობიექტიური ლოღიკა აქვს, რომელიც საუკეთესო ადამიანებს აუცილებლად ისეთ მდგომარეობაში აყენებს, რომ თუ ისინი თავიანთ ყალბ პოზიციას ჩაებღაუჭენ, ფაქტიურად თავს ვეღარ დააღწევენ პრინციპიალურ დემაგოგიას“.

ამხ. ზინოვიევი, რომელიც ამ ერთი წლის წინად ამბობდა, რომ „ტროცკიზმი წარმოადგენს საკმაოდ აშკარა ცდას ლენინიზმის საფუძველის რევიზიისა, თვით მისი აშკარა ლიკვიდაციის“, „რომ ის „მენშევიზმის ერთი სახეაო“ (იხ. ბროშიურა „1917“), პლენუმზე განაცხადა, რომ ის ახლა „ტროცკისთან ერთად იბრძოლებს სერიოზულად და დიდი ხნის განმავლობაში“, რომ „1923 წლის ოპოზიცია სრულიად მართალი იყოო“. ამხ. ზინოვიევმა ეს განაცხადა, თუმცა ამხ. ტროცკის ერთი სიტყვითაც არ დაუგმია თავისი შეცდომები, თავისი რევიზიონიზმი თავისი თეორია პერმამენტული რევოლიუციისა.

ტროცკი კი არ მიემხრო ამხ. ზინოვიევის ჯგუფს, არამედ ახალი ოპოზიცია გადავიდა უპირობოდ, ფრაქციული მოსაზრებით, ტროცკიზმის ბანაკში, ის გარეგნულადაც პარტიის უკიდურეს მემარჯვენე მხარეზე დადგა.

ამასთანავე ახალ ოპოზიციას კავშირი აქვს მენშევიკურ მუშათა ოპოზიციასთან, რომლის მოთხოვნილებანი შეიცავენ საბჭოთა კავშირის კაპიტულიაციას უცხოეთის ფინანსიური კაპიტალის წინაშე, სოციალისტური მეურნეობის აღმშენებლობის სრულ დათმობას, კომუნისტური პარტიების დაშლას დასავლეთში და მათ დაბრუნებას მეორე ინტერნაციონალის ბანაკში.

V

საერთაშორისო ბრძოლა ლენინიზმისა და კომინტერნის ხაზის წინააღმდეგ

ფრაქციული ბრძოლის ლოღიკისა და ტროცკის ჯგუფის ძალდატანებით ოპოზიციამ ამხ. ზინოვიევის ხელმძღვანელობით ბრძოლა დაიწყო კომინტერნის მთელი პოლიტიკის წინააღმდეგ. ოპოზიცია სცდილობს კომუნისტური ინტერნაციონალის პრინციპიალური პოლიტიკური ხაზი, რომელიც ლენინმა შეიმუშავა, უკიდურეს მემარცხენე და უკიდურეს მემარჯვენე ფრაზების ნარევით შესცვალოს.

უკიდურესი მემარცხენე ფრაზები იხატება შემდეგში:

1. დებულებაში, რომ „უკანასკნელი წლის მოვლენები უარყოფენ კაპიტალისტური სტაბილიზაციის არსებობას“ (ზინოვიევის 1926 წლის 5 ივნისის სიტყვა), თუმცა იგივე ზინოვიევი გაფართოებული აღმასკომის თეზისებში 1926 წელს, თებერვალში სწერდა:

„სტაბილიზაცია ფაქტია... კომინტერნი უარჰყოფს ნაჩქარევ დასკვნას, რომლის მიხედვით კაპიტალიზმის სტაბილიზაცია ამიერიდან თითქო შეუძლებელიაო“.

2. მოთხოვნილებაში, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტი აფეთქდეს, რაიცა გაადვილებდა იმ ბლოკის განადგურებას, რომელიც საბჭოთა კავშირის და ინგლისის მრავალი მილიონიან პროფესიონალურად შეკავშირებულ მუშებს შორის არსებობს და ხელს შეუწყობდა იმპერიალისტურ ინტერვენციას პროლეტარული დიქტატურის ქვეყანაში;

3. მოთხოვნილებაში, რომ ინგლისის პროფკავშირების ადგილას „ახალი რევოლიუციონური ორგანიზაციები შეიქმნას“, რაიცა პირველი ნიშანი იქნებოდა პროფკავშირების დასაშლელად, უმეცრების პოლიტიკას გაბატონებდა საერთაშორისო მასშტაბით.

უკიდურესი მემარჯვენე გადახრა შემდეგში იხატება:

1. ამხ. ზინოვიევის თეზისები ინგლისის გაფიცვის გამო, რომელსაც აკლდა დებულება, რომ გაფიცვა პოლიტიკურ კალაპოტში უნდა გადავიდეს, აკლდა ლოზუნგი: „ძირს კონსერვატორების მთავრობა, გაუმარჯოს მუშათა მთავრობას!“

2. ამხ. ზინოვიევის თეზისებში პოლონეთის გადატრიალების გამო, სადაც მან პოლონელ კომუნისტებს მიმართა, რომ მიუღებელია ნეიტრალიტეტის დაცვა, მაგრამ არც ერთი სიტყვით არ აღნიშნა, რომ მიუღებელია პილსუდსკის დახმარება;

3. ამხ. ზინოვიევის თეზისებში ჩინეთის ამბების გამო, რომელიც მოითხოვდა არა მარტო სრულს კაპიტულიაციას რეაქციონერი გენერლების წინაშე, არამედ აგრეთვე ჩინეთის კომუნისტური პარტიის გამოსვლას გომინდანიდან, რაიცა ჩინეთის რევოლიუციონური მოძრაობის ლიკვიდაციას უდრიდა. რომ თანამედროვე ძირითად საკითხში, ინგლისის, პოლონეთის და ჩინეთის ბრძოლის საკითხში, ოპოზიციის თვალსაზრისი მემარცხენე კი არა, ოპორტიუნისტული იყო. ცენტრალური კომიტეტი, პირიქით, ამ საკითხებში რევოლიუციონურ, ბოლშევიკურ პოზიციაზე იდგა.

ტროცკის ბანაკში გადასვლით ამხ. ზინოვიევი არღვევს არა მარტო საბჭოთა კავშირის კომპარტიის, არამედ კომინტერნის რეზოლიუციებსაც.

კომუნისტური ინტერნაციონალის მეხუთე მსოფლიო კონგრესმა გადაჭრით აღიარა:

„რომ ოპოზიციას რუსეთის კომპარტიაში მხარს უჭერენ სხვა ქვეყნების პარტიული ჯგუფები (პოლონური, ფრანგული, გარმანული პარტიების ზოგიერთი ელემენტები და სხვ.), რომელნიც ისევე, როგორც რუსეთის კომპარტიის ოპოზიცია მემარჯვენე (ოპორტიუნისტული) გადახრის გამოხატულებას წარმოადგენენ“.

მეხუთე მსოფლიო კონგრესმა განსაკუთრებულ რეზოლიუციაში რუსეთის საკითხის გამო შემდეგი გადაწყვეტილებანი მიიღო:

ა) კომუნისტური ინტერნაციონალის მეხუთე მსოფლიო კონგრესის სახელით დადასტურებული იქნას რუსეთის კომპარტიის მეცამეტე კონფერენციის და მეცამეტე ყრილობის რეზოლიუციები, რომელნიც ჰგმობენ ოპოზიციის პლატფორმას, როგორც წვრილბურჟუაზიულს, ხოლო მის მოქმედებას სახიფათოდ სთვლიან პარტიის მთლიანობისა და პროლეტარიატის დიქტატურისთვის საბჭოთა კავშირში;

ბ) მეცამეტე პარტიული კონფერენციის და მეცამეტე პარტიული ყრილობის რეზოლიუციები უნდა დაემატონ ამ გადაწყვეტილებას და გამოქვეყნდნენ, როგორც კომინტერნის მეხუთე მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებანი“.

ხოლო მეცამეტე პარტყრილობის რეზოლიუცია, რომელიც კომინტერნის გადაწყვეტილებათ იქცა, ამბობს შემდეგს:

„დღევანდელი ოპოზიციის სახით გვევლინება არა მარტო ბოლშევიზმის რევიზიის ცდა, არა მარტო გადახრა ლენინიზმისაგან, არამედ აშკარა წვრილბურჟუაზიული მერყეობა. უეჭველია, რომ ეს „ოპოზიცია“ ობიექტიურად გამოხატავს წვრილი ბურჟუაზიის შეტევას პროლეტარული პარტიისა და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ. პარტიის გარეშე წრეებში უკვე იწყება შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპების გაფართოებული ინტერპრეტაცია, ამტკიცებენ, რომ ის წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის შესუსტებას და ახალი ბურჟუაზიის პოლიტიკური უფლებების გაფართოებას“.

(კომინტერნის მეხუთე კონგრესის თეზისები და რეზოლიუციები)

ფორმალური და დღესასწაულებრივი განცხადების წყალობით, „რომ 1923 წლის ოპოზიცია მართალი იყო“ და რომ ის „ტროცკისტებთან ერთად სერიოზულად და დიდხან იბრძოლებს“, ამხ. ზინოვიევმა დაარღვია კომუნისტური ინტერნაციონალის რეზოლიუციები და პირველი ნაბიჯი გადასდგა მეხუთე მსოფლიო კონგრესის ლიკვიდაციისაკენ.

ტროცკის ბანაკში გადასვლა ნიშნავს რადეკის ბანაკში გადასვლასაც, დაგვიანებულ გამართლებას გერმანიის მემარჯვენე ცენტრალური კომიტეტის 1923 წლის პოლიტიკისა. ამას გარდა ამხ. ზინოვიევი შეუკავშირდა ნახევარ მენშევიკ მედვედევს, რომელიც კომინტერნის პარტიებს „წვრილ-ბურჟუაზიულ მუქთახორებს“ უწოდებს და სოციალ-დემოკრატიის წიაღში დაბრუნებას მოითხოვს.

ახალი ოპოზიცია საბჭოთა კავშირის კომპარტიაში სცდილობს ყველა, ანტილენინისტური ჯგუფების ბლოკი შეკრას კომინტერნში კორშ-ურბანსიდან და რუტ ფიშერიდან დაწყებული სუვარინისა და უკიდურეს მემარჯვენეებამდე.

კომინტერნის ამოცანა იმაშია, რომ თავისი პოლიტიკის საფუძველი, თავისი მსოფლიო კონგრესების გადაწყვეტილებანი, ბოლშევიკური მსოფლიო პარტიის მთლიანობა დაიცვას ახალი ოპოზიციის იერიშებისაგან. ყველა კომუნისტებმა, განსაკუთრებით იმ მემარცხენე მუშებმა, რომელთაც პატიოსნათ სურთ რევოლიუციონური პოლიტიკის განხორციელება, უნდა გაიგონ, რომ ოპოზიცია ზინოვიევისა და ტროცკის მეთაურობით საერთაშორისო საკითხებში „მემარცხენე“ მიმართულებას კი არ წარმოადგენს, არამედ აშკარა მემარჯვენესა და ოპორტიუნისტულს. ამხ. ზინოვიევის ახლანდელი პოლიტიკა ნიშნავს ინტერნაციონალური ლენინიზმის რევიზიას, იმ პოლიტიკის უკან დაბრუნებას, რომელმაც გერმანიაში ოქტომბრის დამარცხება გამოიწვია 1923 წელს.

დასკვნები

ამ ფაქტების გამო გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. უსიტყვოთ დაეთანხმოს საკავშირო კომპარტიის ცეკას და ც. ს. კომისიის პლენუმის გადაწყვეტილებებს;

2. საკავშირო კომპარტიის ცეკასა და ც. ს. კომისიის გადაწყვეტილებათა გასაშუქებლად, გერმანიის კომპარტიის წევრებში დაიწყოს ფართო მუშაობა;

3. მოუწოდოს გერმანიის კომპარტიის წევრებს შეურიგებელი ბრძოლისაკენ ახალი ოპოზიციის წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგენს უპრინციპო გაერთიანებას და „მემარცხენე“ ფრაზებით ლამობს მემარჯვენე კურსი მოახვიოს თავზე საკავშირო კომპარტიას და კომინტერნს;

4. სრულიად დაეთანხმოს იმ ზომებს, რომლებიც მიიღო საკავშირო კომპარტიის ცეკამ პარტიის მთლიანობის დასაცავად ამხ. ზინოვიევის მეთაურობით გამოსულ ოპოზიციის ფრაქციული გამთიშველი მუშაობის წინააღმდეგ;

5. ამხ. ზინოვიევის გადახრა ლენინიზმისა, ბოლშევიკური პარტიის კლასიური პოლიტიკისა და კომინტერნის გადაწყვეტილებებისგან შეუთავსებელია მის შემდგომ დარჩენასთან კომუნისტური ინტერნაციონალის სათავეში;

6. მიზანშეუწონლად იქნას ცნობილი მომავალში ფუნქცია ერთპიროვნული თავმჯდომარესი კომინტერნში და მისი არჩევა მსოფლიო კონგრესის მიერ და კომინტერნის მომავალ კონგრესზე შეტანილი იქნას სათანადო წინადადება; რათა კომინტერნი უზრუნველ იქნას ნამდვილი კოლექტიური, ლენინისტური ხელმძღვანელობით“.

---

*) როგორც გუშინ ვსწერდით, ეს რეზოლიუცია გამოტანილია გერმანიის კომპარტიის ცეკას საგანგებო სხდომაზე 6 აგვისტოს, წევრების ყველა ხმებით ორის (ურბანსის და ვებერის) წინააღმდეგ. რეზოლიუცია მოთავსებულია „როტე ფანე“-ში (8 აგვისტო). რედ.

პარტიული ცხოვრება

საკავშირო კომპარტიის ც. კომიტეტში

რეზოლიუცია „სოფლის კავშირის“ ფრაქციის მოხსენების გამო

მოსკოვი, 24 აგვისტო. 19 აგვისტოს საკავშირო კომპარტიის ცენტ. კომიტეტმა „სოფლის კავშირის“ ფრაქციის მოხსენების გამო მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

სცნობს რა სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის მნიშვნელოვან განვითარებას, ცენ. კომიტეტი მაინც აღნიშნავს, მე-14 პარტკონფერენციის და მე-14 პარტყრილობის გადაწყვეტილებები და დირექტივები კოოპერატიული მშენებლობის საკითხების შესახებ სავსებით არ არის განხორციელებული და კოოპერაციის მტკივნეული მხარეები, რომელიც მე-14 პარტკონფერენციის მიერ იყო აღნიშნული, ჯერ კიდევ არ არის მოსპობილი. ასეთი მდგომარეობის ძირითადი მიზეზები არის: არა საკმაო დაკავშირება სას. სამეურ. კოოპერაციისა მწარმოებლის მოთხოვნილებასთან, კოოპერაციის ბრუნვაში მოსახლეობის ნივთიერ საშუალებათა სუსტი მონაწილეობის მიღება, ვაჭრული გადახრის უპირატესობა კოოპერატიულ გასაღებისა და წარმოების საზარალოდ; ხშირია ჯერ კიდევ სასოფლო სამეურნეო კოოპერაციაზე პარტიული და საბჭოთა ორგანოების არაწესიერი ხელმძღვანელობა, არ არის მოსპობილი ზევიდან დანიშვნა; კოოპერაციის მუშაკების ხშირი გამოცვლა, უპარტიო კოოპერატორების მიზანშეწონილად გამოყენების უცოდინარობა, ხელმძღვანელთა შემადგენლობის სისუსტე, დიდი ზედმეტი ხარჯები, უყაირათობა და აგრეთვე ბოროტმოქმედებისა და გაფლანგვის აღმოუფხვრელობა.

აღნიშნულ ნაკლულევანებათა მოსპობის მიზნით ცენტრალური კომიტეტი აუცილებელ საჭიროებად სთვლის შემდეგ ღონისძიებათა გატარებას: სასოფლო სამეურნეო კოოპერაციამ უნდა განავითაროს თავისი სამეურნეო მოქმედება ისეთ საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს გლეხთა მასების ყველა ფენებისა და უწინარეს ყოვლისა ღარიბ და საშუალო გლეხთა ფენების კოოპერაციაში ჩაბმის რეალურ შესაძლებლობას. ცენტ. კომიტეტი უდიდეს ამოცანათ სთვლის — საწარმოო კოოპერატივების გარშემო გლეხობის თავის მოყრისა და ღარიბთა მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ მუშაობის გაძლიერებას. ცენტ. კომიტეტი ავალებს სოფლის კავშირის კომფრაქციებს და სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ცენტრებს დიდის ყურადღებით მოეპყრან კოოპერაციის სოციალურ შემადგენლობასა და მის კადრებს—შემადგენლობის მოწესრიგების მიზნით პარტიის ამოცანების შესაფერად.

აუცილებლად უნდა ხდებოდეს სოფლის მოსახლეობისათვის იარაღებისა და საშუალებათა მოწოდება, განსაკუთრებით სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის საშუალებით.

უნდა გაფართოვდეს სასოფლო სამეურნეო კოოპერაცის მოქმედება სასოფ. სამეურნეო ნედლი მასალის დამუშავების სფეროში შესაფერი სესხის მიცემის საშუალებით.

სას. სამეურნეო კოოპერაციის საქმის განმტკიცებაში უაღრეს ამოცანად დარჩება კოოპერაციაში ჩაბმული წევრების აქტივობის გაძლიერება მისი თვითმოქმედებისა და მოსახლეობის საკუთარ საშუალებათა დაბანდების საფუძველზე, რის შესახებაც აუცილებლად ცეკა სთვლის, კამპანიების ჩატარებას.

საპაიო თანხების მოსაზიდავათ შემოღებული უნდა იქნეს უსასტიკესი ეკონომიის რეჟიმი და აპარატის მაქსიმალური გაიაფება.

სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ხელმძღვანელ კადრების გაძლიერების მიზნით, ცეკა აუცილებლად სთვლის დაჩქარდეს სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში კოოპერატიული ცოდნის პროგრამის შემოღება და აგრეთვე მოეწყოს სპეციალური კურსები სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის მუშაკთა მოსამზადებლად. შემდეგში პარტიის გავლენის ზრდასთან ერთად სას. სამ. კოოპერაციაში აუცილებელია შევქმნათ ხელსაყრელი პირობები სასოფ. სამ. კოოპერაციაში ახალ და ძველ კოოპერატორთა უპარტიო კადრების საპასუხისმგებლო მუშაობაში მაქსიმალურად გამოყენებისათვის.

ცენტ. კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებამ უნდა მიიღოს ზომები, რომ პრესამ უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს კოოპერატიული მშენებლობის საკითხებს.

დახურულ კრებების შესახებ

პარტიას, როგორც განსაკუთრებულ პოლიტიკურ ორგანიზაციას, აქვს თავისი შინაური საკითხები. აქედან ცხადია, რომ ისეთ შემთხვევაში, როცა გასარჩევია საკითხები, რომელნიც პარტიის საიდუმლოებას შეადგენენ, კრებები დახურული უნდა იყოს უპარტიო მასისათვის. ეს ასედაც ხდება.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ხშირად ჩვენი ძირითადი პარტიული ორგანიზაციები გადაჭარბებულ მიდრეკილებას იჩენენ დახურულ კრებებისადმი. არის შემთხვევები, როცა უჯრედების კრებებზე სოფლად და ქალაქად ირჩევა ისეთი საჭირბოროტო საკითხები, რომელთა განხილვაში უპარტიო მასის მონაწილეობა სასარგებლო და სასურველია.

მაგრამ უჯრედები ხშირად მისდევენ ერთხელვე აღებულ მავნე ტრადიციას და იკეტებიან მაშინაც კი, როცა ეს სრულიადაც საჭირო არაა, არც პარტიული საიდუმლოებით და არც საქმის სარგებლობის თვალსაზრისით. ასეთია, მაგალითად, წარმოების, სოფლის მეურნეობის, კეთილმოწყობის, კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის და სხვა მრავალი საკითხები.

ჩვენ მიზნად ვისახავთ პარტიული მშრომელი მასის პარტიის ირგვლივ მჭიდროთ გაერთიანებას, აქტივის შექმნას, რომ პარტიამ ამ აქტივიდან ამოჰკრიბოს თავისი ახალი ძალები. ამ შემთხვევაში, ე. ი. უპარტიო აქტივის პარტიის ირგვლივ დარაზმვაში, ჩვენი მთავარი საშუალებაა პარტიული უჯრედები, რომელთა მიზანშეწონილ მუშაობას შეუძლია უდიდესი სამსახური გაუწიოს პარტიას.

რა გზით უნდა აწარმოებდნენ უჯრედები უპარტიო მასის დაახლოებას? სხვათა შორის ამ მასის უჯრედის მუშაობაში ჩაბმით. ეს ყველაზე უკეთ შესაძლებელია პარტუჯრედების ღია კრებების საშუალებით. ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ უსაფუძვლოდ არ გამოვიკეტოთ უჯრედის კრებების კარები. ზედმეტი კონსპირაცია, ზედმეტი განცალკევება უჯრედს აშორებს უპარტიო მასას და უკარგავს მას გავლენას ამ მასაში.

ჩვენმა უჯრედებმა უნდა ისწავლონ შინაპარტიულ საკითხებისა და ისეთი საკითხების გარჩევა, რომელთა გამოტანა საჭირო და სასარგებლო არის უპარტიო მასის წინაშე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ღია კრებები საუკეთესო ხიდია პარტიასა და უპარტიო მშრომელ მასას შორის.

უჯრედელი.

წინ მივდივართ.

(გორის მაზრის კომკავშირი).

კომკავშირის გორის სამაზრო კომიტეტი აერთიანებს 22 თემკომს, ორი საწარმოო რაიონით, როგორიც არის ხაშური და ბორჯომი. მაზრაში 198 უჯრედია. წევრთა და კანდიდატთა რიცხვი კი აღწევს 6311-ს. მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულის თვეებში ახალგაზრდობა ჩაბმულია სასოფლო მუშაობაში, ორგანიზაციის მუშაობა მაინც ჩვეულებრივი ტემპით მიმდინარეობს. კომკავშირის უჯრედები ყოველ ორკვირაში ერთხელ ატარებენ თავიანთ კრებებს, დროგამოშვებით კი, სადაც არსებობს კომკავშირის უჯრედი, კომპარტიის უჯრედთან ერთად ტარდება გაერთიანებული სხდომები.

უნდა ითქვას, რომ კომუჯრედების ხელმძღვანელობა კომკავშირის უჯრედების მუშაობაზე ზოგ ადგილას არ იყო სათანადოთ დაყენებული. უმთავრესად კომუჯრედები კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ ფორმალური მხარეების შესრულებით, გამოყოფდნენ კომუჯრედელ ამხანაგებს და მიამაგრებდნენ კომკავშირის უჯრედებზე, მაგრამ ისინი უმრავლეს შემთხვევაში არავითარ ხელმძღვანელობას და არავითარ მუშაობას იქ არ აწარმოებდნენ. ამ ბოლო დროს ეს მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორებულია. ზოგიერთ კომუჯრედების მიერ შეცვლილია ძველი მიმაგრებული აქტიური ამხანაგები. უკანასკნელ დროს კომკავშირელთა საგრძნობი ნაწილი გადარიცხულია კომპარტიაში; განზრახულია აგრეთვე ჰასაკგადაცილებულ კომკავშირელთა გადარიცხვაც. აღსანიშნავია, რომ კომკავშირის ზრდა ჩქარი ნაბიჯით მიმდინარეობს. ეს ზრდა უმთავრესად ხდება უღარიბესი გლეხობის, მოჯამაგირე ახალგაზრდობის და საშუალო გლეხობის ხარჯზე. საჭიროა მუშაობის გაცხოველება ღარიბ ქალიშვილებს შორის მათი ორგანიზაციაში ჩასაბმელად. ჩვენი უჯრედები უმთავრესად ღარიბი გლეხების და მოჯამაგირე ახალგაზრდობიდან შესდგება.

ამ ზაფხულის თვეებში უჯრედები ხშირად ეხმარებოდნენ ქვრივ-ობლების, წითელარმიელების და ღარიბ-ღატაკის ოჯახებს უხნავდნენ, უთოხნიდნენ და სხვა დახმარებას უწევდნენ მათ. უჯრედებთან არსებულ დრამწრეების მიერ ეწყობოდა სოფლად მრავალი საღამო-წარმოდგენები და სხვა კულტურული გასართობები.

კომკავშირის უჯრედების ამგვარი მუშაობით გლეხობა მეტად კმაყოფილია. ზოგიერთგან გლეხობამ აირჩია კომკავშირელები სოფლის საბჭოებში, გლეხკომებში და სხვა საზოგადოებებში.

გორის მაზრის გლეხურ უჯრედებს ბევრ ალაგას აქვთ აღებული ბაღები და მიწები კოლექტიურად დასამუშავებლად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ ტყვიავის და გომის ორგანიზაციები, რომელნიც მუდამ წლიურად ამუშავებენ მინდვრებს და შემოსავალს ახმარებენ სოფლის კეთილმოწყობას.

ირაკლი ნუცუბიძე.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

რკინისგზის პროფკავშირები და მომჭირნეობა

ა.-კ. რკ.-გზის პროფკავშირები დამოუკიდებლივ ატარებენ მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიას. სახელდობრ საგზაო კომიტეტის მიერ, პროფკავშირის ორგანოებს მიეცათ განკარგულება, რათა ხაზებზე მათ არ გაეგზავნათ თავის წარმომადგენლები სამეურნეო ორგანოების მიერ შექმნილ კომისიებში, არამედ მომჭირნეობის გატარების მთელი საქმიანობა გაეერთიანებინათ საწარმოო თათბირების და კომისიების ხელში.

ამასთან, ერთად, საგზაო კომიტეტის ინიციატივით მოწვეულ იქნა თათბირი რკ. გზის სამმართველოს ყველა განყოფილებების წარმომადგენლებისა და გამგეობის წევრის თანდასწრებით, რათა შეერთებულის ძალით გატარებით შრომისა და თავდაცვის საბჭოს ბრძანება მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ.

ამ თათბირზე მიიღეს მთელი რიგი გადაწყვეტილებები, რომელთაგან აღსანიშნავია: 1) ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ პერსონალის პრესტიჟის ამაღლებისათვის ხელის შეწყობა, 2) მათთვის დახმარება საქმისათვის სასარგებლო ღონისძიებების გატარებაში და 3) გზების საჭირო მასალებით მომარაგების მოწესრიგება, რისთვისაც უნდა დაწესდეს იმ ვაგონების ზედმიწევნით სწორი მიმოსვლა, რომლებითაც გადააქვთ ეს მასალები. და ამასთანავე თათბირმა საჭიროდ სცნო ეთხოვოს ცენტრს, რათა გამოგზავნოს ინსტრუქცია, ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ პერსონალის უფლება-მოვალეობის სისწორით განსაზღვრის შესახებ.

რაც შეეხება უშუალოდ საკავშირო ხაზით მომჭირნეობის გატარებას, ამ მხრივ საკავშირო ორგანოებს დაეგზავნათ განკარგულება, რომლის თანახმად მათ დაევალათ: შრომის დისციპლინის აწევა, მომჭირნეთ და მიზანშეწონილად გამოყენება: მასალებისა, მანქანებისა, სამუშაო დროის, მუშაობის თვისების გაუმჯობესება, ბრძოლა ლოთობასთან, სამსახურში უმიზეზოთ გამოუცხადებლობასთან, უყაირათობასთან და სხვა.

ამასთანავე მათ მიეცათ წინადადება, რათა საწარმოო თათბირებში და კომისიებში ჩააბან მუშების ფართო მასები და გააძლიერონ ამ თათბირების და კომისიების მუშაობა.

ა. კ.

ჭრესა მომჭირნეობის შესახებ

მომჭირნეობის დამახინჯება

ზოგჯერ, მეტის მეტი ერთგულობით, მომჭირნეობის რეჟიმის ისეთი „სისასტიკით“ ატარებენ, რომ ეს „სისასტიკე“ წინ ეღობება წარმოების განვითარებას. მაგალითად, შემჩნეულია, რომ მომჭირნეობის გულისათვის სამეურნეო მუშაკები ხელს იღებენ წარმოების მექანიზაციასა და გაუმჯობესებისაგან. ეს არის მომჭირნეობის თავდაყირა დაყენება.

მომჭირნეობის რეჟიმის მთავარი აზრი ხწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მიზნათ ვისახავთ საწარმოო ძალების მექანიზაციას, შრომის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას, რაც ერთი ძირითადი პირობათაგანია საბჭოთა კავშირის ეკონომიურ წარმატებისა. ამიტომ ყოვლად დაუშვებელია მომჭირნეობის მიზნით ისეთი ხარჯების შეკვეცა, რომელიც ხმარდება წარმოების გაუმჯობესება—კეთილმოწყობას.

ამ გარემოებას აქცევს ყურადღებას გაზ. „ურალსკი რაბოჩი“, რომელიც სწერს:

„ასეთი გამარტივებული მუშაობა, მისი (მუშაობის) პატრიარქალურ შრომის პირობებამდი დაყვანა, რაც თითქოს იაფი ჯდება, ეწინააღმდეგება შრომის დაცვის მოთხოვნილებებს და ამგვარი „მომჭირნეობა“ დამბლით ევლინება წარმოებას, ის ახანგრძლივებს შრომის პროცესს, აძვირებს და აუარესებს ნაწარმოებს“.

ამავე საკითხზე ჩერდება ქ. ყაზანის გაზეთი „კრასნაია ტატარია“, რომელიც ამასთანავე აცხადებს, რომ ზოგგან მექანიზაციის შეფერხებასთან ერთად ადგილი აქვს კოლექტიურ ხელშეკრულებების დარღვევასაც. გაზეთი სწერს:

„მომჭირნეობის რეჟიმის გატარებამ პირველყოვლისა გავლენა იქონია შრომის დაცვის საქმეზე, სამეურნეო მუშაკებმა დაიწყეს სპეცტანისამოსის შეკვეცა, სპეციალურ კვების შემცირება, დამატებითი შვებულების შემოკლება და სამუშაო დღის გაგრძელება“.

უსაფუძვლო შენიშვნა

(გორი)

გაზ. „კომუნისტი“-ს № 181 მოთავსებული იყო შენიშვნა: „სტატისტიკა ტელეგრაფით“. მაზრის სტატბიუროს არა თუ მომჭირნეობის ხანაში, არამედ წინადაც არ ჰქონია ცდა და შემთხვევა იმისა, რომ სტატისტიკური ცნობები თემებში დეპეშებით მოეკრიფა, მაზრის 27 თემიდან ტელეგრაფით კავშირის დაჭერა შეიძლება შვიდთან. წერილი ალბად ემყარება შემდეგ ფაქტს:

30 ივლისს საქ. სტატისტიკის ცენტ. სამმართველოდან გამოგზავნილი იყო მომართვა, რომ საჩქაროდ გამორკვეულ ყოფილიყო სტიქიურ მოვლენით და საერთოდ უამინდობით გამოწვეულ დაზარალების რაოდენობა. რადგანაც დავალება ვადიანი და საჩქარო იყო, შედგენილ იქნა 1-ლ აგვისტოს № 13746 ტელეფონოგრამმა, რომლითაც თემებს მოეთხოვათ აღნიშნული ცნობების მიწოდება და საჩქაროდ გადმოგზავნა მაზრ.-აღმასკომში. ტელეფონოგრამები გადაეცა, მხოლოდ 8 თემს, ხელზე გატანებულ იყო 4 თემში, ხოლო დანარჩენებს გაეგზავნათ ფოსტით. ამ რიგად მაზრის აღმასკომიდან არ ყოფილა იმის შემთხვევა, რომ სტატისტიკური ცნობები თემებიდან მოთხოვნილ ან მოგროვილ ყოფილიყვნენ დეპეშის საშუალებით.

სამაღმასკომის თავმჯდომარის მაგიერ—გ. კალმახელი.

გლეხთა ანაბარები წინეთ და ახლა

(საუბარი ამ.-კავ. სახ.-სამ. ბანკის გამ-გეობის წევრთან ამხ. კარახანიანთან)

არსებულ ძირითად სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა უმთავრეს საარსებო წყაროს,—სთქვა ამხ. კარახანიანმა,— წარმოადგენენ გლეხთა ანაბარები, რომლებიც გლეხებს შეაქვთ ამ ამხანაგობათა სალაროებში. უნდა ითქვას, რომ ამის შესახებ ბევრი თქმულა და ბევრიც დაწერილა, მაგრამ შედეგები ძალიან უმნიშვნელოა, თითქოს ეს საკითხი გაიყინა ერთ წერტილზე და თვით საკრედიტო ამხანაგობათა ძირითად ქსელის მუშაკებიც უძლურნი აღმოჩნდენ მის ადგილიდან დასაძრავად.

როგორც უკვე ცნობილია, ომამდე საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებებს შეადგენდენ ადგილობრივ მოსახლეობის ანაბარები. მაგალითად 1914 წლის 1 იანვრისათვის შეტანილ ანაბართა საერთო ჯამი აღწევდა 363 მილიონ მანეთამდე, ხოლო 1917 წლის 1 იანვრისათვის—688 მილიონ მანეთამდე.

საკრედიტო ამხანაგობათა საერთო ბალანსი 1914 წლის 1 იანვრისათვის გამოიხატებოდა 615 მილიონ მანეთში; აქედან გლეხთა ანაბარები უდრიდა 363 მილიონ მანეთს; საკუთარი თანხები 114 მილიონ მანეთს, რომლებიც უმთავრესად იქმნებოდენ იმ თანხებიდან, რომლებიც ირიცხებოდენ ყოველ წლიურად მოგებიდან, 108 მილიონი მანეთი შეადგენდა სესხს სახელმწიფო ბანკიდან.

უფრო მარტივი თქმით, ეს ნიშნავს იმას, რომ საკრედიტო ამხანაგობათა საბრუნავ თანხის თვითეულ 100 მანეთზე მოდიოდა 59 მანეთი გლეხთა ანაბარები, 18 მან. 50 კაპ. საკუთარი თანხები და 17 მან. 50 კაპ. ნასესხი თანხები.

რას ვხედავთ დღეს.

მთელი საბჭოთა კავშირის საკრედიტო ამხანაგობათა ძირითადი ქსელის საერთო ბალანსი 1925 წლის პირველ იანვრისათვის გამოიხატებოდა 253 მილიონ მანეთში, საიდანაც 50 მილიონი მანეთი შეადგენდა ნასესხს თანხას და მხოლოდ 4 მილიონი მანეთი ანაბარებს.

სხვაგვარად რომ ვსთქვათ—საკრედიტო ამხანაგობათა საბრუნავ თანხების თითოეულ 100 მანეთზე მოდის: 20 მანეთი საკუთარი და ნასესხი თანხები; 38 მ. 50 კ. სესხი სახელმწიფოდან; 40 მან. დანარჩენი აქტივები და მხოლოდ **1 მან. და 50 კაპ.** წვრილი გლეხთა ანაბარები.

ზემო ნათქვამიდან ცხადად სჩანს, რომ თუ საკრედიტო ამხანაგობები, ომის წინ, ომის დროს და შემდეგ სამოქალაქო ომის პერიოდში თავის ოპერაციებს აწარმოებდენ ადგილობრივად მოზიდულ თანხებით,—ახლა ეს თანხები ისეთ უმნიშვნელო ნაწილს შეადგენენ მათ საშუალებებში, რომ მათზე ლაპარაკი არც კი ღირს.

ერთად ერთი წყარო საითკენაც არის მიპყრობილი სესხის მიღების მსურველი გლეხის თვალი—ეს არის სახელმწიფოს სალარო.

შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, თითქოს მუშურ-გლეხური ხელისუფლება ვალდებული იყოს ფართოთ გააღოს თავისი ხაზინის კარები და განუსაზღვრელად აწოდოს კრედიტები სასოფლო მეურნეობას. საკითხავია—სადღა არის გლეხთა ფართო მასების თავისუფალი საშუალებები? რატომ არ შედიან ისინი საკრედიტო ამხანაგობათა სალაროებში? ამის პასუხს მკითხველი ნახავს იმ აურაცხელ ცირკულიარებში, რომლებსაც უგზავნიდა ამიერ-კავკ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი რესპუბლიკანურ ბანკებს, ხოლო უკანასკნელები კი ძირითად საკრედიტო ქსელს.

საჭიროა ოპერაციების მნიშვნელობის და მიზნების მოსახლეობისათვის ფართოთ გაცნობა. საჭიროა თვით საკრედიტო ამხანაგობის იდეის პოპულარიზაცია და რაც მთავარია —**მოპოვება გლეხთა ფართო მასების განუსაზღვრელი ნდობისა**, რადგან უამისოდ საკრედიტო ამხანაგობების ყოველგვარი წამოწყება განწირულია დასაღუპავად.

აუცილებელია ყოველგვარი ღონისძიების მიღება, რათა ის ზედმეტი თანხები, რომლებიც მოიპოვებათ გლეხებს შევიდნენ სასოფლო-სამეურნეო ბანკების და ძირითად საკრედიტო ამხანაგობათა სალაროებში ანაბარების სახით.

ამ მიმართულებით უნდა იმუშაოს აუცილებლად ძირითად კოოპერატიული ქსელის თითოეულმა მუშაკმა.

საგეგმო კომისიაში

სოც.-დაზღვევის ორგანოებისადმი დავალიანების საკითხი

მიუხედავათ სოციალურ დაზღვევის ტარიფის სისტემატიურად შემცირებისა (1924 წ.—15,2%, 1925-26—12,36%) — საქართველოში შემჩნეულია წარმოება-დაწესებულებათა დავალიანების ზრდა სოციალურ დაზღვევის ორგანოებისადმი. ამასთანავე უდიდესი დავალიანება მოდის სამეურნეო დაწესებულებებზე (41,4%) და იმ დაწესებულებებსა და წარმოებებზე, რომელნიც ადგილობრივ ბიუჯეტზე იმყოფებიან (36%).

სოციალურ დაზღვევის ორგანოებისადმი დავალიანების საკითხი დეტალურად იქნა განხილული საქართველოს საგეგმო კომისიაში. უკანასკნელმა ანალიზმა აჩვენა, რომ ეს მოვლენა არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ გადამხდელთა დაუდევრობით, თუმცა ზოგ ადგილას ასეთ რამესაც ჰქონდა ადგილი. საგეგმო კომისიის აზრით ამას უფრო ღრმა ეკონომიური მიზეზები აქვს.

მრეწველობაში დავალიანების უმთავრეს მიზეზად სახელმწიფო საგეგმო კომისია სთვლის დასაზღვევ გადასახადების სიმძიმეს, რომელიც ზოგიერთი წარმოების ძალ-ღონეს აღემატება. სოციალურ დაზღვევის საშუალო ტარიფი მრეწველობისათვის გაცილებით მეტია საერთო საშუალო ტარიფზე. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცნობით იგი უდრის ხელფასის ფონდის 15,6%-ს, ნაცვლად საშუალო განაკვეთის 12,9%-ისა. აღნიშნულ 15,6%-დან საქართველოს მრეწველობამ გადაიხადა მხოლოდ 13,1%, დანარჩენი თანხა კი ირიცხება მასზე დავალიანების სახით. დასაზღვევი გადასახადი შეადგენს ყველა ზედნადებ ხარჯების 81,8%-ს. ეს ძალიან დიდი პროცენტია საქართველოს მრეწველობისათვის.

ამიტომ საქ. სახ. საგეგმო კომისია მიზანშეწონილად სთვლის დააყენოს საკითხი არსებულ დავალიანების მოხსნის და საშუალო სატარიფო განაკვეთის 10—12%-მდე შემცირების შესახებ. საქ. სახ. საგეგმო კომისია ფიქრობს, რომ აღნიშნული ღონისძიება, რომელიც არის დიდ მნიშვნელოვანი მრეწველობის თვალსაზრისით, დიდ ზარალს არ მიაყენებს სოციალურ დაზღვევას, ვინაიდან უკანასკნელი დღეს არ იღებს იმ 15,6%-ს, რომელიც ფორმალურად მრეწველობამ უნდა გადაიხადოს. საშუალო ტარიფის დაკლება მოსპობს დავალიანებას და უმნიშვნელოდ შეამცირებს სოციალურ დაზღვევის შემოსავალს.

როგორც აღნიშნული იყო, დავალიანების მხრივ მეორე ადგილი უჭირავს იმ წარმოება-დაწესებულებებს, რომელნიც ადგილობრივ ბიუჯეტზე იმყოფებიან. ამ დაწესებულებების მიმართ საქ.-სახ. საგეგმო კომისიის აზრით იქნას დატოვებული არსებული ტარიფი (10%) და რადგან სოც.-დაზღვევის ფონდები, რომელნიც ადგილობრივ ბიუჯეტითაა გათვალისწინებული ხშირად არა დანიშნულებისამებრ იხარჯება, საგეგმო კომისია საჭიროთ სთვლის მიღებული იქნას ზომები, რათა აღნიშნული გადარიცხვა თავის დროზე და სავსებით იქნას შეტანილი სოც. დაზღვევის ორგანოებში.

სხვა წარმოება-დაწესებულებათა მიმართ სახ. საგეგმო კომისიამ სოც. დაზღვევის ტარიფში არავითარი ცვლილება არ შეიტანა.

ამგვარად, სახ. საგეგმო კომისიის აზრით, სოც. დაზღვევის ტარიფი უნდა იქნას შემცირებული მხოლოდ სახელმწიფო მრეწველობაში.

ეკონომიურ საბჭოში

ადგილობრივ მეურნეობის აღდგენა

ეკონომიურმა საბჭომ განიხილა და დაამტკიცა საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებული 1926—27 წ. ადგილობრივ მეურნეობის აღდგენის გეგმა.

ურთიერთო ნდობის საზ-ბა ხონში

ეკონომიურმა საბჭომ დააკმაყოფილა ქ. ხონის მოქალაქეთა შუამდგომლობა ქ. ხონში საურთიერთო ნდობის საზოგადოების დაარსების შესახებ.

გეოლოგიური კვლევა-ძიების გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი 1926—27 წ. გეოლოგიური კვლევა-ძიების გეგმა. ხსენებულ გეგმაში შედის აგრეთვე ბარიტის დამუშავების საკითხიც.

გეგმით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულ იქნა 288.300 მანეთის რაოდენობით.

ანარიცხები ლეჩხუმის მაზრაღმასკომისათვის

ეკონომიურმა საბჭომ ნება დართო ს. მ. უ. საბჭოს სამთო-ქიმიურ კომბინატს გაიღოს ლეჩხუმის მაზრაღმასკომის განკარგულებაში ბარიტის წარმოებიდან შემოსული თანხების ანარიცხის ანგარიშში 5.000 მანეთი.

ნავთსადგურებში

ბათომის ნავთსადგურში.

ნავთის სინდიკატმა ბათომის ნავთსადგურსთან დაამთავრა დიდი საბენზინო სადგურის აგება და მოწყობა. სადგურს აქვს ჩასასხმელი განყოფილება ბიდონების ბენზინით გასავსებათ. სადგურთან აგებულია საწყობები ბენზინის შესანახად. საწყობები დაცულია ხანძრის შესაძლებლობისაგან.

ერთი კვირის წინად ბათომის ნავთსადგურთან რკინისგზის შტოს გაყვანის გამო დაიწყო დიდი ტვირთებიდან განტვირთვა ნავთსადგურის მოედნისა—უცხოელ გემების მისადგომების გასწვრივ 8-ტონიან სანავთსადგურო ონკანიდან დაწყებული, ვიდრე რკინისგზის სანავთსადგურო ხაზთა შეერთებამდე. რამდენიმე დღეში მთელი მოედანი განტვირთულ იქნა. აღებულია 200 ვაგონი საზ. „საქართველოს მარგანეცი“-ს სხვადასხვა მასალა და რამდენიმე ასი ათასი კილო ტვირთი—საბურღი იარაღები, სათოხლე ქვაბები, ხრახნილები და სხვა, რომელიც „აზნეფტ“-ის კუთვნილებას შეადგენს.

სატყეო ტრესტში

1.500.000 მანეთი

1925-26 საოპერაციო წელში, როგორც სატყეო ტრესტის მუშაობიდან სჩანს ხე-ტყის დამზადება დამაკმაყოფილებლად სწარმოებდა, მაგრამ უსახსრობის გამო საშუალება არ ჰქონდა გაეძლიერებინა თავის მუშაობა. გასული საოპერაციო წლის სამუშაო გეგმის 80-90 პროც. შესასრულებლად საქართველოს სატყეო ტრესტმა მიმართა საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს დამატებითი კრედიტის მიცემის შესახებ 1.500.000 მანეთის რაოდენობით. ამ საკითხს ამ დღეებში განიხილავს სახალხო კომისართა საბჭო.

ხელშეკრულებები

საქართველოს სატყეო ტრესტმა ამ დღეებში დასდო ხელშეკრულებები ა.-კ. წითელ ჯარისათვის—5.000 კუბ. საჟენი და თბილისის აღმასკომისათვის—1.100 კუბ. საჟ. შეშის მისაწოდებლად. ამ ჟამად ტრესტთან აწარმოებენ მოლაპარაკებას სხვა დაწესებულებებიც.

შეშის საწყობები

საქართველოს სატყეო ტრესტმა მოაწყო თბილისში ცენტრალური შეშის საწყობი—დიდუბეში. მეორე საწყობი მოწყობილია კამოს ქუჩაზე. მესამე საწყობი ამ დღეებში გაიხსნება ავლაბარში კახეთის ქუჩაზე. მეორე და მესამე საწყობებში იწარმოებს როგორც შეშის, ისე ხის ნახშირის გაყიდვა.

სატყეო ტრესტის მომავალი საქმიანობა

საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტმა გამოიმუშავა მომავალი 1926-27 საოპერაციო წლის მუშაობის გეგმა, რომელიც წარდგენილია დასამტკიცებლად უმაღლეს ორგანოებში. მომავალ საოპერაციო წელში გეგმით გათვალისწინებულია 6.500.000 მანეთის ღირებულების ხე-ტყის მასალების და შეშის დამზადება. განზრახულია დამზადდეს 17.000 კუბ. საჟენი შეშა, რაც სავსებით დააკმაყოფილებს მომავალი წლის მოთხოვნილებებს. გეგმით გათვალისწინებულია აგრეთვე მომავალ წელში ყველა ხე-ტყის შემკვეთელების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ასეთი შემკვეთელები არიან: ა.-კ. რკ. გზათა სამმართველო, შავიზღვის რკ. გზა, თბილისის აღმასკომი და სხვ. ხე-ტყის მასალათა დასამზადებლად ტრესტს განზრახული აქვს გახსნას ხე-ტყის მასალის დამამზადებელი პუნქტები შემდეგ ადგილებში: კახეთში—„ახმეტას ტყე“, გურიაში—„სურების ტყე“, ბაღდათის რაიონში—„საირმის ტყე“.

უცხოელი მუშა-ექსკურსანტები თბილისში

გუშინ კავკავიდან საქართველოს სამხედრო გზით თბილისში ჩამოვიდა 30 უცხოელი მუშა-ექსკურსანტები. ექსკურსანტებს შორის არის 7 გერმანელი, 5 ფრანგი, 2 ამერიკელი, 5 ჩეხოსლოვაკელი, 2 ნორვეგიელი, 1 ავსტრიელი, 2 პოლონელი და სხვა.

ყველა ექსკურსანტები კომუნისტებია და ახალგაზრდა კომკავშირის წევრები.

ექსკურსანტები თბილისში ჩამოვიდენ მოსკოვიდან, სადაც ყველა ისინი მივლინებული იყვნენ ლენინის საერთაშორისო კურსებზე.

ექსკურსანტებმა ისარგებლეს კანიკულებით და განიზრახეს ექსკურსიების მოხდენა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

გუშინ ექსკურსანტებმა დაათვალიერეს პირველი რაიონული კომიტეტი, მთავარი სახელოსნოები, ფუნიკულიორი და გამასწორებელი სახლი.

დეპოში მათ ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ მუშებთან. დაინტერესებული იყვნენ მუშების ყოფა-ცხოვრებით.

„მუშათა კლასი მხოლოდ საბჭოთა ქვეყნებში არის თავისუფალი“,—განაცხადეს ექსკურსანტებმა. მთავარი ისაა,—დასძინეს მათ, რომ საბჭოთა ქვეყნებში მუშების შრომას დაფასება და პატივისცემა აქვს.

გუშინ საღამოს ექსკურსანტები გაემგზავრნენ ბათომში, საიდანაც გაემგზავრებიან მოსკოვში.

კ.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ბარიტის წისქვილი

ქუთაისი, 24 აგვისტო. ბარიტის წისქვილის კერძო მწარმოებლების ხელიდან, საქართველოს სამთო-ქიმიურ კომბინატის ხელში გადასვლის შემდეგ, ბარიტის დაფქვა გაიზარდა ექვსჯერ, მუშების რიცხვი გადიდდა 14-დან 38-მდე.

დიზინტერია

ქუთაისი, 24 აგვისტო. ქუთაისში და მაზრაში ძალიან გავრცელდა დიზინტერია. ქუთაისის აღმასკომმა სპეციალური კადრი შექმნა ამ ავადმყოფობასთან საბრძოლველად. 1 აგვისტოდან 15-მდე აღრიცხული იყო დიზინტერიით დაავადებულის 100 შემთხვევა.

დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვა

ქუთაისი, 24 აგვისტო. მთელს მაზრაში დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვა. წარსულ წელთან შედარებით სახნავი მიწების რაოდენობა გაიზარდა 5 პროცენტით; ვენახების—11 პროცენტით; მსხვილ-ფეხა საქონლის 10,5 პროცენტით.

მზადება აღწერისათვის

ახალ-სენაკი, 24 აგვისტო. მთელს მაზრაში თემის საბჭოების კრებებზე ტარდება ახსნა-განმარტებითი კამპანია, მოახლოვებულ საკავშირო აღწერის ამოცანების და მნიშვნელობის შესახებ.

საავადმყოფოს აშენება

ახალ-სენაკი, 24 აგვისტო. სოფ. სამიქაოში სოფლის საზოგადოება თავის ძალებით ამთავრებს საავადმყოფოს აშენებას.

აჭარისტანი

ნათესების მდგომარეობა

ბათომი, 24 აგვისტო. აჭარისტანის სტატისტიკურ სამმართველოს ცნობების მიხედვით ნათესების მდგომარეობა შემდეგ სურათს წარმოადგენს: სიმინდი—4 ნიშანი, თამბაქო—3, ჩაი—3.

ბათომის ნავთ-სადგურის ოპერაციები

ბათომი, 24 აგვისტო. ივლისის განმავლობაში ნავთ-სადგურში საზღვარ-გარეთიდან შემოიტანეს 4.181.231 კილო სხვადასხვა ტვირთი; აქედან სპარსეთისათვის სატრანზიტო ტვირთი—1.250.000 კილო, დანარჩენი უმთავრესად „აზნეფტისა“ და საზოგ. „საქართველოს მარგანეცისათვის“. ამავე ხნის განმავლობაში გატანილ იქნა 100.400.000 კილო ტვირთი, აქედან ნავთის პროდუქტები—99.000.000 კილო, დანარჩენი—სხვადასხვა ნედლეული.

ჰიდრო-სადგურის დამბა

ბათომი, 24 აგვისტო. წყალთა მეურნეობის სამმართველო შეუდგა ძველი, უვარგისი დამბის ნაცვლად, ახალი დამბის გაკეთებას ჰიდრო-სადგურისათვის.

თეატრი გამსახლში

ბათომი, 24 აგვისტო, შეუდგენ გამსახლის თეატრის გაფართოებას. თეატრის დარბაზი დაიტევს 250—300 კაცს. თეატრი აიგება ყველა ტეხნიკური და სცენიური მოთხოვნილებების მიხედვით. შენობა დამთავრდება შემოდგომისათვის.

წერილები

ორი უქმის გაუქმება

ტობანიერის შუამთის უბნის და დიდი ჯიხაიშის მცხოვრებლები აცხადებენ თავიანთ ნაცნობ-ნათესავების საყურადღებოთ, რომ საეკლესიო უქმეს, მარიობას (28 აგვისტო ახ. სტილით), ისინი აღარ დღესასწაულობენ. ამიტომ ეს სოფლები სთხოვენ ყველას, ვისაც განზრახვა აქვს აღნიშნულ დღეს ეწვიოს მათ ძველი ჩვეულების მიხედვით, თავს ნუ შეიწუხებენ: ნურც თვითონ ჩავარდებიან სირცხვილში და ნურც მასპინძლებს შეავიწროვებენ.

დიდი ჯიხაიში პირველად აცხადებს მარიობის „გადაგდებას“. ტობანიერის შუა მთის უბანი კი მეორე წელიწადია, რაც აღარ უქმობს ამ დღეს.

საჭირო არაა იმის მტკიცება, თუ რამდენად მავნებელია საეკლესიო დღესასწაულები ყოველი სოფლისათვის. თვით მართლმორწმუნე გლეხსაც რომ კითხო, ისიც დაგეთანხმებათ, რომ საეკლესიო უქმეები სოფლის გამანადგურებელი უბედურებაა. მაგრამ სოფელი მაინც განაგრძობს ამ დრო-მოჭმულ, დახავსებულ გზით სვლას. გლეხი ხშირად ვერ იჩენს იმდენ ძალას და ერთსულოვნებას, რომ დასძლიოს აშკარათ მავნე ადათი. ჩვეულება რჯულზედ უმტკიცესიაო, ასე ამართლებს ის ხშირად თავის საქციელს.

მაგრამ არის ისეთი თემებიც, სადაც შეგნება სძლევს ჩვეულებას, სადაც გლეხების დიდი უმრავლესობა ერთხმად გამოდის საეკლესიო დღესასწაულების წინააღმდეგ. ასეთი მაგალითი გვაქვს ჩვენ ამ შემთხვევაშიაც. ტობანიერის შუამთის უბანი და დიდი ჯიხაიში უარს აცხადებენ მარიობაზე. ნუ მოხვალთ, ნუ შეწუხდებით, ნურც ჩვენ შეგვაწუხებთო.

აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება. ბევრი ეკლესიის უქმეებს იმით ამართლებს, რომ სოფელს სხვა გასართობი და დროს გასატარებელი არაფერი აქვსო. ესაა ჩვენი მისვლა-მოსვლის, მტერ-მოყვარის შეხვედრის, გასათხოვარ ქალების ნახვის და მოსალხენი დღეო. ამაში უთუოდ ერთგვარი სიმართლე არის. და, რომ ამგვარ საყვედურებს არ დაურჩეს ადგილი, ადგილობრივ ორგანიზაციებმა უნდა გადადგან ნაბიჯები გაუქმებულ დღესასწაულის ნაცვლად სოფლისათვის კულტურული გასართობის მოსაწყობათ.

შუამთის უბანი ამიტომ სამართლიანად იქცევა, როცა აცხადებს, რომ მარიობის ნაცვლად მათ უქმედ დაიდეს 25 ოქტომბერი. აქვე გამოცხადებულია 25 ოქტომბრის პროგრამა. დიდმა ჯიხაიშმაც უნდა მიჰბაძოს ამ მაგალითს. დრო კიდევ არის. მარიობა გადაიდება, მაგრამ მის სანაცვლოდ შეიძლება ადგილობრივ პირობებისათვის უფრო მოსახერხებელია სხვა დღის არჩევა.

ჯერ-ჯერობით კი ერთი და მეორე სოფელიც უარს ამბობს მარიობაზე. უნდა გაიგონ ეს ყველა იმათმა, ვისაც განზრახვა აქვს თავისი სტუმრობით „გააბედნიეროს“ შუამთის უბანი და დიდი ჯიხაიში. დაუპატიჟებლად მათ თავი არ უნდა შეიწუხონ.

ვ. გეკალი.

„მარიობას“ ნუ გვეწვევით

ტობანიერის თემის შუა-მთის უბანი მოაგონებს ნაცნობთ, ნათესავებს და მეგობართ, რომ როგორც 1925 წელს გამოვაცხადეთ, დღესასწაულ მარიობას, 28 აგვისტოს, არ ვდღესასწაულობთ, როგორც საეკლესიო დღესასწაულს; სამაგიეროთ დავიდეთ ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაული, 25 ოქტომბერი. ამ დღესასწაულის დღის წესრიგი შემდეგია: 1) 12 საათზე მიტინგი თემ-აღმასკომის მოედანზე; 2) 2 საათზე სადილი; 3) 4 საათზე ფეხ-ბურთაობა; 4) 9 საათზე საზეიმო საღამო წარმოდგენით.

შუამთის გლეხების რწმუნებული (ჩამოთვლილია გვარები).

აღარ ვუქმობთ

წასულ კვირაში თემის საბჭოს მორიგ კრებაზე, სხვა კითხვების შორის დასმული იყო კითხვა, საეკლესიო დღესასწაულ მარიობის გაუქმების შესახებ. საბჭოს ყველა წევრებმა ერთხმად გამოსთქვეს სურვილი მოესპოთ ხალხის დამღუპველი მარიობა. საბჭომ, რომ შემდეგ რაიმე გაუგებრობას არ ქონოდა ადგილი, მიაწოდა კულტ-კომისიას უბნებში გადაეტანა საკითხი და გაეგო გლეხთა უმრავლესობის სურვილი. უბნებში მომხდარ კრებებზედ ყველა „მემარიობეებმა“ ერთხმად გამოსთქვეს სურვილი ამ გამანადგურებელ დღესასწაულების მოსპობის შესახებ. შედგა ოქმი და ხელისმომწერლების სია. ამისათვის დიდი-ჯიხაიშის თემში მცხოვრებნი მემარიობე მოქალაქენი კატეგორიულად უცხადებენ თავიანთ მოყვარე-ნათესავებს, რომ მარიობას, 28 აგვისტოს, ტყუილა ნუ მოვლენ და უხერხულ მდგომარეობაში ნუ ჩააყენებენ ნურც თავის თავს და ნურც მასპინძელს.

დიდი-ჯიხაიშის თემის საბჭო.

წერილებიდან

აცანა (გურია)

— **წყალის ძუნწი.** მიხეილ თედორაძის და ილარიონ თედორაძეს მამაპაპათაგანი ჰქონდათ და აქვთ ზიარი წყალი. ამ ბოლო ხანს მიხეილი აუხირდა თავის მეგვარეს: „წყარო ჩემია, არ გაბედო წვეთი წყალის წაღება“-ო. ამ გაფრთხილებამ არ გასჭრა, მიხეილმა განზრახ სიბინძურები ჩაყარა წყალში: „არც მე, არც იმასო“. ამასთანავე მიხეილ თედორაძე ჯოხით და კეტით დასდევს წყაროზე მოსიარულე მეზობლის ბავშვებს და ქალს. თემაღმასკომი, ჩაერიე ამ საქმეში და შეიტანე წესრიგი.

მექოთნე.

საბარეჯო (გარე-კახ.)

— **ექიმბაში ბებია.** ამას წინად გეგენა დოლენჯაშვილმა, რომელსაც ჰყავდა დასალოგინებელი რძალი, მოიწვია ბებია-ქალი—ექიმბაში მელური. ექიმბაშმა დიდხანს აწვალა მშობიარე. შემდეგ ბავშვს თავი წააგლიჯა და უთავო ბავშვი დედის გვამში დასტოვა. რომ ექიმი ქალი კაპანაძე არ მიშველებოდა ავათმყოფს, ის სიკვდილს ვერ გადაურჩებოდა. რათ არ მიიღებენ ზომებს ასეთ ექიმბაშის წინააღმდეგ, რომელსაც არა-ერთი ამგვარი ბოროტმოქმედება ჩაუდენია.

მარხი.

გზა და გზა

(მგზავრის შთაბეჭდილებები)

თბილისიდან—საჯევახომდე

კივილით მოსწყდა მატარებელი სიცხით გამწარებულ და ცხელ მტვერით გაჟღენთილ ქალაქს, აუშვა კვამლი, ხმაურით ამოისროლა ორთქლი ლითონის სამთვალა გოლიათმა და გაექანა.

რონოდებში დამწყვდეული, გახურებული ჰაერი შეირყა და გრილი ნიავი ტკბილი შერხევით გაუალერსდა ოფლით გაღვარულ მგზავრთა სახეებს. თავები გაიწია ფანჯრებისაკენ; დაღებული პირი ხარბად დაეწაფა ჰაერის მოვარდნილ გრილ ტალღას. კიდევ უფრო ძლიერად ამუშავდა ცხვირსახოცები, ჩალის ქუდები, საქანელები.

მგზავრებმა ოდნავ მსუბუქად ამოისუნთქეს.

მიჰქრის, მიჰკივის და მიგორავს ფოლადის გზა-ტკეცილზე ლითონის ცხენი და თან მიათრევს ათეულ რონოდას, ხალხით გამსილი—სიცხით დამწვარ და თბილისიდან გამოქცეულ მგზავრებს.

კუთხეში ვზივარ და თუმცა გრილი ნიავი მენატრება ისე, როგორც ავადმყოფს აკრძალული ხილეულობა, მაგრამ ადგილიდან ვერ დავძრულვარ მაინც: მეშინია რონოდა ხალხით გაჭედილია და თავისუფალ ადგილზე დამუხლების მსურველს აბა რა დალევს არაქათ მილეულთა შორის... მეშინია დავკარგო ადგილი, რადგან მისი დაჭერისთვის სამჯერ გადავიხადე სამღვთო ომი: ერთი საბილეთო სალაროსთან, მეორე ბაქანზე გასავალ კარების რიგში, ხოლო მესამე და უკანასკნელი, ყველაზე ფიცხელი და „შუშპარიანი“ რონოდაში შესავალ კარებზე. გვერდები დაზელილი მაქვს და ფეხის თითებზე ახლაც მაჩნია ვიღაცას მადლიანი ქუსლი. რონოდაში შესვლისას, ჩემი ფეხი ვიღაცამ საფეხურად გამოიყენა და შემდეგ... თავაზიანად მოიხადა ბოდიში. და ამიტომ არის, რომ რაკი დავჯექი აღარ ვეშვები დაჭერილ ადგილს ასე იოლად.

თავს ვინუგეშებ: ცოტას მოვითმენ. ნიავი ჩემამდისაც მოაღწევს და ამრიგად ორ კურდღელს მოვკლავ მეთქი.

და ჩემი ანგარიში გამოდგა სწორი: სულმოკლეებმა დაღებული პირი ფანჯარისაკენ გააქანეს. ორიოდე ყლაპი ჰაერი შესუნთქეს და შემდეგ მუხლებში ჩაუდგათ წყალი.

მიჰქრის მატარებელი და ხმაურობს ჩვენი რონოდა. ჭრელია ის ისევე, როგორც აღმოსავლური ხალათი. ვინ არ ვინდა, რომელი „წოდების“ ხალხი არ ჩამჯდარა ფოლადის გოგრებზე შედგმულ პატარა სახლში...

აგერ ახალგაზრდობის ერთი ჯგუფი, ყველაზე მეტად რომ ხმაურობს, ცელქობს, ოხუნჯობს და აყრუებს რონოდას შეძახილებით. ისინი ექსკურსიაზე მიემგზავრებიან.

აგერ რონოდის კუთხეში გრძელ-წვერა ებრაელია. ხელები მუცელზე დაუწყვია, თავზე ხელსახოცი შემოუკრავს, ფეხები აღმოსავლურად შემოუკეცია და რაღაც ფიქრებში გართულა. ხანგამოშვებით კალათებით გავსილ თაროებს გადახედავს ხოლმე და კვლავ ჭერს მიაპყრობს თვალებს. უთუოდ სამტრედიაში მიემგზავრება. ალბად ქალაქში კვერცხები ჩამოიტანა გასაყიდად.

მის გვერდით ჩვილ ბავშიანი მანდილოსანია მოთავსებული და მუხლებზე არწევს სიცხით შეწუხებულ ბავშს. გამწარებული ყმაწვილი ვერ ისვენებს, ჩხავის... აწუხებს დედას, აწუხებს სხვებსაც.

მიუახლოვდით „ზაჰესს“, გაჩირაღდნებულს და მუდამ მოძრავს. ტურბინებსაც შევახეთ თვალი. უკვე მორჩილად გაწოლილან ისინი კალაპოტებში, ირგვლივ სალტეები შემოურტყამთ და ელიან სტუმარს. უკვე მზად არის თითქმის ჯებირი მტკვარს რომ ვაჟკაცურად უნდა დაუხვედროს ძლიერი მკერდი, მტკვრის ახალ საწორ არხის გასწვრივაც გაჩირაღდნებულია სანათურები, ფუსფუსებს ვიწრო ლიანდაგზე მოუსვენარი „კუკუშკა“, ძალას ატანს თავს, ოხრავს და კვნესის. ცოტა საქმე გააკეთა განა?

სადაც იქნება შეკრული მტკვარი განწირულ ღრიალით დაეჯახება მშვიდათ გაწოლილ ტურბინებს, ღრიანცელით შეიჭრება განიერ ხვრელში და აკვესებული ელექტრო-ტალღებში განთხეულ ბრაზს სტყორცნის დანატრებულ გაუმაძღარ თბილისს.

და ველარ უშველის მაშინ ბრაზით თვალებ ამღვრეულ მტკვარს ძმად განაფიცი არაგვი, მცხეთის კიდურზე, რომ მკერდ გადაშლილი იხუტებს ხოლმე...

მიიდრიკს ქედს და ჩვეულებრივ ფაფარ აყრილი რომ წამოაქროლებს მღვრია წყალთა ზვინებს, ამაყად ველარ გადაალაჯებს მაღალს, განიერს და გამძლე ჯებირს, რკინის კბილებიან ცემენტის ზღუდეს.

ვსცილდებით თბილისს. შორით ბჟუტავენ უკანასკნელი სანათურები და ფუნიკულიორის წითელი ვარსკვლავიც ეფარება თვალს...

რონოდაში უკვე აღარ გვახრჩობს სიცხე, თუმცა ჰაერი კვლავ მძიმე და დახუთულია.

ფანჯარასთან თავისუფალია არე და ზაფხულის ღამე იჭვრიტება უტიფარი ცქერით.

გავცილდით მცხეთას, გადავაბიჯეთ ქსანს და მატარებელი ქართლის გაშლილ ველებზე შეიჭრა უკვე.

სჩანს ქართლს. მარჯვნივ და მარცხნივ თითქოს გუშაგად დაყუდებულან მაღალი მთები. ძალოვან ბეჭებზე ცის თაღის კიდე დაუბჯენიათ და სდარაჯობენ ქართლის სიმშვიდეს. მოწმენდილ და ვარსკვლავებით გამოქარგულ ციდან, რომელიც თითქოს ჯადოსანის თვალუწვდენელ სახურავად დადგმულა მინდორ-ველზე და ოქროს ლურსმნებით არის მოჭედილი,—გადმოკიდულა მთვარე პირმრგვალი, ვერცხლისფერ, მოპარულ სხივებს მკრთალად აფრქვევს მთვარე ძირ-გაწოლილ მობიბინე მძიმე თავთავებს. დუდუნებს მტკვარი და ნელი ნიავი ოდნავ არხევს ყვითელ ყანებს.

შეჩერდება, წუთით მოისვენებს მატარებელი, კვლავ მოსწყდება საყვირს კივილი და ისევ მიჰქრის რკინის რაში. ცეცხლის ნაკვესებს ჰფანტავს გარშემო, კვამლის გრძელ ზოლებს იტოვებს უკან და ანთებული თვალებით ზღაპრულ დევსავით ღრენით და ქშენით მიარღვევს მინდვრების მთვლემარე მყუდროებას.

უჩინარ ფრთებით შემოცურდა ძილი რონოდაში. „თაროებზე“ ტკბილი ხვრინვა აუშვეს და ძირს სკამებზე მჯდომართა თავებიც მოწყვეტილად გადმოეკიდა ძილით დამძიმებული.

ნელ-ნელა მისწყდა ხმაური. უძილო მგზავრებს გააქვს მხოლოდ წყნარი ჩურჩულით გზის სიმძიმე.

საჯევახო—ჩოხატაური

ადრიან დილით მატარებელი საჯევახოს პატარა სადგურთან შეჩერდა. ეს არის ჩემი რკინის გზის მოგზაურობის უკანასკნელ პუნქტს მივაღწიე. ჩამოვხტით.

— მეეტლები შემოგვესიენ.

— წამობრძანდით, ბატონო.

— ჩოხატაურში ხომ არ მობრძანდებით.

— ეფად წაგიყვან, ბატონო, ეფად— იძახიან და ჩემს ბარგს უკვე მიათრევს ერთი მათგანი.

ჩოხატაურში უნდა ჩავიდე და მეეტლეს სადღა გაექცევი. კიდევ კარგი დღეს მგზავრები ცოტაა და ის ველარ „გაგაძრობს ტყავს“, როგორც აქ იტყვიან ხოლმე, თორემ თუ ხელში ჩაუვარდით—თქვენს მტერს. ეტლში შვიდს ჩაავჯენს, „კოზლაზე“—ორს, თითონ კი „დიშლაზე“ წამოსკუპდება და გაუდგება გზას. აღმართ-ტალახი ნახევარი გზა ფეხით იარო უნდა და ფულიც ორმაგი გადაიხადო.

საჯევახო, სამტრედიის შემდეგ პირველი სადგურია ბათომის ხაზზე. რამდენიმე წლის წინ ბაზარს ცეცხლი გაუჩნდა აქ და ის ერთიანად გადაიბუგა. ახლა კვლავ შენდება და ხის ფიცულები ჩნდება ისევ ძველი ბაზრის ადგილას. ამ სადგურიდან მიდის გზატკეცილი, რომელიც ზემო-გურიას უკავშირებს რკინისგზის ხაზს. გზა ჩოხატაურით ოზურგეთზე გაივლის და ნატანებთან ისევ რკინისგზის შტოს ებჯინება. რამოდენიმე ვერსის მანძილზე მას პატარა მდინარე „ხეის-წყალი“ მისდის, რომელიც გზის სასტიკი და დაუნდობელი მტერია მარად. ჩვეულებრივი უბრალო ღელე ავდრებში საშინლად ადიდება, გადაირევა და მიაქვს გზა და გზა ყველაფერი. ამ პაწია ღელეს არა ერთხელ დაუქცევია გზაც, მაგრამ მისი ალაგმვა არ მოხერხდა კიდევ.

ნელი ნაბიჯით მიეხლაზნება ეტლი აღმართზე. ავიარეთ აღმართი პირველი და თვალწინ წარმტაცი სურათი გადაიშალა.

ჯერ კიდევ დილაა და მზე მორცხვად ეფარება გორაკებს. მთები გრძელ კონუსისებურ ჩრდილებით გაწოლილან დაბლა ქალებში. ძირს მწვანე ხალიჩად გადაშლილა თვალუწვდენელ სივრცეზე რიონის ველი. სიმინდის ყანებს მოუქარგავს იგი მდიდრულად. შუაზე ვერცხლის სარტყელად გადაჯდომია ქალებს რიონი. აქ ის წყნარია, დინჯი და მშვიდი. შორით წყალის დენასაც ვერ აჩნევს უბრალო თვალი, თითქოს დამდგარა ერთ ადგილას, გაყინულა დიდი მდინარე. ნებიერად გაწოლილა მზეს და ითბობს სარკესავით პრიალა ზედაპირს: მთის ძირს ველის გასწვრივ. მწვანე ხალიჩაზე გველებსავით გადაწოლილა რკინისგზის რელსები. სადღაც კიდურზე მთებს შორეულს ჩამოსწოლია შუაზე ნისლი და მწვერვალი მისი თითქოს შეზრდილა გადალურჯებულ კრიალა ცის თაღს.

ნელა ღიღინებს ჩვენი მეეტლე, უფშტვენს და უწრუპუნებს გამხდარ ცხენებს, რომლებიც ზანტად მიიზლაზნებიან გაფუჭებულ ოღრო-ჩოღრო გზაზე. გზა მართლაც რომ წამხდარია. ადგილობრივი ხელისუფლება შესდგომია მის შეკეთებას. აქა-იქ შეუკეთებია კიდეც, ზოგან სრულიად დანგრეულიც აღუდგენია და ოდნავ პირიანი სახე მიუცია მისთვის, მაგრამ ასეთი შეკეთებით გზა ვერ იხეირებს მაინც. აი ახლაც ჯგუფ-ჯგუფად გვხდებიან შემკეთებელი მუშები. ზოგი არხს თხრის გზის კიდეებზე, ზოგს ხრეში მიწა გადმოაქვს ამოჭმულ ადგილებს ამოსავსებლად, ზოგი ტოტებს ამტვრევს და ჰყრის ტალახიან ადგილებზე, მაგრამ არხები ყველგან არ ითხრება, ქვიშა დაუტკეპნელი რჩება და პირველი ღვარი გადარეცხს იმას, ხოლო ქვეროთი ამოვსებული ტალახები უარესად აიტიტყნებიან და გზა კიდევ მეტად დაზიანდება. მნიშვნელობა კი ამ გზას მარტო ადგილობრივი როდი აქვს. ის მგონი საქ. გზატკეცილთა სამმართველოს მეთვალყურეობის ქვეშ არის და კარგი იქნება, თუ ოდნავ გადახედავს მადლიანი თვალით. ეს გზა ძლიერ გამოსადეგი იქნება. შეკეთებაზე ზრუნვა არის საჭირო.

ეს გზა იმდენად საჭიროა ზემო-გურიის გლეხობისათვის, რომ სამუშაო ძალას არც ერთი თემი არ დაინანებს. მხოლოდ თაოსნობა უნდა იკისროს ვინმემ და ცოტაოდენი თანხის გაღება.

თანდათანობით შევდივართ გურიაში. გზას სოფლები მისდევენ ორთავე მხარეს. ღარიბია გურიის სოფელი, ღარიბი, მაგრამ სუფთა და კოხტა. ფიცრული სახლები, ხშირად კრამიტით არის დახურული. სახლს გარშემო ლამაზად გაშენებული, სუფთა და კოხტა ეზო აკრავს ყოველთვის. სახლის წინ ან კაკლის, ან რაიმე ხილეულის. ან ჰადრის ხეა დარგული უსათუოდ. სისუფთავეა შიგნით და გარედ, მაგრამ სიღარიბე ყოველ კუნჭულიდან გამოიყურება გაუმაძღარი თვალებით.

ჰაი სადა ხარ ქართლ-კახეთის სიმსუქნევ. პურეულით დატვირთულო მინდორ-ველებო, შვიდ-უღელა გუთანო და ვენახო. დღების სავალზე რომ გაგიშლია ბინა კახეთის მადლიან მიწა-წყალზე.

აქ თხმელას (ხეა) „ადესას“ ვაზი (იზაბელა) შემოხვევია, ტოტებზე ლერწებს გაუკიდია და თითო-ოროლა მტევანი ყურძენი ჩამოუკიდია დასანახავად. როგორც ამბობენ, წელს კიდევ კარგად ასხია ვენახს. არც ყანებს იწუნებენ მაინც და მაინც, თუ შემდეგ არ გააფუჭა ცუდმა ამინდმა. მაგრამ ზემო-გურიაში გლეხი იშვიათად თუ არის ყანის შემყურე. უმრავლესობა „მჭადს“ ყიდულობს, რამოდენიმე თვის საყოფი ძლივსღა მოდის მას. ამიტომ არის, რომ გურული გლეხი ცალი ფეხით სოფელში არის, ხოლო მეორე კიდევ ქალაქში გადაუბიჯებია. ამიტომ არის, რომ იმერელს და კიდევ მეტად გურულს ხშირად შეხვდებით ჩვენი ქვეყნის ისეთ კუთხეში, სადაც არ ელით. უკანასკნელ წლების განმავლობაში გურული გლეხი კულტურულ მცენარეულობის მოშენების გზას დაადგა: რგავენ დაფნას, თხილს, აშენებენ ჩაის, თამბაქოს. წელს თხილის მოსავალი ძალზე ცუდი ყოფილა, ზოგან ხელიც არ უხლიათ ბუჩქებისათვის, რადგან არაფერი ესხა, მაგრამ ეს არ უტეხს გულს გურულ გლეხს. წელს თხილის ახალი ნერგები ჩაყარეს; მომავალ წელს კიდევ უფრო გაიზრდება კულტურულ მცენარეულობათა ნაშენობა.

გურიის აგროტეხნიკუმი, რომელიც ყოფილ ერისთავისეულ მამულშია მოთავსებული, ამ მხრივ დიდად შეუწყობს ხელს მეურნეობის განვითარებას გურიაში.

ჩვენი ეტლი დაღმართში დაეშვა და „ბერძნის წყაროსაც“ მიაღწია უკვე. აქ შუა გზაა ჩოხატაურ-საჯევახოს შორის. კლდიდან მშვენიერი წყარო მოჩუხჩუხებს. ოდესღაც ამ წყაროსათვის ქვის კალაპოტი გაუკეთებიათ. რომელიღაც ბერძენს და მის შემდეგ წყალსაც და ადგილსაც „ბერძნის წყარო“ დარქმევია. ჩვეულებრივ აქ ისვენებენ ცხენები, მგზავრებიც „სამიკიტნოში“ და დასვენებული შეუდგებიან ისევ აღმართს. საჯევახოდან ჩოხატაურამდე 18 ვერსია. კარგი გზა რომ იყოს, ეტლი სამ საათს არც კი მოუნდება, ჩვენ კი უკვე ორია მივდივართ და ორს კიდევ მოუნდებით ჩასვლამდის.

დავისვენეთ და კვლავ შეუდექით აღმართს. გზა აქეთაც უხეიროა და ხშირად ფეხით სვლა სჯობია დანგრეულ ეტლით ხრაგუნს. გზაზე ჩოხატაურის მიმავალ გურულების ჯგუფს წამოვეწიეთ. აღმართია, ეტლი კუს ნაბიჯით მიიწევს წინ და მე მათთან ვარჩიე ფეხით მგზავრობა.

— გამარჯობათ.

— გაგიმარჯოს, ილოცხლე-ე...

— საით მიემგზავრებით.

— პარასკევობაზე ჭადიზა მივალთ.

— ძვირია წელს სიმინდი?

— არა ძამია, მეგრელიედან მოდის ზღური და ეფია წროეულს: ორი, სამი აბაზი ბათმანი.

— მოსავალს როგორი პირი უჩანს.

— რაცხა პირი არ უნდა უჩანდეს ჩვენ მაინც ვერ ვიწევთ საყოფს და.. ისე რა უჭირს. თხილიც არ მოვიდა სულ. ყაჭიც წახდა აგერ-ეგერ, თვარა ისე არა უშავს, საყვედური არ გვეთქმის.

—ის რაა, კაცო, საყდრის ზარი რომ ჩამუკიდიათ ეგერ. ეკლესიას ხომ არ მოაძვრეთ..

— მაგი ძამია ფარცხმის საყდარი იყო. დაარღვია ხალხმა და კლასი გააკეთა. ზარეც იმისაა. უწინ ღვდელი ურაკუნებდა საკურთხი მომიტანეთო და ახლა მასტავლებელი ურაკუნებს: ბაღნებო კლაში მოითო.

— კი მარა, ამხელა ზარი რა ამბავია კაცო. ამას გაჰყიდდით და უფრო პატარას შეიძენდით სკოლისათვის.

— რეიზა, დიდი ზარე უკეთესი არაა. დარეკავს მასტავლებელი და თელ სოფელში ეყურება ბაღნებს. თუ დააგვიან და მოკურცხლავს და მუუსწრებს კლასს დადგომამდი. ჩოხატაურშიც ასეა. ცხრაწლედს საყდრის ზარი აქვს ჩამოკიდული.

საუბარში ჩოხატაურსაც გადავადექით თავზე. ეტლი წამოგვეწია და ათიოდე წუთში უკვე ჩოხატაურის ბაზარში მიხრიგინობდა ჩვენი „კარეტა“ თავის „რაშებით“.

ჩოხატაური ზემო-გურიის ერთგვარი ცენტრია. წინედ ეს საკმაოდ დიდი რაიონი იყო, ხოლო სათემო სისტემაზე გადასვლის შემდეგ ცალკე თემად იქნა გამოყოფილი. მიუხედავად ამისა, მას მაინც არ დაუკარგავს სარაიონო ცენტრის მნიშვნელობა. მდებარეობს ის მდინარე სუფსის პირას, ცოტაოდენი მოშორებით. აქ არის კლუბი, საავადმყოფო, ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულება, აფთიაქი, საკმაოდ ღონიერი კოოპერატივი, რომელსაც კარგი ხნის ისტორია აქვს, სახერხი ქარხანა, არის ცხრაწლედი და შვიდწლედი, ხოლო ცოტა მოშორებით ერისთავის ყოფილ მამულში, ზევით ნახსენები სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმია მოთავსებული, რომელსაც აგრონომი აბაშიძე განაგებს. აქ შენდება საავადმყოფოსათვის ახალი ქვის შენობა, რომლის დამთავრებას, უნდა ითქვას, საშველი არ დაადგა.

დღეს პარასკევია და ბაზარი გავსილია ხალხით. სოფლებიდან ჩამოუტანიათ გასასყიდათ ყველი, ქათმები, ხილეულობა, ტიკებით „ადესას“ ღვინოს ჰყიდიან, ხოლო ურმებზე ქარვასავით ყვითელი სიმინდია დაყრილი. ბაზარი ჩვეულებრივ ხმაურობს და ვაჭრობს. ვათვალიერებ მას და მივდივარ დასასვენებლად, რომ ხვალ „მჟავე წყალზე“ გავლით—ბახმაროსაკენ გავსწიო.

ვ. ქორაშვილი.

ჩოხატაური. აგვისტო.

მუშათა ცხოვრება

აქ შრომა დუღს და გადმოდუღს.

(ერთი სურათი სინამდვილიდან).

— აბა, კოტე, ჩასწერე, რამდენი კილო მაზუთია დარჩენილი!

— შენ. გამოუძახე გიორგის, იგი 13 საათზე მიდის მატარებელში. შენ — გაიყვანე ორთქლმავალი საკონტროლო, ბუდკომდე. ზეინკლებს უთხარით საჩქაროდ მოამზადონ ორთქმავალი, № 1033; იგი 16 საათზე მიდის.

— არსენ, შენ გააზურე № 4205 ორთქლმავალი! შენ დამიძახე თანაშემწე ვანოს, მოემზადოს კახეთში წასასვლელად!

— შენ, გაამზადე № 1012 ორთქლმავალი. თქვენ წაჰყვალთ ხაშურში.

— თქვენ, ლავრენტი! მომეცით ერთი სამაგიერო მემანქანე, საშა ავად გახდარა და უნდა გამოვცვალო!

მთელი 24 საათი ასეთ დავალებებს იძლევა ყოველდღიურად ტფილისის საყუდის სამორიგეო ოთახი. იქვე ახლოს განმრიგებელი თავის გაცვეთილი მაგიდით ჩასცქერის განრიგების ფურცლებს და აწესრიგებს დღეში 60—70 ორთქლმავლებს. აგზავნის სხვადასხვა რაიონში 100—200 მომუშავეს:

— დღეს „ბე“ ორთქლმავალი წავა ევლახში!—გაისმის მკვახე ხმა გამწესრიგებლის,— ხვალ დამატებით საჭიროა ორთქლმავალი მცხეთაში, გორში, ხაშურში, კარაკლისში და სხვ.

— რომელი სად გავგზავნო? მე-3-ე ნომერი ორთქლმავალი გასარეცხია. 14 ნომერი გაფუჭდა; ხუთ დღიში სანდროს საათები შევსებული აქვს. ალექსანდრეს საათები აკლია, მაგრამ ამ ორთქლმავალზე მას არ შეუძლია მუშაობა და მის ნაცვლად იასონას გავგზავნი!— განაგრძობს ის და სწერს განრიგებაში. ამ დროს მას კონტროლი ატყობინებს, რომელიც გვერდში უზის:

— იასონი ავადაა, მან ბიულეტინი მოიტანა.

შეყენებული გეგმა იშლება და ღებულობს სხვა ხასიათს. კიდევ ფიქრი, დავთრის ახლად გადასინჯვა, ხალხის მოძებნა და სხვ.

ამ დროს კი აქვე, ფანჯარაზე, შიგ ოთახში სდგანან, სხედან, ლაყბობენ ზოგიერთი მუშები სხვადასხვა მოქმედებაზე და უფრო კი კერძო საქმეებზე; ზოგი მათგანი ოხუნჯობს, ზოგი იგინება, ზოგი განმრიგებელს სთხოვს—კარგი ორთქლმავალი მისცეს, ზოგი ელაქუცება, ზოგი ემუდარება და გულში კი ლანძღავს. ზოგი „ანეკდოტებს“ ამბობს და ამით სურს განმრიგებლის ყურადღება მიიქციოს და სხვა მრავალი ასეთი.

ხშირად ნერვებაშლილი განმრიგებელი ოთახიდან გარბის.

— არა, აქ მუშაობა შეუძლებელია! ასეთ პირობებში შეცდები კი არა, ვიღაცას დასჯი კიდეც, დასტოვებ უმუშევრად, ანუ გააბედნიერებ და მისცემ ზედმეტ სამუშაოს. ბოლოს მაინც ვიღაცა გაგლანძღავს, გიჩივლებს და მართალიც იქნება!—ამბობს იგი.

ბოლოს განმრიგებელი კვლავ ბრუნდება სამორიგეო ოთახში და ცოტა დასვენების შემდეგ განაგრძობს:

— რას დგეხართ? გიორგი, ვანო, სერგო, ისაკ! წადით, ძმაო, მომშორდით! ხელს ნუ გვიშლით მუშაობაში!

— მე მინიშნავ თუ არა დღეს?! ხუთი დღეა სახლში ვზივარ, შენ კი დილის მოსულს კიდევ ნიშნავ მატარებელში. მე რა დავაშავე?!— გაიძახის ვიღაც მემანქანე.

— მე გუშინ ცოტა უქეიფოთ ვიყავი, ვერ გამოვცხადდი!—ამბობს მეორე.

— კეთილი, მიბრძანდით!—უპასუხებს განმრიგებელი და ყველას ეძლევა და ევალება რაიმე საქმის გაკეთება.

ასეთ დაუსრულებელ ფუსფუსში, აურზაურში გახვეული საყუდის სამორიგეო ოთახი ყოველდღე, რომელიც მუდმივად სავსეა მშრომელი ხალხით. აქ ჰაერიც გაჟღენთილია მძიმე შრომისა და ჯაფის სუნით. აქ შრომა დუღს და გადმოდუღს!

მუშკორი ა. უმბრიევი.

კოლოფების ქარხანაში.

18 აგვისტოს კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალში“ ქარხკომმა მოიწვია მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებას დაესწრო 180 მუშა. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: ამავე ქარხანაში არსებულ მუშკოოპის საწვრილმანო დუქნის საკითხი, ქარხკომის მიერ კომისიებში გამოყოფილ კანდიდატურის დამტკიცება და მიმდინარე საკითხები.

1923 წელს ქარხანაში გახსნილ იქნა მუშებისათვის პატარა საწვრილმანო დუქანი. ამ დუქანს მუშებისათვის უნდა მიეცა სანოვაგე ნისიად, რომლის განაღდებაც უნდა მომხდარიყო ყოველკვირეულად ერთხელ, თანახმად დადებულ ხელშეკრულებისა.

უნდა ითქვას, რომ ამ დუქანმა მართლაც დიდი შეღავათი გაუწია ამ ქარხნის მუშებს და ეს იმ დროს, როდესაც მუშები მცირე ჯამაგირს იღებდენ.

მაგრამ, სამწუხაროდ უნდა ითქვას ისიც, რომ ამ პატარა დუქანმა „ეშმაკობა“ დაიწყო. სანოვაგე, ე. ი. ყველი, კარაქი, ძეხვი, პური და სხვა უმეტეს შემთხვევაში ცუდი ხარისხის გამოდიოდა. მუშები ძალაუნებურად საუზმისათვის (მუშაობის დროს) სანოვაგეს იღებდნენ, მაგრამ უკმაყოფილებას გამოსთქვამდენ ამ მოვლენის შესახებ. ქარხკომიც ბევრჯერ აფრთხილებდა ამ დუქნის გამგეებს (ამ დუქანში სამი გამგე გამოიცვალა), მაგრამ იმითაც რა ექნათ, როდესაც მუშკოოპის ცენტრალურ მაღაზიიდან ასეთ საქონელს გზავნიდენ და ისიც თავის დროზე არ მოდიოდა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქარხნის მუშები უკმაყოფილონი იყვენ ამ დუქნიდან დაბალ ხარისხის სანოვაგის მიღებით.

მუშებს ძალაუნებურად მიჰქონდათ სანოვაგე ნისიად, რაც მათთვის პირველ მოთხოვნილებათ არ ითვლებოდა. ამის გამო მუშები ჯამაგირის დროს ლაპარაკობდენ ხოლმე; ვინაიდან მათ ნისიათ ბევრი ჰქონდათ დახარჯული და ჯამაგირის დროს კი ხელში ფულად ცოტას იღებდნენ და ამით მუშათა ბიუჯეტი მართლაც საგრძნობლად ეცემოდა, ამიტომ დუქნის არსებობაზედაც უკმაყოფილებას გამოსთქვამდენ.

აი, ამ ორმა გარემოებამ აიძულა ქარხკომი და ადმინისტრაცია, რომ მუშებისათვის დუქნიდან სანოვაგის მიცემა შეეწყვიტათ მათივე ინტერესების დასაცავად.

ამ კრებაზე სწორედ ეს საკითხი იყო დასმული მთელი მისი სიგრძე-სიგანით და მუშებმაც ერთხმად დაადგინეს მუშკოოპის დუქნიდან სანოვაგე აღარ წაიღონ ნისიად.

მეორე საკითხის გარშემოც კრებამ იმსჯელა და ერთხმად დაამტკიცა ქარხკომის მიერ წამოყენებული კომისიებში შემავალი მუშების სია.

გამოყოფილ იქნა კომისიები შემდეგი შემადგენლობით: 1) კულტკომისიაში 5 კაცი; 2) ლექციათა და საექსკურსიო ბიუროში—3; 3) შრომის დაცვის კომისიაში—3; 4) საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიაში მუშების ფრაქციიდან—3; 5) ურთიერთ-დამხმარე კასაში—7 და 8) საწარმოო თათბირის შემადგენლობაში—7 კაცი; ამაში არიან წარმომადგენლები ადმინისტრაციიდან, კომუჯრედიდან, ქარხკომიდან და მაღალ კვალიფიციურ მუშებისაგან, რომლებიც დაინტერესებული არიან წარმოების გაუმჯობესებაში.

ბოლოს კრებამ განიხილა მიმდინარე საკითხები, რის შემდეგ მუშები დაიშალნენ.

მუშკორი ვანო.

მუშათა ქრონიკა

— **წითელი კუთხე.** „ზაქტპო“-ს ცენტრალურ ფურნის ადგილკომმა მოაწყო წითელი კუთხე.

— **ექსკურსია ქიათურაში.** 2 ივლისს მოეწყო ა. კ. რკინის გზის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა ექსკურსია.

— **გაძლიერება.** ინჟინერთა და ტეხნიკოსთა საგზაო ბიუროს პლენუმმა დაადგინა გაძლიერდეს მონაწილეობა იმ კომისიებში, რომლებიც ემსახურებიან ინჟ. ტეხ. ინტერესებს.

— **საკუთარი თანხა.** რკ. გზის. კოოპერატიულ ამხანაგობას აქვს საკუთარი თანხად 10.000 მანეთი.

— **სახლების აშენება** რკ. გზის საცხოვრებელი კოოპერატიულმა ამხანაგობამ ნაძალადევში აიგო ორი სახლი 10 ბინიანი.

— **გასავალი აპრილში.** ხაშურის საუბნო დამზღვევ სალარომ აპრილში გასცა ავანსით 7.625—32 კ.

— **საშეფოთ აყვანა.** სად. თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომმა საშეფოდ აიყვანა სოფ. ზემო-ხანდაკი.

განათლების ფრონტზე

გერმანულ სკოლების მასწავლებელთა კონფერენცია

20 აგვისტოს ლიუქსენბურგში გაიხსნა გერმანულ სკოლების მასწავლებელთა სრ. საქართველოს კონფერენცია.

სომხეთის უნივერსიტეტში

ეროვნებათა უმცირესობის საბჭომ სომხეთის უნივერსიტეტში თავის ხარჯზე გაგზავნა 3 სტუდენტი-მუშფაკელი.

მუშათა ფაკულტეტები

მომავალ სასწავლო წლიდან მუშათა ფაკულტეტებზე მიღებული იქნება მარტო თბილისში მცხოვრები მუშები: ქართულ მუშფაკში—60 კაცი; რუსულში—30; სომხურში—30.

პროვინციიდან მუშფაკში წელს არავინ იქნება მიღებული.

ეროვნულ უმცირესობათა თეატრები

განათლების კომისარიატმა შეადგინა ხარჯთაღრიცხვა თბილისში არსებულ ეროვნულ-უმცირესობათა თეატრების შესანახად 1926-27 წელში.

მომავალ სეზონში გარდა სახელმწიფო თეატრებისა, იარსებებს თეატრები სომხურსა, რუსულსა, თურქულსა, ბერძნულსა, უკრაინულსა, ოსურსა და სხვა ენებზე.

მზადება სამოსწავლო წლისათვის

აჭარისტანში.

აჭარისტანის სახალხო განათლების ორგანოები დიდი ენერგიით შეუდგენ წელს მზადებას ახალი სამოსწავლო წლისათვის. პირველ რიგში დასმულ იქნა საკითხი იმ სკოლების შენობათა საფუძვლიანად შეკეთების შესახებ, რომელნიც არ შეკეთებულან რამოდენიმე წლის განმავლობაში. სკოლების შეკეთება დაიწყო გასული სამოსწავლო წლის დამთავრებისთანავე. ამჟამად უდიდესი ნაწილი სასკოლო შენობებისა უკვე შეკეთებულია, ხოლო 10 სექტემბრისათვის დამთავრებული იქნება ყველა შენობების შეკეთება. მეორე უფრო მეტად საზრუნავი საგანი აჭარისტანის სახალხო განათლების ორგანოებისათვის იყო მასწავლებელთა მომზადება და გადამზადება. ამ მიზნით მოწყობილ იქნა კურსები და აგრეთვე მასწავლებელთა ნაწილი გაიგზავნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოწყობილ კურსებზე.

ბათომში განმეორებითი კურსები გაიარა 80 კაცმა. ახალ სამოსწავლო წლისთვის აჭარისტანის მაზრებში იგზავნება 7 ახალი პედაგოგი აჭარელი, რომელთაც დაამთავრეს აჭარისტანის პედაგოგიური ინსტიტუტი.

ამჟამად არსებული კონტინგენტი პედაგოგებისა სავსებით დააკმაყოფილებს წელს აჭარისტანის მაზრების საჭიროებას.

სამოსწავლო წელი ბათომსა და აჭარისტანის მაზრებში იწყება, როგორც ყოველთვის ოქტომბრის დამდეგს, ე. ი. იმ დროს როცა საშემოდგომო მუშაობა დამთავრებულია.

ალმასკომის მიერ სკოლებისათვის შეძენილია ახალი ინვენტარი, დაფები და სხვა. განათლების კომისარიატის მიერ მიღებულია ზომები სახელმძღვანელოების შესაძენად ულარიბესი გლეხ-ბავშვებისათვის. გასული წლების მსგავსად, ღარიბი მოწაფეები სარგებლობენ განათლების სახ. კომისარიატის წიგნებით და სახელმძღვანელოებით. წელს წიგნებისა და სხვა სახელმძღვანელოების შესაძენად განათლების სახ. კომისარიატს გადადებული აქვს 10 ათასი მანეთი.

სტუდენტთა ბიუროში

ახალი სასადილო

ახალი სამოსწავლო წლის დასაწყისიდან პროლეტარული სტუდენტობის ბიურო სახელმწიფო უნივერსიტეტის რაიონში ხსნის სტუდენტთა მეორე სასადილოს იმ შენობაში, რომელიც უკავია ამხ-ბა „მდელოსს".

სასადილო ყოველდღიურად დაამზადებს დაახლოვებით 250-300 სადილს და სადილი ეღირება 25-30 კაპ.

საზაფხულო პრაქტიკაზე

წრევანდელ საზაფხულო პრაქტიკაზე განათლების კომისარიატის მიერ, სტუდენტთა ბიუროსა და შრომის კომისარიატთან შეთანხმებით, გაგზავნილ იქნა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, პოლიტეხნიკურ ინსტიტუტიდან და სამხატვრო აკადემიიდან სულ 622 სტუდენტი.

მათგან საქართველოს წარმოება-დაწესებულებებში 225 სტუდენტი და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 397 სტუდენტი.

სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გაიგზავნა 302 სტუდენტი; პოლიტეხნიკურ ინსტიტუტიდან—312; და სამხატვრო აკადემიიდან—8.

მიმღებ კომისიაში

უმაღლეს სასწავლებლებთან და მუშფაკებთან არსებულ მიმღებ კომისიაში სტუდენტთა ბიურომ გამოჰყო თავის წარმომადგენლები.

სტუდენტების დასვენება

ამ ზაფხულს პროლეტარულ სტუდენტების გაგზავნა დასასვენებელ სახლებში სწარმოებდა კავშირების ცენტრალურ გამგეობების მიერ. სტუდენტთა ბიურომ კი თავის მხრივ გაგზავნა სხვადასხვა სანატორიუმებში 13 ავადმყოფი სტუდენტი.

ბინების გამოძებნა

სტუდენტთა ბიუროს მთავარ საზრუნავ საგანს შეადგენს უბინაო სტუდენტებისათვის ბინის აღმოჩენა.

ახლახან პროლეტკულტის ლიკვიდაციის გამო განთავისუფლებულ შენობაში (ბელინსკის ქუჩაზე № 2) ბიურომ შესძლო აეღო რამოდენიმე ოთახი და იქ განზრახული აქვს უბინაო სტუდენტების ჩასახლება. ამასთანავე მიღებულია ზომები იმავე შენობაში ზოგიერთ ოთახების შესაკეთებლად და იქაც ჩაასახლებენ უბინაო სტუდენტებს.

შინამრეწველთა კონფერენცია

წელიწადზე მეტია, რაც ქუთაისში არსებობს ხელოსანთა და შინამრეწველთა საზოგადოება, რომელიც ქუთაისის მასშტაბით აერთიანებს 12 საამქროს.

ხვალ, 26 აგვისტოს, ქუთაისში დანიშნულია ქუთაისის ყველა იმ ხელოსანთა და შინამრეწველთა საქალაქო კონფერენცია, რომელნიც ზემოხსენებულ საზოგადოებაში ირიცხებიან. კონფერენციის დღის წესრიგში დგას საზოგადოების გამგეობის მოხსენება და ანგარიში ერთი წლის მოქმედების შესახებ, სარევიზიო კომისიის მოხსენება, გამგეობის, სარევიზიო კომისიის და საამქროების წარმომადგენლების არჩევნები.

მოკლეთ ქუთაისის ხელოსანთა და შინამრეწველთა საამქროების მდგომარეობა ასეთია: შინამრეწველობის და ხელოსნობის ყველა დარგის საამქროებში უკანასკნელ ხანებში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ერთ საზოგადოებაში გაერთიანდენ, მუშაობა და შრომის ნაყოფიერება გაძლიერდა. მხოლოდ შინამრეწველთა მუშაობას აბრკოლებს საკუთარ საბრუნავ თანხების უქონლობა და ნედლეული მასალის ნაკლებობა. ამ დაბრკოლებათა დასაძლევად შინამრეწველთა საზოგადოების გამგეობას განზრახული ჰქონდა გაეხსნა საკრედიტო ბანკი სპეციალურად შინამრეწველთა და ხელოსანთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ ჯერ-ჯერობით ბანკის გახსნა გადაიდო. სხვა საკრედიტო დაწესებულებებში საამქროები კრედიტებით არ სარგებლობენ. ამის გამო შინამრეწველნი და ხელოსნები იძულებული ხდებიან სესხი აიღონ კერძო პირებისაგან მეტად დიდ სარგებელში.

ტყეების მოწყობა

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეო განყოფილების სატაქსაციო ჯგუფმა დაამთავრა ახალციხის მაზრის ოთის სატყეო აგარაკის გამოკვლევა. გამოკვლევის მიზანი იყო ახალციხის მაზრისათვის მერქანის გაცემის შესაძლებლობის განსაზღვრა. ოთის აგარაკთან ერთად მოწყობილი იქნა ამ რაიონში ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები. ტყის მოსაწყობად საჭირო ყოველივე მუშაობა უკვე დამთავრებულია. შეკრებილ მასალის გადამუშავების შემდეგ ოთის აგარაკისათვის შედგენილი იქნება ახალი სამეურნეო გეგმა, რომლის მიხედვითაც იწარმოებს ოთის ტყის ექსპლოატაცია და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყით სარგებლობს საქმე.

კრედიტები

ღვინის და სპირტის დასამზადებლად

აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, საზ-ბა „აზერბეიჯანის ღვინო"-სათვის 300.000 მან. კრედიტის მიცემის შესახებ, სასეზონო ღვინოსა და სპირტის დასამზადებლად.

ვინაიდან აღნიშნული თანხა გათვალისწინებული არ იყო ა.-კ. კომისართა საბჭოს საკრედიტო გეგმით, სახ. კომისართა საბჭომ თავის მხრივ წინადადება მისცა სახელმწიფო ბანკის ა.-კ. საოლქო კანტორას, აღძრას შუამდგომლობა ცენტრის წინაშე, როგორც აზერბეიჯანში, ისე საქართველოსა და სომხეთში სასეზონო ღვინისა და სპირტის დასამზადებლად საჭირო თანხის გადადების შესახებ.

ბრძოლა ხანძართან

ახალი სახანძრო რაზმები

უკანასკნელ დრომდე თბილისში ცენტრალურ სახანძრო რაზმს ქონდა ორი განყოფილება ერთი კალინინის (ყოფილ ნიკოლოზის) ქ. და მეორე ავლაბარში.

იყო ორი დიდი რაიონი, რომელსაც არ ჰყავდა თავისი საკუთარი სახანძრო რაზმი, ვაკე და ვერის რაიონი, რომელნიც ყოველთვის დიდ საჭიროებას განიცდიდენ სახანძრო რაზმებში. სასწრაფო დახმარების დროს ეს რაიონები იძულებული ხდებოდენ მიემართათ ცენტრალური რაზმისთვის, რომელიც მათგან საკმაო დიდ მანძილზე არის დაშორებული და მისვლა მოსვლას საკმაოდ ხანგრძლივი დრო სჭირდება.

ყველა ზემოხსენებულ გარემოებათა გამო სახანძრო ინსპექციამ გადასწყვიტა მოაწყოს ვაკეს და ვერის რაიონებისათვის ახალი სახანძრო რაზმები.

მუშაობა სახანძრო განყოფილების მოსაწყობად უკვე დაიწყო.

ახალი სახანძრო განყოფილება ეწყობა წყნეთის ქუჩაზე მეოთხე ნომერ სახლში აქ გაშენებული დარაბები უკვე აღებულია, ადგილი გაწმენდილია. მოკლე ხანში დაიწყება შენობების აგება გარაჟისათვის, მორიგი თანამშრომლებისათვის, ბრანდმაიორის ბინისათვის და სახელოსნოსათვის.

გარაჟი აგებული ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. გარაჟის იატაკი ასფალტით იქნება დაგებული ამოთხრილი იქნება აგრეთვე ღრმა ორმო ასაფეთქებელი მასალების შესანახად.

რაზმის შემადგენლობაში შევლენ: ბრანდმაიორი და შვიდი თანამშრომელი.

სასამართლო

წყალსადენის სამმართველოს თანამშრომელთა საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს უფროსმა გამომძიებელმა ამხ. აბაშიძემ დაასრულა წინასწარი გამოძიება წყალსადენის სამმართველოს თანამშრომელთა საქმეზე. პასუხისგებაშია მიცემული წყალსადენის სამმართველოს ბუჰჰალტერი იროდიონ ქავჯარაძე, მოლარე პორფილე ჯაველიძე, მოანგარიშე გოგოშიძე და აღმასკომის მოლარე ნიკოლოზ დერძიბაშევი.

დერძიბაშევს ბრალდება 3.000 მან. სახაზინო ფულების მითვისება და გაფლანგვა, ხოლო ქავჯარაძეს, ჯაველიძეს და გოგოშიძეს სამსახურისადმი გულგრილად მოპყრობა.

1923 წ. აგვისტოს პირველ რიცხვებში, თბილისის წყალსადენის განყოფილებასთან საჭირო იყო ზაბის შეძენა წყალის დასაწმენდათ. წყალსადენის დირექტორმა დიასამიძემ დაავალა ამავე განყოფილების ტეხნიკს ჰანტურიას სასწრაფოდ როსტოვში გამგზავრება და ზაბის შეძენა. ამხ. დიასამიძემ გასცა განკარგულება მიეცათ ჰანტურიასათვის ბონები 300 ჩერვონეცის შესაძენათ. ამ განკარგულების თანახმად 1923 წ. 11 აგვისტოს ბუჰჰალტერიამ გამოუწერა ჰანტურიას სამი მილიარდი მანეთი. ეს თანხა ჰანტურიამ მიიღო და შემდეგ უკან დაუბრუნა და განაცხადა, რომ ჩერვონცები ვერ შეიძინა და ითხოვა მისთვის ჩერვონცების მიცემა. იმ ხანებში ჩერვონცების შეძენა იყო ძნელი საქმე და თანაც წყალსადენის განყოფილებას არც კი გააჩნია საკმარისი თანხა და ამიტომ დიასამიძემ მიმართა თხოვნით აღმასკომის საფინანსო განყოფილებას ესესხებია 300 ჩერვონეცი ზაბის შესაძენათ. 1923 წ. 13 აგვისტოს, ჰანტურიამ აღმასკომის ბუჰჰალტერიიდან მიიღო 300 ჩერვონეცი. მეორე დღეს, ჰანტურიამ ბანკის საშუალებით გადაგზავნა 2.500 მანეთი როსტოვში და მიმართა წყალსადენის ბუჰჰალტერიას თხოვნით, რომ მიეცათ მისთვის 3.000 მან. აღმასკომის ვალის გასასტუმრებლად. მიუხედავათ იმისა, რომ ამის შესახებ იყო წყალსადენის დირექტორის განკარგულება, ეს თანხა ჰანტურიას არ მიუღია. ამის შემდეგ ჰანტურია წავიდა როსტოვში.

წყალსადენის განყოფილებამ გამოსწერა მემორიალი ორდერი, რომ ჰანტურიას მიღებული აქვს 3.000 მანეთი—აღმასკომის სალაროდან. ამის შემდეგ 1923 წ. 17 აგვისტოს, წყალსადენი ბუჰჰალტერიამ თანამშრომელ ქალინოვის ხელით გაუგზავნა აღმასკომის მოლარეს დერძიბაშევს დაბეჭდილი პაკეტი ფულით და აცნობა, რომ ეს ფული არის გამოგზავნილი ჰანტურიას ვალის დასაფარავად.

გადის ერთი წელი. აღმასკომის ბუჰჰალტერიაში წყალსადენის სამმართველოზე ვალად ირიცხება 3.000 მანეთი და წყალსადენის სამმართველოს წიგნებში კი ეს თანხა გატარებულია, როგორც გადახდილი.

შემდეგ აღმოჩნდა დანაკლისი.

ჯაფარიძე და გოგოშიძე შეეკითხენ დერძიბაშევს მიიღო, თუ არა მან 7.890 მილიონი მანეთი, რაზედაც დერძიბაშევმა დადებითი პასუხი მისცა.

დაიწყო გამოძიება დანაკლისი 3.000 მანეთის აღმოსაჩენად.

პასუხისგებაში იყო მიცემული ტეხნიკოსი ჰანტურია, რომელსაც ბრალდებოდა 3.000 მან. მითვისება.

საქმე გადაეცა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს, სადაც გამოირკვა, რომ 3.000 მანეთი მითვისებასა და გაფლანგვაში ჰანტურიას არავითარი ბრალი არ მიუძღვის.

სასამართლოს მიერ 3.000 მანეთის გაფლანგვისათვის პასუხისგებაში იქნა მიცემული დერძიბაშევი.

წინასწარი გამოძიებით გამოირკვა, რომ დერძიბაშევმა წყალსადენის საჭიროებისათვის გასცა რა სესხათ 3.000 მანეთი, მიიღო ამავე ვალის დასაფარავად 7.890 მილიონი მანეთი, შეიძინა ჩერვონცები, ფული არ ჩასწერა აღმასკომის შემოსავალში და მიითვისა 3.000 მანეთი.

საქმე გასარჩევად გადაეცა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს.

მალაკნის კოოპერატივის თანამშრომელთა საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს უფროსმა გამომძიებელმა ამხ. აბაშიძემ დაასრულა წინასწარი გამოძიება მალაკნის კოოპერატივის თანამშრომელთა საქმეზე. პასუხისგებაშია მიცემული კოოპერატივის გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე ბოგდანოვი, გამგეობის წევრები: ტარასოვი და სამარინი.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პირებს ბრალდება ძალა-უფლების ბოროტად გამოყენება ანგარების მიზნით.

სიმონ მონიევს ბრალდება აგრეთვე ძალა-უფლების გადამეტება.

ბრალდებულების მიერ ბოროტმოქმედება ჩადენილია 1925 წლის განმავლობაში. მათ დიდი ზარალი მიაყენეს მალაკნის კოოპერატივს, რამაც გამოიწვია კოოპერატივის დახურვა.

საბინაო მშენებლობა

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად მუშა-მოსამსახურეთა საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად გამოყოფილია საგანგებო ფონდი. ამ ფონდის იმ ნაწილს, რომელიც მოხმარდება მუშათა საბინაო აღმშენებლობას, განსაზღვრავს ყოველწლიურად ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭო ამიერ-კავკასიის საბინაო აღმშენებლობის დამხმარე კომიტეტის შუამდგომლობის მიხედვით.

ამიერ-კავკასიის კომიტეტმა აღძრა შუამდგომლობა ამიერ-კავკასიის სავაჭრო და საკრედიტო დაწესებულებებიდან და სააქციონერო საზოგადოებებიდან მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად 80% გადარიცხვის შემოღების შესახებ.

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ დაამტკიცა ეს პროცენტი.

ქრონიკა

საალმშენებლო კომიტეტები

ა.-კ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიას გამოიმუშაოს ამიერ-კავკასიის და რესპუბლიკების საალმშენებლო კომიტეტების ორგანიზაციის პროექტი.

ამ კომიტეტების მოწყობას მხარი დაუჭირა ამიერ-კავკასიის პირველმა საალმშენებლო თათბირმა.

კრედიტი განათლების კომისარიატს

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს 18 აგვისტოს დადგენილებით, წინადადება მიეცა ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატს საქართველოს განათლების კომისარიატისათვის დამატებითი კრედიტის სახით გადასდოს 62,098 მან. მასწავლებლებისადმი დავალიანების დასაფარავად.

ამავე მიზნით აფხაზეთს მიეცემა 11,346 მან. 90 კ.

თბ. ალმასკომში

— ქუთაისის ალმასკომს გადაეცა 150 ძალიანი ელექტრო-მანქანა.

— **წისქვილი.** ერწოში წისქვილის შესაკეთებლად ალმასკომმა გადასდო 1000 მან.

— კომუნარების ბაღის კეთილმოწყობაზე დაიხარჯა 8000 მან.

ჯანმრთელობის კომისარიატში

— **სექიმო პუნქტები.** ჯანსახკომმა ბათომში მოაწყო პოლიკლინიკა, ფოთში და სოხუმში ამბულატორიები.

— **ახალი ამბულატორიები.** პროვინციის იმ ადგილებში, სადაც საერთო ამბულატორიები ძლიერ დატვირთულნი არიან, დაზღვეულებისათვის ეწყობა ცალკე ამბულატორიები.

— **დაზღვეულთათვის წამლების** მიწოდების გასაადვილებლად, ჯანსახკომის დაზღვეულთა დახმარების ქვეგანყოფილებამ, უმთავრეს ამბულატორიებთან მოაწყო აფთიაქები.

— **პროფდასნეულების შემსწავლელი** პოლიკლინიკა გაიხსნება სექტემბრის ბოლო რიცხვებში.

— **ახალქალაქის საავადმყოფოში** გინეკოლოგიურ განყოფილების მოსაწყობად ჯანსახკომმა გაიღო 1000 მან.

— **მალარიასთან ბრძოლა.** ჯანსახკომის მიერ მოწყობილია მალარიასთან მებრძოლი სადგურები შემდეგ ადგილებში: ყვარელში, ყარაიაზში, სამტრედიაში, ოზურგეთში, სენაკში, და ზუგდიდში.

შრომის კომისარიატში

— **გამოკვლევა.** სასოფლო-სამეურნეო შრომის დაცვის ინსპექციამ დაასრულა სიღნაღის, ბორჩალოს, ზუგდიდის, სენაკის და თელავის მაზრებში მოჯამაგირეთა შრომის პირობების გამოკვლევა. სულ გამოიკვლიეს 355 მოჯამაგირის შრომის პირობები.

— **აბხაზეთის თამბაქოს** პლანტაციებში ამჟამად მუშაობს 5000 დაქირავებული მუშა-ხელი, რომელთა შრომის პირობების გამოსაკვლევად გაიგზავნა ინსპექტორი.

ხელოვნება

— **სათეატრო სეზონი** წელს დაიწყება 1 ოქტომბერს.

— **თეატრი ფოთში.** ფოთის ალმასკომი უკვე შეუდგა მზადებას მომავალ ზამთრის სეზონისათვის. ალმასკომს განზრახვა აქვს დასის შედგენა, როგორც წასულ წელს, მიანდოს მსახიობ იუზა ზარდალიშვილს.

— **„სამნი".** დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა გასასყიდათ ვ. მალაქიაშვილის რომანი „სამნი".

— **წითელი თეატრის** შესაკეთებლად თბ. ალმასკომმა გადასდო საჭირო თანხა.

შემთხვევები

გვამის პოვნა

გუშინ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა მტკვრის პირას იპოვნეს დამხრჩვალ ადამიანის გვამი. გვამი გადაგზავნილია საავადმყოფოს პროზექტურაში. მკვდარის ვინაობა გამოურკვეველია.

დაჭრა

20 აგვისტოს, ლაგოდეხში მარო მიქაძემ რევოლვერის ტყვიით მუცელში დასჭრა მოქ. ტაბიძე.

როგორც გამოირკვა, ტაბიძე პირდებოდა მიქაძეს ცოლათ შერთვას.

როდესაც ქალმა გაიგო, რომ ტაბიძე ოჯახის პატრონი კაცია, გადასწყვიტა შურისძიება, და ამ ნიადაგზე მძიმე ჭრილობა მიაყენა მას.

მიქაძე დაპატიმრებულია.

— **მკვლელობა.** სოფ. მიხაილოვში დათა ირემაშვილმა თოფით მოკლა თავისი მეზობელი ივანე ზარიძე.

— **ქურდობა.** 23 აგვ. გაქურდეს მტკვარში დახრჩობის წინააღმდეგ მებრძოლთა ფარდული № 1.

ამავე დღეს მუხრანის ხიდთან მდებარე ბაღში გაქურდეს შალვა ლომთაძის ბინა.

ამავე დღეს ლითონის ტრესტის მაღაზიიდან № 2 მოიპარეს სხვადასხვა ნივთები. ღირებულება გამოურკვეველია.

ამავე დღეს ღამით გალავნის ქ. 42 გაქურდეს მოქ. ა. ქელბაქიანის ბინა.

მტკვრის გამოკვლევა

თბილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა მტკვრის სანიტარული გამოკვლევისათვის გადასდო 1000 მანეთი. მტკვრის გამოკვლევა დაიწყება მიმდინარე წლის სექტემბრიდან.

მტკვრის გამოკვლევის საკითხი დღის წესრიგში დააყენა შემდეგმა გარემოებამ: უკანასკნელ ხანებში ქალაქსა და მის მიდამოებში ძალიან მოიკიდა ფეხი კუჭის და ნაწლევების დაავადმოყოფებამ. თბილისის ექიმების დასკვნით, ამ ავადმყოფობათა გავრცელების მთავარი მიზეზი არის მტკვრის მღვრია წყლის ხმარება სასმელად და საჭმელების დასამზადებლად. მტკვრის მდინარების ქვედა ნაწილის მიდამოებში გაშენებული სოფლები მოურიდებლად ხმარობენ მტკვრის წყალს. რომელიც გაბინძურებულია. ნაწლევების ავადმყოფობა ვრცელდება ქალაქში აგრეთვე მწვანილისაგან, რომელსაც ნავთლუღში გამოსაცოცხლებლად მტკვრის წყლით ნამავენ.

სწორედ ამ გარემოებამ გახადა აუცილებელი მტკვრის სანიტარული გამოკვლევის საკითხის დასმა. გადაწყვეტილია გამოკვლევა დაიწყოს ღრმაღელიდან და გაგრძელდეს ნავთლუღამდე. ამჟამად სწარმოებს წინასწარი მუშაობა, რომლის დამთავრებისთანავე დაიწყება მტკვრის გამოკვლევა.

ომის ინვალიდები

ამიერ-კავკ. შრომის კომისარიატმა აღძრა საკითხი ომის ინვალიდებისა და სპეციალური კურსების დამთავრებულთა გათანაბრების შესახებ პროფკავშირის წევრებთან—მათი სამუშაოზე გაშვების დროს.

სატარიფო თათბირი

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭო იწვევს ამიერკავკასიის სატარიფო - ეკონომიურ თათბირს კოლექტიური ხელშეკრულების დადების კამპანიის ჩატარების და საბიუჯეტო მუშაობის საკითხებზე. თათბირის მოწვევის დღე დანიშნული იქნება ამიერ-კავკ. პროფსაბჭოს მიერ.

შეშა

საქართველოს სატყეო ტრესტმა მიმდინარე წლისათვის დაამზადა 11.000 კუბ. საჟენი მაგარი და რბილი ჯიშის შეშა. შეშა დამზადებულია:—ფოთის რაიონში—8.000 კუბ. საჟენი, კახეთის რაიონში—1.500 კ. საჟ. და ლანჩხუთის რაიონში 1.600 კუბ. საჟ. რაოდენობით. შეშის გამოსატანად რკინისგზის ხაზზე და ვაგონებში დასატვირთად საჭიროა 140.000 მანეთი. ტრესტმა შუამდგომლობა აღძრა სათანადო ორგანოების წინაშე ამ თანხის გაცემის შესახებ. თუ ეს თანხა თავის დროზე გაეცა სატყეო ტრესტს, მაშინ იგი შესძლებს შეშით, როგორც საქართველოს ქალაქების, ისე დაწესებულება-წარმოებათა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ტრესტმა შუამდგომლობა აღძრა ა.-კ. რკ. გზათა გამგეობის წინაშე, რათა შეშის გამოსაზიდათ 4 თვის განმავლობაში ტრესტს მიაწოდოს ყოველთვიურად 1.000 რონოდა. დამზადებულ შეშის 50 პროცენტი მაგარი ჯიშისაა.

რკინისგზებზე

ა.-კ. რკ. გზ. მუშაობა ივლისში

ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოს კომერციულ-ეკონომიური განყოფილების ცნობით, ტვირთზიდვა ამიერ-კავკ. რკინის გზებზე ივლისში, ივნისთან შედარებით 11,4 პროცენტით ნაკლები იყო და საერთო საშუალო დღიური მუშაობა გზებისა გამოიხატა 895 ვაგონის და ცისტერნის ბრუნვაში.

გზების სატვირთო მუშაობის შესუსტება უმთავრესად მოხდა ჭიათურის მარგანეცის გაზიდვის 34.3 პროც. შემცირების გამო (გადაზიდული იქნა 115 ვაგონი, ნაცვლად 175 ვაგონისა ივნისში).

მარგანეცთან ერთად, ა.-კ. რკ. გზების უმთავრეს გადასაზიდ ტვირთს შეადგენენ ნავთის პროდუქტები. საანგარიშო თვეში უკანასკნელთა გადაზიდვა 166 ცისტერნიდან (ივნისში) გაიზარდა 191-დე.

გარდა ამ ტვირთებისა, გზების გადასაზიდ ობიექტად ითვლება აგრეთვე ტყიბულის ქვანახშირი, რომლის გადაზიდვაში თვალსაჩინო მერყეობას რაოდენობის მხრივ ადგილი არ აქვს რადგან იგი უმთავრესად ხმარდება თვით გზებს; ივლისში ეს ნახშირი საშუალოდ ყოველდღე იტვირთებოდა 18 ვაგონის რაოდენობით.

რაც შეეხება ლითონების გადაზიდვას იგი გადიდდა. ასეთი გადიდება აიხსნება ამიერ-კავკასიაში ამ საქონლის გაძლიერებული შემოტანით.

ხილის გადაზიდვას, ახალი მოსავლის მოახლოების გამო ზრდა დაეტყო და საშუალოდ დღეში იტვირთებოდა 5 ვაგონი ანუ 66,6 პროცენტით მეტი ვინემ ივნისში ბამბის გადაზიდვა გამოიხატა 9 ვაგონში საშუალოდ დღიურად იმ დროს, როდესაც ივნისში გადაჰქონდათ 16 ვაგონი; ღვინო და სპირტის ნაწარმოები გადაზიდულ იქნა 15 ვაგონის რაოდენობით დღიურად ანუ 21,1 პროცენტით ნაკლები.

შეშის შესახებ უნდა ითქვას, რომ რკინის გზის სადგურებთან იგი მრავლადაა მოზიდული, მაგრამ მუშა ხელის ნაკლებობის გამო მისი დატვირთვა ძალიან მცირე რაოდენობით სწარმოებს.

ნაკლებობას გადასაზიდ საშუალებების მხრივ ივლისში ადგილი არ ჰქონია. საშუალო დღიური დატვირთვა იმდენად მცირე იყო, რომ არ აღემატებოდა ნახევარი დღის დატვირთვის ნორმას.

მატარებელი ვერ გააჩერეს

23 აგვისტოს, ღამის 3 საათზე სადგ. წიფაში შედიოდა მატ. № 360, მას ება ორი ორთქლმავალი, მემანქანეებმა დაღმართზე ვერ გააჩერეს ორთქლმავალი და შეიჭრენ ჩიხში, სადაც დაეჯახენ გასამაგრებელს.

ამის გამო მატარებლის თავიდან დაზიანდა 3 ვაგონი, ფეხი დაუშავდა ერთ კონდუქტორს, რომელიც გაგზავნეს ხაშურის მისაღებ პუნქტში.

მოძრაობა ხაშურის მხრიდან დაიკეტა პირველი ხაზით დილის 7 საათს და 40 წუთამდე.

საფოსტო მატ. № 4 გატარებულ იქნა მეორე ხაზით საგრძნობი დაგვიანებით.

მეცნიერება და ტეხნიკა

ეტესკოპი

აგვისტოს პირველ რიცხვებში საკავშირო სახალხო მეურნეობის გამოგონებათა კომიტეტში დამოწმებული იქნა პატენტი ახლად გამოგონებულ აპარატზე, რომელსაც უწოდებენ ეტესკოპს. ეტესკოპის საშუალებით შეიძლება ხედვა შორ მანძილზე. გამომგონებელია მხატვარი-კონსტრუქტორი რობერტ ფრანცის ძე ბანცანი.



1) გამომგონებელი რ. ფ. ბანცანი.
2) ეტესკოპი.

ბანცანის ეტესკოპი წარმოადგენს ელექტრო მომქმედ აპარატს, რომლის საშუალებით ყველაფერი, რაც კი ხდება ბუნებაში შეიძლება ნაჩვენები იქნას ეკრანზე, რა მანძილზეც არ უნდა იყოს დადგმული იგი. ასე მაგალითად, ორი ეტესკოპის საშუალებით, რომელთაგან ერთი ლენინგრადშია დადგმული და მეორე მოსკოვში, ლენინგრადში შეიძლება ნაჩვენები იქნას, თუ რა ხდება მოსკოვში წითელ მოედანზე.

ბანცანის ეტოსკოპს აქვს სიმდგრადე, რაც შესაძლებლობას იძლევა დაიდგას იგი მოძრავ, მოქანავე და მბრუნავ ფუძეზე. ამრიგად შესაძლებელი ხდება ეტოსკოპის დადგმა მატარებელში და ავტომობილზე. თუ ეტოსკოპი დადგმული იქნება აეროპლანზე, მეორე,—მიწაზე დადგმულ ეტოსკოპით შეიძლება დანახვა ყველაფერ იმის, რასაც მფრინავი ხედავს აეროპლანიდან.

ბანცანის ეტოსკოპის ყველაზე მნიშვნელოვან თავისებურობას წარმოადგენს ის, რომ შესაძლებელია მხედველობითი ეფექტების გადაცემა და მიღება ერთი და იმავე აპარატით. მაყურებლები, რომლებიც ორ, ერთი მეორესგან რამდენიმე ასეული ვერსის მანძილზე მდებარე ქალაქში იმყოფებიან, ეტესკოპით ისე ხედავენ ერთმანეთს, თითქო რამდენიმე ფეხის ნაბიჯზე იმყოფებოდენ ერთმანეთისგან. ასეთი თვისებები არ აქვს არც ერთს დღემდი გამოგონებულს აპარატს, რომლის დანიშნულებას წარმოადგენს შორს ხედვა, მათ შორის ყველაზე ცნობილს აპარატებს—ჯენკინსისას და მიხალისას.

ბანცანის აპარატი შეიძლება დამზადებული იქნეს, როგორც კლუბებისათვის (აპარატს, რომლის დიამეტრი 1 მეტრს უდრის, შეუძლია გადასცეს თუ რა ხდება 400 კვ. მეტრის სივრცეზე), ისე კერძო ბინებისათვის. უკანასკნელ შემთხვევაში ეტოსკოპის სიდიდე ჩვეულებრივ ტელეფონის აპარატზე მეტი არ იქნება და შესაძლებელია დაიდგას ყოველ ოთახში.

ეტესკოპის ერთ-ერთ მთავარ ღირსებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მისი საშუალებით შეიძლება სურათების გადაცემა ფერადებით.

იურიდიული დახმარება

ბინის ქირის შესახებ.

კითხვა.

მე ვმსახურობ საქ. შრომის სახკომატის გამომცემლობაში. ჩემი თვიური ჯამაგირი უდრის 50 მანეთს. ჩემს კმაყოფაზე იმყოფებიან დედა და ორი მცირეწლოვანი და. ვარ კავშირის წევრი (წიგნ. № 9992); მიჭირავს პირველ თუმანოვის ქუჩაზე, № 6-ში, ერთსართულიანი სახლის ერთი ოთახი, ზომით 30 კვადრ. არშინი. ეზოში არ არის წყალი. ოთახის „დასაჭერი" და ქირა დღემდე გადახდილი მაქვს 100 მან. რაოდენობით; ეხლა სახლის პატრონი თვიურათ მთხოვს ათ მანეთს.

გთხოვთ განმიმარტოთ, რამდენი უნდა გადავუხადო თვიურად, ან შემიძლია თუ არა უკვე გაცემული თანხიდან გამოვუქვითო მისაღები ქირა და, თუ ხვედრი ქირა არ მიიღო, როგორ მოვიქცე?

საბ. და სავაჭრო მუშაკთა კავშირის წევრი, წიგნაკი № 9992.

პასუხი.

თანახმად არსებული საბინაო ტარიფისა, ბინის ქირათ თითოეულ კვადრატიულ არშინზე იხდით ოთხკაპეიკნახევრის რაოდენობით (4,5 კპ.); თუ სახლის პატრონი ბინის კანონიერ ქირას არ მიიღებს, შეიტანეთ იგი თბილისის ხაზინაში.

მეკუთვნის თუ არა წილი მამიჩემის ქონებიდან

კითხვა

მე-11-ე უბანში ბასიენის ქუჩაზედ, აწ განსვენებულმა მამაჩემმა დასტოვა სახლი ოთხი ოთახით და სხვა ქონება. მე მაშინ ვიყავი მცირე წლოვანი და დედაჩემმა აიღო თავის თავზე მეურვეობა. ყველა საბუთები, როგორც სასამართლოსი, აგრეთვე ნოტარიუსის არის დედაჩემთან. მე მოვითხოვე, რომ დედაჩემს მოეცა ჩემთვის ქონების წილი, მაგრამ იგი მე არ მაძლევს.

მე გავთხოვდი, დედაჩემიც გათხოვდა და მიისაკუთრა ოჯახის მთელი ავეჯი, სახლი და სხვა ქონებაც. გთხოვთ მიპასუხოთ მეკუთვნის თუ არა როგორც მემკვიდრეს სახლიდან და ავეჯიდან ჩემი წილი.

მუშის ცოლი ლიდა გაგლოევა-თედეევისა.

პასუხი

თანახმად სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხლი 418-ისა, თქვენ, როგორც ქალიშვილს, გარდაცვალებულ მშობლისა, ითვლებით მის კანონიერ და პირდაპირ მემკვიდრედ და სამემკვიდრე ქონების წილი თქვენც გეკუთვნით.

ქონების კანონით დამკვიდრება შეიძლება ყველა შემთხვევებში, თუ კი იგი (მემკვიდრეობა) არ არის შეცვლილი (მემკვიდრეს მიერ) ანდერძის წერილით ან და სანდერძო განკარგულებით. (იხ. სრ. საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება №35—1926 წ. ივლისიდან—გამოქვეყნებულ გაზ. „კომუნისტი"-ს № 160-1705 1926 წ. 15 ივლისიდან).

პირადად თქვენ გირჩევთ სათანადო განცხადებით მიმართოთ თქვენი ბინადრობის მიხედვით ადგილობრივ სახალხო სასამართლოს.

ჩვენი ფოსტა

— ქ. ხონი—აკაკი კვერნაძეს. თქვენ მიერ გამოწერილი გაზ. „კომუნისტი" მოიკითხეთ ხონის ფოსტაში.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს რაიკომებს მორიგ **ერთიან პარტიულ დღეს**, პარასკევს 27 აგვისტოს, გამართონ კომუჯრედების ღია კრებები კომკავშირის უჯრედთა წევრების და პიონერ - აქტივის თანდასწრებით.

დღის წესრიგი:

1. საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის ცირკულიარის დამუშავება ბავშვთა საერთაშორისო კვირეულის და ახალგარდათა საერთაშორისო დღის შესახებ.
2. ადგილობრივი საკითხები.

შენიშვნა: ცირკულიარი გამოქვეყნებული იქნება გაზეთებში ა.-წ. 26 აგვისტოს.

თბილისის კომიტეტის სამდივნო.

— ა.-წ. აგვისტოს 30-ს დილის 9 საათზე, ს. კ. პ. (ბ) ც. კ. მუშა და გლეხქალთა შორის მომუშავე განყ. მიერ მოწვეულია **მაზრის ქალთა შორის მომუშავე განყოფილებების გამგეების მორიგი თათბირი.**

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე2 რაიკომი იუწყება, რომ ხუთშაბათს 26 აგვისტოს საღამოს 6 საათზე რაიკომის ბინაზე გაიმართება უჯრედთა მდივნების თათბირი მე-2 რაიონის ქალთა ორგანიზაციების თანდასწრებით.

უჯრედთა მდივნების და ქალთა ორგანიზაციების დასწრება სავალდებულოა.

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომი იუწყება, რომ ხუთშაბათს 26 აგვისტოს საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში გაიმართება მიმღებ კომისიის სხდომა.

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომი იუწყება, რომ დღეს 25 აგვისტოს საღამოს 6 საათზე რაიკომის ბინაზე მოწვეულია უჯრედთა ბიუროების გაერთიანებული სხდომა ლითონ-ტრესტის წარმოებათა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტების ფრაქციების თანდასწრებით.

უჯრედთა ბიუროების და საფაბრიკო - საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტების ფრაქციების დასწრება სავალდებულოა.

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-8 რაიკომი იუწყება, რომ დღეს 25 აგვისტოს საღამოს 6 საათზე გაიმართება რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი, წინადადებას აძლევს შემდეგი უჯრედების მდივნებს: № 21, 30, 37, 40, 44 და 46-ს გამოცხადდენ რაიკომის სააგიტსაპროპ. განყოფილებაში მეცადინეობის საათებში 25 და 26 აგვისტოს.

ქალაქის რაიკომი.

—საქ. ახალგ. ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ხუთშაბათს ა.-წ. 26 აგვისტოს დღის 1 საათზე გაიმართება ახალგ. ლენინ. კომკავშ. **თბილისის კომიტეტ. მიმღებ კომისიის სხდომა** (თბილ. კომიტეტ. ბინაზე, რუსთაველის პროსპ. № 20).

კომკავშირში მისაღებ პირთა (დასწრება 1½ წლის სტაჟით) დასწრება სავალდებულოა.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე დარია გიორგის ასული, ძმა გიორგი (ბიჭია) ანტონისძე, შვილები ივლიანე და ანტონ ირაკლისძენი, რძლები ბარბალე და ელისაბედ იოსების ასულნი; შვილის შვილები ირაკლი, მარიკო და თამრიკო აბაშიძეები, ძმისწული ელისაბედ გიორგის ასული და სიძე ვლადიმერ ასლანისძე ჯაფარიძეები შვილებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი დეკანოზი

ირაკლი ანტონის ძე აბაშიძე

დაკრძალვა მოხდება პარასკევს 27 აგვისტოს სოფ. ჭალის შორ. მაზრა, საჩხერის რაიონი წმ.გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე

2—1 3378

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე პავლე ივანესძე (ილარიონისძე) შენგელია და ქალიშვილი ქეთო, აუწყებს, ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 23 აგვისტოს ქ. ქუთაისში ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, პირველის საყვარელი ცოლი და მეგობარი, მეორესი დაუვიწყარი დედა

თამარა (ნუშა) დარისპანის ასული შენგელიასი

რომლის გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება 26 აგვისტოს ქ. ქუთაისში საფირჩხიის სასაფლაოზე საკუთარ ბინიდან ვოლოდარსკის ქ. № 37. სამოქალაქო პანაშვიდი ოთხშაბათს 25 აგვისტოს საღამოს 6 საათზე.

2—1 3377

ღრმად დამწუხრებულნი და თავზარდაცემულნი დედა ნატალია მიხეილის ასული შენგელიასი, ძმა ალექსანდრე დარისპანისძე შენგელია, ცოლით დარეჯანით და შვილებით ლევანით და ნათელათი, დები: ნინა დარისპანის ასული ცერცვაძესი ქმრით გიორგით და შვილებით, თინათინით, ანიკოთი და გულისზარით, ზინა დარისპანის ასული ლოლაძესი ქმრით კარპეზით და შვილებით, ზურაბით, არჩილით და რუსუდანით, ელენა დარისპანის ასული ნუცუბიძესი ქმრით მიხეილით აუწყებს ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 23 აგვისტოს ქ. ქუთაისში ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და მუდამ სახსოვარი

თამარა (ნუშა) დარისპანის ასული შენგელიასი

რომლის გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს 26 აგვისტოს ნაშუადღევის 3 საათზე საკ. სახლიდან ვოლოდარსკის ქ. № 37 ქ. ქუთაისში საფირჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე.

2—1 3377

„კომუნისტი"-ს მთავარ კანტორისაგან

„კომუნისტ"-ზე და „ახალ სოფელ"-ზე პროვინციაში ხელისმოწერა მიიღება

შემდეგ გაერთიანებულ განყოფილებებში:

1. ხაშურში—განყ. გამგე მათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. ჭიათურაში—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. ქუთაისში—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. ხონში—განყ. გამგე ჩემიასთან—ქ. ხონი და ახლო მდებარე რაიონებისათვის.
5. სამტრედიაში—განყ. გამგე ლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. სენაკში—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონებისათვის.
7. აბაშაში—განყ. გამგე მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისათვის.
8. ფოთში—განყ. გამგე მგალობლიშვილთან—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისათ.
9. ბათომში—„კომუნისტი"-ს კანტორაში გოგეშვილთან—მთელი აჭარისტანისთვის.
10. ოზურგეთში—განყ. გამგე ეპიფ. ცეცხლაძესთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
11. თელავში—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
12. სიღნაღში—განყ. გამგე ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
13. ზუგდიდში—გლეხკომთან.
14. სოხუმში—„კომუნისტი"-ს კანტორაში ცხაკაიასთან— მთელი აფხაზეთისათვის.
15. ველისციხის და გურჯაანის რაიონში—განყ. გამგე ესტატე შიშნიაშვილთან.

0—1

„კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო", პლეხ. № 105).

საზაფხულო
ედენი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

ნ. 1613 0—17

უკანასკნელი დღეები საუკეთესო სურათი
„მანდრენ"
1-ლი და მე-2-ე სერია
ყველამ უნდა ნახოს ფრანგული კინემატოგრაფიის ეს შედევრი.

ულამაზესი კ. მაკ-დონალდი და მილტონ სილსი ამერიკ. სურათში
„დაბრკოლებათა წინააღმდეგ"
განსაკუთრებული წარმატებით მიდიოდა მოსკოვის და ლენინგრადის კინო-თეატრებში.

ფოთის ალმასკომთან დაარსდა
სავაჭრო განყოფილება
=„ფოთვაჭი"=
სავაჭრო ქვე-განყოფილების „ეკო"-ს მიერ გაცემული ვალდებულებანი რჩება ძალაში
2—1ნ. 1701 ფოთის ალმასკომის სავაჭრო განყოფილება

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ს.ს.ს.რ. განათლების კომისარიატი

ამით აცხადებს, რომ უმაღლეს სასწავლებლებში განცხადებების მიღება შეწყდება 25 აგვისტოს, გამოცდები **გადაუდებლივ** დაიწყება **1 სექტემბერს**. ვინც ამ ვადაზე არ გამოცხადდება გამოცდებზე არ იქნება დაშვებული.

განათლების სახ. კომისარიატი.

ნ. 1703

სასტუმრო „ორიანტში"
იყიდება მარმარილოს პირსაბანები, მეელი, კარები, ფანჯრები და სხვა საგნები.
გაყიდვა ყოველდღე დილის 9—12 საათამდე. 2—1 ნ. 1699

ექიმი მ. ა. ლუკომეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.
საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—2

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე
ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ დიდი მთავრის ქ.), გორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89
25—

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღ. საბჭოს

ტყავტრესტი

აცხადებს, რომ ტრესტის გამგეობის ბინაზე (კომუნალური ქ. № 82), ა. წ. 1 ლ სექტემბერს, დღის 12 საათზე

შესდგება

წერილობითი საჯარო ვაჭრობა

1-ლი ტყავის ქარხნის ხრომის განყოფილების შენობაზე მეორე სართულის დასაშენებლად, საშრობის მოწყობის მიზნით.

შენობის აგების პროექტთან და ტეხნიკურ პირობებთან გაცნობა შეიძლება ყოველდღე, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდე, ტრესტის გამგეობაში.

ნ. 1704

შაბათს, 28 აგვისტოს, დილის 10 საათზე,
ამიერ-კავკასიის რკინისგზების გამგეობის არქივში
(სადგურის ქ. № 1)

საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ძველი ქაღალდი (მაკულატურა)

2—1 ნ. 1700

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 31 აგვისტოს 1926 წელს დილის 10 საათზე ქ. ქუთაისში ყაზბეგის ქუჩაზე მამარდაშვილის სახლში № 19 დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა.** გაიყიდება სევერიანე თედორესძის და ევგენია მიხეილის ასულის კუხელაშვილების აწერილი 21 ივლის 1926 წელს მოძრავი ქონება: 1) ერთი ბუფეტის შკაფი, დაფას. 20 მან. 2) ერთი კედლის ნოხი დაფას. 30 მან. 3) ერთი კედლის სარკე, დაფას. 20 მან. და სხვ. ალფეზ ქორქიკაშვილის ვალის—200 მანეთის დასაკმაყოფილებლად, ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე შეფასებული თანხიდან. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან სასამართლოში.

3375

ქ. თბილისის საბინაო სასამართლოს აღმასრულებელი კ. ვართანოვი

ამით აცხადებს, რომ შაბათს 28 აგვისტოს 1926 წ. დილის 10 საათზე ადგილობრივ, კადეტის შესახვ. № 9, პირველ **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება ვლასა მეგრელიშვილის მოძრავი ქონება, რომელიც შესდგება სახლის ავეჯეულობისაგან, ბუფეტისაგან, მაგიდისაგან, კრესლოებისაგან და სხვ. შეფასებული 215 მან., თანახმად ქ. ბაქოს მე-4 რაიონის სახალხო სასამართლოს ა. წ. 4 აპრილის № 414 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა დასაკმაყოფილებლად ქ. ბაქოს საბჭოსი.

3385

ექიმი ა. ს. ფონ-ირ ტელი
იხეილის პროსპექტი, № 10, (გორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

წყლებით სამკურნალო
(ხაზინის ქ. № 1)
ახლად შეკეთებულია და მუშაობს ყოველდღე, დილის 6 საათიდან საღამოს 7 საათამდი.
წყლის მკურნალობის ყველა მეთოდები ტარდება გამოცდილი ექიმ-სპეციალისტის ხელმძღვანელობით
ავადმყოფობანი: ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის მოშლა, ნიკრისის ქარები, რევმატიზმი, ნევრასტენია, ნევრალგია, ნევრიტები, გულის და საზსრების ავადმყოფობა
პირველად მოსულ ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე.
25—3 ნ. 1650

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.
25—1

ექიმი
გ-ტ ი. მირიანაშვილი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი.
მიღება დილ. 8—10 საათამდე. საღ. 7—8 საათამდე.
ორჯონიკიძის ქ. (ყ. ანდრეევის), 74. მე-6 საბჭოთა (ყ. ვაგზლისა) აფთიაქის ახლოს. 25—1

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ყელის და გულის სნეულებანი
ცების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ.
ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.

დაკარგვა მედსანშრომის პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 839, გრიგოლ ალექსის-ძე წულუკიძეს სახელზე, ჩ. გ. 3380

დაკარგვა სამხედრო საარიცხვო წიგნაკი ვანო ასლანის-ძე ყორდანიას სახელზე, ჩ. გ. 3383

დაკარგვა პირადობის მოწმობა ბაგრატ ბეგლარიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3381

დაკარგვა უვადო ვინაობის წიგნაკი გაცემული მე-9-რე სამილიციო უბნის უფროსისაგან № 842, ზაქარია მიხეილის-ძე ქინქარაძის სახელზე, ჩ. გ. 3384

დაკარგვა პენსიის წიგნაკი № 41, გაცემული სოც. უზრ. კოფ. კომისარიატისაგან დარო იოსების ასული ანდრონიკოვის სახელზე, ჩ. გ. 3371

დაკარგვა სამხედრო აღრიცხვის ბარათი ერასტი მიხეილის-ძე ბურძგლას სახელზე, ჩ. გ. 3372

დაკარგვა მეტრიკული ამონაწერი № 852, ელისაბედ მათეშვილის სახელზე, ჩ. გ. 3373

დაკარგვა კავშირის წიგნაკი № 9/2. პირადობის მოწმობა № 715, კომკავშირის ბილეთი 6767 და სხვა მოწმობები პეტრე ალექსის-ძე გელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3374

დაკარგვა სამხედრო აღრიცხვის ბარათი და სახ. უნივერსიტეტის მოწმობა ლევან იოსების-ძე ხოტივარის სახელზე, ჩ. გ. 3370

დაკარგვა რკ. გზ. მუშაკის დამთავრების მოწმობა № 735, ლ. დეკანოსიძის სახელზე, ჩ. გ. 337[illegible]

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. 68